საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 ოქტომბერი ორშაბათი 2012 №238 (13 844) ფასი 80 თეთრი

# 222-ე კლასიკო, 2:2, მესი 2, რონალდო 2



## ორი უცხოპლანეტელი

✓ ლიონელ მესი პირველი ფეხბურთელია, ვინც „კამპ ნოუზე" 100 გოლი გაიტანა.

✓ კრიშტიანუ რონალდუ პირველი ფეხბურთელია, ვინც ზედიზედ 6 კლასიკოში გაიტანა

8

## კალათბურთის გაკვეთილი



ტიმ დანკანისა და ვიქტორ სანიკიძის შეხვედრა

## ჩავიდა როგორც მტერი და შეხვდნენ როგორც მოყვარეს

## სან ანტონიოში იკიძე სა(ი)ნტერესოა

ცინცაძემ ქიმია ჩააბარა შერმადინი: აი, თასი

12

## სალუქვაძე ალანიაში?



4



გამარჯვების გოლი ვალტერ სამუელმა გაიტანა

9

## მადონინა ინტერს დარჩა



## ფრანგული კლასიკოც 2:2 დასრულდა... 2 დუბლით

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IX ტური

06.10. განმუხური
800 მაყურებელი

ზუგდიდი **1**
დინამო (თბ) **1**

0:1 დვალი (67), 1:1 ქობალია (75)

| ზუგდიდი 4-2-3-1 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| ქაგანია | ზარქუა |
| ფოფხაძე | ხიზანიშვილი |
| ს. თოდუა | კვეკვესკირი |
| გამეზარდაშვილი | გ. კვარაცხელია |
| აკობია | რეხვიაშვილი |
| ტყემალაძე | ხმალაძე |
| სიხარულია | ალვარო |
| კუტალია | სეთურიძე |
| დ. ბოლქვაძე | მერებაშვილი |
| შ. ლომია | გლიშიჩი |
| ქობალია | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | დ. უჰრინი |

**ზუგდიდი**

66. სიხარულია – **კოშკაძე**
72. შ. ლომია – **გაბედავა**
80. კუტალია – **წურწუმია**

სათადარიგოები: მაქაცარია, აფაქიძე, რ. ონიანი, ფარჯიკია

**დინამო**

77. გლიშიჩი – **რობერტინიო**
84. კვეკვესკირი – **ძარია**
88. მერებაშვილი – **ვოსკობოინიკოვი**

სათადარიგოები: სეფიაშვილი, ტვილდიანი, პაპავა, გველესიანი
გაფრთხილება: კვეკვესკირი (81)
არბიტრი: თ.გვანცელაძე

# ბრძოლა და სანახაობა განმუხურში



დინამოელები ჯაბა დვალმა დააწინაურა
ფოტო: www.fcdinamo.ge

ამ ტურამდე "ზუგდიდსაც" და "დინამოსაც" სატურნირო ცხრილში მხოლოდ თითო მარცხი ჰქონდათ დაფიქსირებული და ეს მაჩვენებელი მათი ურთიერთშეხვედრის შემდეგაც უცვლელად დარჩა. "დინამოს" ზუგდიდელებთან გასვლით მატჩებში არაერთხელ დაუკარგავს ქულები და ამიტომ ეს შედეგი განსაკუთრებულ მოულოდნელობად არ უნდა მივიჩნიოთ.

განმუხურში გამართული შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში დაწინაურება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ხან შემტევებს ღალატობდათ მიზანი, ხანაც მეკარეები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. მასპინძელთაგან ხიფათი **ბოლქვაძემ** და **ქობალიამ**, ხოლო სტუმართაგან **რეხვიაშვილმა** და **მერებაშვილმა** შექმნეს. ყველაზე დასამახსოვრებელი იყო **ზვიად სიხარულიას** დარტყმა, რომელიც "დინამოს" კარის ხარიხას მოხვდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბოლქვაძემ ქობალია **ზარქუასთან** პირისპირ გაიყვანა, ქობალია მეკარეს გასცდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

მალე დაუწერელი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა და **ჯაბა დვალმა** დედაქალაქელები თავური დარტყმით დააწინაურა. რვა წუთში წონასწორობა ირაკლი ქობალიამ აღადგინა, რომელმაც შეცვლაზე შემოსული **გიორგი გაბედავას** პასით ჩინებულად ისარგებლა.

შეხვედრის ბოლოს იყო უსიამოვნო შეძახილები და პროტესტი მსაჯის მიმართ – მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრმა კი თამაშის გაგრძელება მიანიშნა. ბოლოს თითო სახიფათო მომენტი დვალმა და გაბედავამ გაცვალეს და შეიძლება ითქვას, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი** („დინამო"): "ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა. მოლოდინმა გაამართლა და კარგი შეხვედრა გამოვიდა. გოლის გატანის რეალური შანსი როგორც ჩვენ, ასევე ჩვენს მეტოქესაც არაერთხელ ჰქონდა. მატჩის შედეგით არ ვარ კმაყოფილი, ვინაიდან ჩვენ ვიგებდით და სამი ქულის აღება შეგვეძლო. გოლის შემდეგ გუნდი მოდუნდა, დაცვაში მეტი სივრცეები გაჩნდა, რის ხარჯზეც მეტოქემ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. მატჩი ისე წარიმართა, შეიძლება წაგვეგო კიდეც, თუმცა საბოლოოდ, ფრედ ვითამაშეთ.

**ელგუჯა ქომეთიანი** („ზუგდიდი"): დაძაბული თამაში იყო. "დინამო" ქართული ფეხბურთის ფლაგმანია და ბიჭები მოედანზე მოტივირებულნი გამოვიდნენ. მათთვის იმის შეხსენება არ დამჭირვებია, თუ რა ძალას წარმოადგენს "დინამო". მთლიანობაში, მიმაჩნია, რომ კარგი შეხვედრა გამოვიდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

07.10. მცხეთა. მცხეთა პარკი
200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **1**
ტორპედო **3**

0:1 ბერიაშვილი (37), 0:2 გ. დათუნაიშვილი (41), 1:2 ჩიმაკაძე (57. პენ.), 1:3 საბანაძე (78. დოლიძის პასით)

| ვიტ ჯორჯია 5-4-1 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ნ. დაუშვილი | მიგინეიშვილი |
| ხურცილავა | რიგვავა |
| გოგიაშვილი | კახაძე |
| ადამაძე | ზ. ჯელიძე |
| გეთიაშვილი | გ. გურული |
| ჯავაშვილი | დოლიძე |
| კვახაძე | გ. დათუნაიშვილი |
| გურ. გურეშიძე | კუხიანიძე |
| კასრაძე | ე. გრიგალაშვილი |
| დავლაშელიძე | ბერიაშვილი |
| ჩიმაკაძე | საბანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | გ. გეგუჩაძე |

**ვიტ ჯორჯია**

46. დავლაშელიძე – **კორიფაძე**
80. ჯავაშვილი – **გაბრიჭიძე**

სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, ლიბრაძე, ზაქრაძე, ლობჯანიძე

**ტორპედო**

61. ე. გრიგალაშვილი – **გიგაური**
74. ბერიაშვილი – **ფანცულაია**
81. საბანაძე – **ფირცხალავა**

სათადარიგოები: ქვილითაია, შერგელაშვილი, ვ. ბოლქვაძე, ტულუში
გაფრთხილება: კასრაძე (33), დავლაშელიძე (39), ფირცხალავა (82)
გაძევება: კასრაძე (60)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი



ამ ეპიზოდში ჩიმაკაძეს მეკარე მიგინეიშვილმა აჯობა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დამაჯერებლად შესრულებული მისია

"ვიტ ჯორჯიას" მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ საშინაო გამარჯვება არ მოუპოვებია და ეს სერია მინიმუმ 27 ოქტომბრამდე გაგრძელდება – ამ დღეს ვეტერინარები ფოთის "კოლხეთს" მასპინძლობენ.

რაც შეეხება გუშინდელ მატჩს, მისი ფავორიტი "ტორპედო" იყო და ქუთაისელებმა სტატუსის შესაფერისად ითამაშეს – მატჩის დიდი დროის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს.

**გია გეგუჩაძის** გუნდმა პირველივე ტაიმში შეძლო სამი ქულისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა. შეხვედრის დებიუტში **ნიკოლოზ დაუშვილმა ალექსანდრე კვახაძის** სახიფათო დარტყმა მოიგერია, ტაიმის მიწურულს კი "ტორპედომ" გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია.

**გიორგი ბერიაშვილმა** და **გიორგი დათუნაიშვილმა** მასპინძელთა კარი დაახლოებით ერთი პოზიციიდან, საჯარიმოს მისადგომებიდან შესრულებული ძლიერი დარტყმით დალაშქრეს, აქედან უფრო ეფექტური კი დათუნაიშვილის გოლი იყო.

"ვიტ ჯორჯიას" მდგომარეობის გამოსასწორებლად ცდა არ დაუკლია და მეორე ტაიმის დასაწყისში თამაშის გადარჩენის რეალური შანსიც გაუჩნდა – კვახაძემ საკუთარ საჯარიმოში **გურამ ადამაძე** წააქცია, თერთმეტმეტრიანი კი **ბესიკ ჩიმაკაძემ** გამოიყენა და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

თუმცა სამიოდე წუთში ლაშა კასრაძემ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გასაკვირი აღარ იყო, რომ ორბურთიანი სტატუს-კვო აღდგა. **ნიკოლოზ საბანაძემ გრიგოლ დოლიძის** კარგი გადაცემით ერთხელ ვერ ისარგებლა, თუმცა მალე შეცდომა გამოასწორა და თავი სწორედ დოლიძის პასით გამოიჩინა – 1:3.

დარჩენილ წუთში მეტოქეებმა თითო მომენტი გაცვალეს – **ომარ მიგინეიშვილის** შეცდომას კინაღამ კურიოზული გოლი მოჰყვა, შეცვლაზე შესულ **გიორგი ფანცულაიას** კი ვიტელთა მეკარემ არ გაატანინა.

"ტორპედომ" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნა, "ვიტ ჯორჯიასთვის" კი ეს მარცხი ტრაგედია არ უნდა იყოს – ვეტერინარებს უპირველესად, უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში მართებთ ქულათა მარაგის შევსება.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 9 | 6 | 2 | 1 | 25 | 7 | 20 |
| 2 | ტორპედო | 9 | 6 | 1 | 2 | 21 | 7 | 19 |
| 3 | ჩიხურა | 9 | 5 | 2 | 2 | 11 | 8 | 17 |
| 4 | დილა | 9 | 5 | 1 | 3 | 13 | 7 | 16 |
| 5 | ზესტაფონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10 | 6 | 14 |
| 6 | ზუგდიდი | 9 | 3 | 5 | 1 | 10 | 6 | 14 |
| 7 | მეტალურგი | 9 | 4 | 0 | 5 | 6 | 12 | 12 |
| 8 | მერანი | 9 | 4 | 0 | 5 | 6 | 14 | 12 |
| 9 | დინამო (ბთ) | 9 | 2 | 2 | 5 | 10 | 17 | 8 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 9 | 2 | 2 | 5 | 7 | 14 | 8 |
| 11 | სიონი | 9 | 1 | 4 | 4 | 9 | 17 | 7 |
| 12 | კოლხეთი | 9 | 0 | 3 | 6 | 4 | 17 | 3 |

*ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (დინამო თბ) | 7 |
| ჯორბენაძე (დინამო ბთ) | 6 |
| ჯიქია (სიონი) | 5 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 4 |
| ალვარო (დინამო თბ) | 4 |
| მერებაშვილი (დინამო თბ) | 4 |
| საბანაძე (ტორპედო) | 4 |
| ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |

**X ტური**

**20 ოქტომბერი, შაბათი**

კოლხეთი-დილა
ზესტაფონი-ზუგდიდი
მეტალურგი-სიონი
ტორპედო-ჩიხურა
დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია
მერანი-დინამო (თბ)

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

## I ლიგა

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გურია – ჭიათურა | 4:1 |
| სასკო – რაჭა | 4:0 |
| სიონი – დინამო-2 | 1:1 |
| ბეთლემი – იმერეთი | 2:2 |
| მეშახტე – გაგრა | 1:4 |
| სტუ – სულორი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 7 | 6 | 0 | 1 | 20-5 | 18 |
| 2. სასკო | 7 | 6 | 0 | 1 | 23-9 | 18 |
| 3. გაგრა | 7 | 5 | 0 | 2 | 18-4 | 15 |
| 4. სტუ | 7 | 5 | 0 | 2 | 18-13 | 15 |
| 5. იმერეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 6. დინამო 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 19-14 | 8 |
| 7. სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-11 | 8 |
| 8. ბეთლემი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| 9. ჭიათურა | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| 10. სულორი | 7 | 2 | 0 | 5 | 3-15 | 6 |
| 11. მეშახტე | 7 | 1 | 1 | 5 | 7-23 | 4 |
| 12. რაჭა | 7 | 0 | 2 | 5 | 7-20 | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ზოოვეტი – სამტრედია | 1:2 |
| ლიახვი – ადელი | 3:1 |
| სპარტაკი – ჩხერიმელა | 4:0 |
| შუქურა – კოლხეთი (ხ) | 3:0 |
| ლოკომოტივი – მერცხალი | 0:0 |
| სამგურალი – აეტი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-2 | 18 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 7 | 6 | 0 | 1 | 14-9 | 18 |
| 3. ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 14 |
| 4. სამგურალი | 7 | 4 | 1 | 2 | 16-9 | 13 |
| 5. სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-6 | 13 |
| 6. შუქურა | 7 | 3 | 1 | 3 | 11-7 | 10 |
| 7. ზოოვეტი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-11 | 10 |
| 8. ჩხერიმელა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-11 | 9 |
| 9. მერცხალი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| 10. ადელი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-17 | 6 |
| 11. ლიახვი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-21 | 3 |
| 12. აეტი | 7 | 0 | 0 | 7 | 6-22 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. IX ტური

# მომენტი უამრავი, გოლი ერთადერთი

07.10. ივანწმინდა.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ჩიხურა | 1 |
| მეტალურგი | 0 |

1:0 დილმელაშვილი (33)

| ჩიხურა | მეტალურგი |
|---|---|
| სომხიშვილი | ჰოსმანი |
| ოდიკაძე | ჯაფარიძე |
| ლ. ჯელიძე | დობროვოლსკი |
| საჯაია | ინწკირველი |
| ჩიკვაძე | სუხიაშვილი |
| დილმელაშვილი | ი. მაისურაძე |
| ძამსაშვილი | ქავთარაძე |
| ნ. კვასხვაძე | თექთურმანიძე |
| დეკანოიძე | გენაძე |
| კირკიტაძე | სიხარულიძე |
| გოცირიძე | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: ს. ფრუიძე | მწვრთნელი: გ. ყიფიანი |

**ჩიხურა**

58. გოცირიძე — **გ. ჩხეტიანი**
73. დეკანოიძე — **შარაშენიძე**
84. კვასხვაძე — **ბაკურაძე**

**მეტალურგი**

60. ტატანაშვილი — **გ. მიქაბერიძე**
76. თექთურმანიძე — **გიორ. გურეშიძე**
80. გენაძე — **ზ. ლობჟანიძე**

გაფრთხილებები: **კვასხვაძე (39), ჩიკვაიძე (56), ძამსაშვილი (76)**

არბიტრი: **ლ. სილაგავა**

ბოლო ორ თამაშში დაკარგული 4 ქულა მასპინძლებს აიძულებდათ, „პირველ ნომრად", მოგებაზე ეთამაშათ. სტუმრებს კი კიდევ უარესი ჩავარდნა ჰქონდათ. თამაშს მეტალურგთა ახალი თავკაცის **გიორგი ყიფიანის** დებიუტიც მატებდა ინტრიგას.

ყოველივე ამის მიუხედავად, დასაწყისიდან მეჩვიდმეტე წუთამდე, მოედანზე ისეთი არაფერი მომხდარა, რაც ხსენებულ მოლოდინს გაამართლებდა. ამ მონაკვეთში გუნდები მოედნის ცენტრში ბურთის ულიმღამო გორებით იყვნენ გართულნი.

და აი, მე-17 წუთზე, თითქოს მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო, ისე მოულოდნელად და ძლიერად „დაუბრახუნა" **ტატანაშვილმა,** რომ **სომხიშვილს** მთელი გამოცდილება და ოსტატობა დასჭირდა ბურთის მოსაგერიებლად.

თითქოს ამას უცდიდნენო, საჩხერლები სწრაფად მოეგნენ გონს. მე-19 წუთზე დილმელაშვილმა დაარტყა უძლიერესად — ამჯერად სტუმართა მეკარემ ივარგა.

აქედან მოყოლებული საჩხერლები გახდნენ მოედნის ბატონ-პატრონნი. 21-ე წუთზე ისევ დილმელაშვილის შორეული გასროლა მცირედ ასცდა „ცხრიანს", მალევე დილმელაშვილის ჯარიმა წავიდა კარის ჩარჩოს ოდნავ მიღმა; 28-ე და 29-ე წუთებზე საჩხერელთა მიერ დარტყმული ორი სახიფათო ჯარიმიდან ერთი მეკარის ნადავლი გახდა, ერთმაც ძელს ჩაუქროლა.

იქნებ მოსაწყენად ბევრჯერ ვახსენებთ **დავით დილმელაშვილს,** მაგრამ ამ მატჩში იგი უფრო მეტსაც იმსახურებს. სწორედ მან დაარტყა გოლისა და გამარჯვების მომტანად 33-ე წუთზე დაახლოებით 30 მეტრიდან, რომელზეც მეკარე ბავშვივით შეცდა: იმის იმედით, რომ ხარიხას გადასცდებოდა, რეაგირება არ გაუკეთებია, ბურთი კი „ცხრიანთან" ჩაეშვა ბადეში.

სტუმრებს მალევე შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა. ვალდებულიც იყო ტატანაშვილი ასე მოქცეულიყო, მაგრამ საოცარია, როგორ „შეძლო" სამიოდე მეტრიდან კარისთვის აეცილებინა **გენაძის** შესანიშნავი ჩაწოდებით პირდაპირ ფეხზე დასმული ბურთი.

მეორე ტაიმში მეტალურგმა საგრძნობლად დაალაგა თამაში, მწვავედაც შეუტია, მაგრამ საჩხერლებმაც კიდევ უფრო გააქტიურებით უპასუხეს და 53-ე წუთზე მოჩვენებითი საპენალტე სიტუაციაც შექმნეს, რომელშიც, როგორც მთლიანად მატჩში, კარგად გაერკვა არბიტრი **ლაშა სილაგავა.** 55-ე წუთზე ორჯერ შეეძლო **დეკანოიძეს** ანგარიშის გაზრდა, თუმცა ჯერ ცუდად დაარტყა, მეორედ კი ბურთი გაექცა.

**ჩხეტიანის** შემოსვლამ სულ „გადარია" „ჩიხურა". დიდხანს „მწიფდებოდა" მეორე და შემდგომი გოლები, თუმცა მასპინძლებს უამრავჯერ მოეშალათ „სამიზნე", ორი თავური კი (ორივეჯერ — ჩხეტიანის) ხარიხამ უკუაგდო.

ვერ ვიტყვით, რომ სტუმრები გულხელდაკრეფილნი იყვნენ, ცდილობდნენ შეტევებს, იერიშებს, მაგრამ არაორგანიზებულად, ქაოსურად. ამიტომაც, ბუნებრივია, შედეგს ვერ მიაღწიეს და შემთხვევით რომ კიდეც მიეღწიათ, ალოგიკური იქნებოდა.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან



# ზღვას მშრალად გადასცურეს

07.10. გორი. თ. ბურჯანაძე
3000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დილა | 2 |
| დინამო (ბთ) | 0 |

1:0 კახელიშვილი (23. ახალკაცის პასით), 2:0 გურული (82)

| დილა 4-2-3-1 | ბათუმი 4-5-1 |
|---|---|
| საენდერი | მამინაშვილი |
| შაშიაშვილი | ქორიძე |
| გ. ონიანი | ხუხია |
| თომაშვილი | ლობჟანიძე |
| კვირკველია | ი. კვეკვესკირი |
| ბეჟვაია | ტიმჩიშინი |
| არზიანი | გოგიტიძე |
| კახელიშვილი | თევდორაძე |
| კლიმიაშვილი | მახარაძე |
| ს. გურული | ბერიძე |
| ახალკაცი | ჯორბენაძე |
| მწვრთნელი გ. დარასელია | მწვრთნელი გ. გურული |

**დილა**

68. ახალკაცი — **კაშია**
78. არზიანი — **ხოჯავა**
83. კვირკველია — **ჯიშკარიანი**

სათადარიგოები: **შეყრილაძე, აბურჯანია, კაციტაძე, გორელიშვილი**

**ბათუმი**

46. კვეკვესკირი — **თოთაძე**
46. თევდორაძე — **სიჭინავა**
74. ტიმჩიშინი — **ა. მუჯირი**

სათადარიგოები: **პიტსანი, დიასამიძე, აბუსელიძე, კლოვისი**

გაფრთხილება: **გოგიტიძე (49)**

არბიტრი: **თ. ხუჭუა**

დღევანდელი ფორმაციის გორის „დილა" სეზონის სტარტიდანვე საქართველოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მიიჩნეოდა, მაგრამ **გიორგი დარასელიას** თავკაცობით იგი კიდევ უფრო შედეგიანი და მრისხანე გახდა! ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ზედიზედ ხუთი ტურია გორელები იგებენ და თანაც გოლის გაუშვებლად. მეტიც, ბურთი მათ კარში ბოლოს 26 აგვისტოს გავიდა. იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის „დინამოსთან" მატჩამდე „დილამ" ზედიზედ ოთხ წარმატებულ შეხვედრაში ჩემპიონატის ლიდერები დამაჯერებლად მოინელა, მათგან ბათუმის „დინამოს" დამარცხებაში ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი. ზღვისპირელები შეხვედრის პირველი წუთებიდანვე მართლაც მსხვერპლის როლში ჩანდნენ და მიუხედავად მეტოქისთვის გაწეული ღირსეული წინააღმდეგობისა, მასპინძლებისთვის მოსაგებად ძალა აშკარად არ ჰყოფნიდათ. გორელებმა ისინი რამდენიმე წამყვანი მოთამაშის **(სალუქვაძე, მოდებაძე, გოგუა)** გარეშე გააკრეს ბეჭებზე. დარასელიას გუნდი შეტევაზე ორიენტირებული ტაქტიკური განლაგებით გავიდა მოედანზე, **გია გურულმა** კი თავისი შვილის გუნდისთვის „თავის ასატკიებლად" შეგირდებს სწრაფი კონტრშეტევებით თამაში დაავალა.

პირველი ხიფათი სტუმართა კართან **რომან ახალკაცმა** მე-8 წუთზე შექმნა, როდესაც თავისი წამოწყებული კომბინაცია **გიორგი კახელიშვილთან** გათამაშებით გააგრძელა, თუმცა საპასუხოდ მის მიერ კარის გასწვრივ ჩამოწოდებულ ბურთს თავი სუსტად დაუხვედრა. ეს გორელი მოიერიშე ამ დღეს მოდებაძის ნაცვლად თამაშობდა და საკმაოდ აქტიურიც გახლდათ. გუნდის კაპიტან ლაშა სალუქვაძის ნაცვლად დაცვის ცენტრში **თომაშვილთან** შეწყვილებული **ონიანიც** თავისი ამპლუის შესაბამისად საიმედოობით გამოირჩეოდა. პირველ ტაიმში ონიანმა შეტევაში ჩართვა გოლითაც დაასრულა, მაგრამ მსაჯმა სხვა გორელი ფეხბურთელის მიერ ბათუმელთა საჯარიმოში წესის დარღვევის გამო არ ჩათვალა.

მე-20 წუთზე „დილას" ისევ ახალკაცის მეცადინეობით შეეძლო ეხეირა, რომანის სოლო რეიდს და დარტყმულს სიზუსტე დააკლდა ოდნავ. საპასუხოდ მწვავე ეპიზოდი უმალვე შექმნა დინამოელმა **თორნიკე ბერიძემ მარინ სკენდერის** კართან, როდესაც გორელების კარის ხორვატმა დარაჯმა თავისი გუნდი ბურთის კუთხურზე მოგერიებით გადაარჩინა. მას შემდეგ, რაც დარასელია „დილას" ჩაუდგა სათავეში, ამ გუნდ ფეხბურთელები ყოველ თამაშში ბურთის კონტროლისთვის მუდამ განსაკუთრებული მონდომებით ირჯებიან. ასე იყო ამ შეხვედრაშიც. მასპინძლების მიერ მატჩის სადავეების ხელთგდება განსაკუთრებით ნათლად პირველი ტაიმის განმავლობაში ჩანდა. შეტევისას კი გამორჩეულად აქტიური მარჯვენა ფლანგი და იქ მოთამაშე გიორგი კახელიშვილი გახლდათ. გიორგის გოლიც ძალიან ლამაზი გამოუვიდა. იგი საჯარიმოს მისადგომებთან მეურვეთაგან თავისუფალი იდგა, ახალკაცის პასი მიიღო და დაახლოებით 22 მეტრიდან მეკარისაგან შორეულ მაღალ კუთხეში უძლიერესი დარტყმით შეაგდო. გოლის შემდეგ „დილამ" კიდევ უფრო აუღელვებლად განაგრძო გარჯა. სტუმრების მხრიდან ანგარიშის გასათანაბრებლად გაწეული მონდომება კი ამაო გამოდგა. მეტიც, შესვენებამდე კახელიშვილმა ლამის ორამდე გაზარდა სხვაობა. ჯერ 41-ე წუთზე მისი კარის გასწვრივ ჩაწოდებული **მამინაშვილის** მიერ უხერხულად მოგერიების გამო კინაღამ ბადეში გაეხვია, ოთხ წუთში კი ისევ კახელიშვილმა ზუსტად იმ ადგილიდან, საიდანაც გოლი შეაგდო, ისევ გაგზავნა ბურთი კარისკენ – სტუმართა კარის დარაჯმა კი ამჯერად გადაარჩინა „დინამო".

მეორე ტაიმის დასაწყისიდან გია გურულმა ორი ახალი ფეხბურთელი **ლაშა თოთაძე** და **დათა სიჭინავა** შეუშვა მოედანზე და აღსანიშნავია, რომ ორივე კარგად ჩაერთო თამაშში. თოთაძემ ბათუმელთა დაცვა გაამაგრა, ხოლო სიჭინავამ სტუმართა იერიშებს სიმწვავე შემატა. ვინაიდან მასპინძელთა დაცვის ხაზის გავლა ძალიან ჭირდა, სწორედ სიჭინავას მიერ შორიდან დარტყმებს მოჰქონდა მეტნაკლები ხიფათი სკენდერისთვის. გვერდს ვერ ავუვლით შეხვედრის განმავლობაში ფეხბურთელთა მიკროტრავმების მიზეზით ექიმების მოედანზე ხშირ „სტუმრობას", რასაც შესაბამისად მატჩის ზედმეტად ხშირად გაჩერება და მაყურებელთა უკმაყოფილება მოსდევდა. არადა თამაში ხისტი ნამდვილად არ ყოფილა და ზემოთ აღნიშნული ხშირი ტრავმები ალბათ ფეხბურთელების სუსტი ფიზიკური მომზადების ბრალია. ასე თუ ისე, ტაიმის ბოლოსკენ, სანახაობამ რომ მკვეთრად იკლო, მაგრამ შეცვლაზე შემოსული **გოჩა ხოჯავას** დამსახურებით მახვილგონივრულმა გადაცემებმა უფრო იმატა — მეორე გოლიც ვიხილეთ. 82-ე წუთზე ხოჯავას ჩამოწოდებული კუთხური **შოთა კაშიამ** მამინაშვილის კარის სიახლოვეს გადაამისამართა, **სანდრო გურულმა** კი მამამისის დამოძღვრილი გუნდის კარში შეაგდო. სამ წუთში ისევ ხოჯავამ მოზომილი შორეული პასით **კლიმიაშვილი** დატოვა მეკარესთან პირისპირ, თუმცა შემტევს მეკარემ აჯობა. მატჩის მიწურულს კარიდან ორიოდ მეტრში მყოფ **გოგიტიძეს** გატანის ძალიან კარგი შანსი არ გამოაყენებინეს „დილას" მცველებმა, უკანასკნელ წუთზე კი თოთაძის სახიფათო სტანდარტულს გადაეფარნენ და საბოლოოდ მათი გუნდის კარის მშრალად შენახვის სერია ექვსმატჩიანად აქციეს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# საბა(ნი) სადამდეც გადაგწვდებაო...

## მეგრელთა საქმე: კოლხეთი ისევ ვერ იგებს, ლომია ისევ ლომია!

06.10. ფოთი. ფაზისი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| მერანი | 1 |

0:1 ს. ლომია (23. ფონიავას პასით)

| კოლხეთი 4-1-4-1 | მერანი 4-1-4-1 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | შეროზია |
| გ. კილასონია | ქარქუზაშვილი |
| ზ. ჩხეტიანი | იობაშვილი |
| ფარულავა | გ. ქვანია |
| გაბუნია | მჭედლიშვილი |
| გოგონაია | დიდავა |
| აფხაზავა | ს. ლომია |
| ცხადაია | ფონიავა |
| ჰ. დათუნაიშვილი | ამბროლაძე |
| კრასოვსკი | ტორონჯაძე |
| კვანტალიანი | კუჭუხიძე |
| მწვრთნელი დ. მახარაძე | მწვრთნელი მ. ქვანია |

**კოლხეთი**

43. გოგონაია- **მოსიაშვილი**
46. აფხაზავა- **კობერიძე**
78. ცხადაია- **ხომასურიძე**

სათადარიგოები: **ხარშილაძე, ქორჩილავა, ნაბრია, ლუჭაშვილი**

**მერანი**

68. ტორონჯაძე- **მელიავა**
75. კუჭუხიძე- **ნ. ნოზაძე**
90. ამბროლაძე- **ბუკია**

სათადარიგოები: **ბერია, გეგეჭკორი, კიკალიშვილი, მონიავა**

გაფრთხილება: **კილასონია (41), კვანტალიანი (45), კუჭუხიძე (49), ქარქუზაშვილი (55), კობერიძე (86), ფონიავა (89).**

არბიტრი: **გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)**

მატჩს მასპინძლები მნიშვნელოვანი დანაკლისითა (ტრავმისა და ყვითლების გამო **ლაშა ქებაძე, ილია პავლიაშვილი** და **პაატა ცხვიტარია** მოისაკლისეს) და მოგების გარეშე შეხვდნენ და უდავოა, ნავსის გატეხას ბოლო დროს არცთუ წარმატებულად მოასპარეზე თანაკუთხელთან გეგმავდნენ. თავის მხრივ, მარტვილელებიც რომ მოგებაზე იფიქრებდნენ აუტსაიდერთან, ეს თავიდანვე გამოჩნდა.

პირველი ხიფათები მასპინძლებმა შექმნეს — ჯერ კოლხთაგან გამორჩეულ **გიორგი ცხადაიას** გადაცემას თავით **ომარ გოგონაია** გამოეხმაურა, მაგრამ **ჯონი შეროზიამ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა და თავისიანები გადაარჩინა, შემდეგ კი მარტვილელთა მეკარემ თავური რამდენიმეტურიანი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩენილ **გიორგი კრასოვსკის** აუღო.

თითქოს არაფერი ემუქრებოდათ მასპინძლებს, მაგრამ „ტრადიციულად", „კოლხეთის" დაცვა ჩავარდა, ეს ტაიმის შუაწელში მოხდა — მცველების შეცდომის შემდეგ ბურთი **ლაშა კუჭუხიძემ** მოიპოვა და საჯარიმოში შეჭრილ **პაპუნა ფონიავას** უპასა, მას ბურთი აეჭრა და გაცილებით უკეთეს პოზიციაში მიუვიდა **საბა ლომიას** — „მერანის" მარჯვენაფლანგელმა წინა ტურის მსგავსად გამოიჩინა თავი, 1:0.

ამის მიუხედავად, „კოლხეთი" არ გატყდა და უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ იმდენი წუნი იყო გადაცემებში, რომ საქმე ხიფათამდე ვერ მიდიოდა.

თავის მხრივ, მწვავედ იჩხვლიტებოდნენ სტუმრები და ამას უმეტესად გოლის ავტორის ხარჯზე აკეთებდნენ — ერთ ეპიზოდში ლომიამ ლაშა კუჭუხიძეს ჩინებული გადაცემა გაუკეთა, მაგრამ ფორვარდმა შანსი ვერ გამოიყენა, ტაიმის ბოლო წამებზე კი ისევ ლომია აქტიურობდა, როცა მასპინძლები თამაშგარეს ითხოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ ეპიზოდი **არდალიონ მიქაბერიძემ** განმუხტა.

ჯერ კიდევ პირველი ტაიმის მიწურულს **დავით მახარაძემ** იძულებითი შეცვლა გააკეთა და უნდა ითქვას, **თორნიკე მოსიაშვილის** გამოსვლამ „კოლხეთი" გამოაცოცხლა და გუნდმა თამაშიც დაალაგა.

49-ე წუთზე სწორედ მის მიერ დაწყებული კომბინაცია **გიორგი კილასონიამ** საჯარიმოში ჩაჰკიდა, ყველას **მიხეილ კობერიძემ** აჯობა და ბურთი მეკარის ბაქნისკენ გაგზავნა, სადაც შეროზია შეცდა, მაგრამ კოლხთაგან დაუცველ კარში გამტანი არავინ აღმოჩნდა.

მალევე „კოლხეთი" გადარჩა, როცა ლომია მიქაბერიძეს ერთი-ერთზე შეეყარა და მასპინძლები მეკარემ გადაარჩინა. ანალოგიურად პირისპირ გოლის ავტორი მეკარესთან ბოლო წუთებზეც გავიდა, როცა მიქაბერიძე მას საჯარიმოს გარეთ შეხვდა, ლომიამ კი დაასწრო, მაგრამ საჯარიმოსთან იგი ყვითელი ბარათის ხარჯზე შეაჩერეს.

თამაშის გადარჩენის ორი შანსი მიეცათ ფოთელებს — ჯერ კრასოვსკის ჩინებული დარტყმული შეროზიამ გაჭირვებით მოიგერია, ხოლო ბოლო წამებზე, საჯარიმოში შექმნილი არეულობით ვერც ერთმა კოლხმა ვერ ისარგებლა და მარტვილელთა მეკარე ტრავმის ხარჯზე ბურთს ვარდნაში დაეუფლა. მის დასახმარებლად სასწრაფო დახმარების ბრიგადის შეყვანა გახდა საჭირო, მაგრამ შეროზიამ მატჩის გაგრძელება მოახერხა და ათიოდ წამში საფინალო სასტვენიც გაისმა.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

# ბოლნისში ბურთის გარდა ბოთლმაც იფრინა

07.10. ბოლნისი. თ. სტეფანია
600 მაყურებელი

სიონი 0
ზესტაფონი 2

0:1 კაჭკაჭიშვილი (24, აფციაურის პასით), 0:2 წინამძღვრიშვილი (35, ბაბუნაშვილის პასით)

| სიონი 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | რ. კვასხვაძე |
| ორბელაძე | ღონღაძე |
| ქემოკლიძე | კობახიძე |
| სვანიძე | კაჭკაჭიშვილი |
| ჩიკვილაძე | [illegible] |
| ჯოჯუა | მენთეშაშვილი |
| მანწკავა | შარიქაძე |
| ჭედია | [illegible] |
| ქუცურუა | ბაბუნაშვილი |
| ფეიქრიშვილი | აფციაური |
| უგულავა | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი ა. ჯელაძე | მწვრთნელი ზ. ზამთარაძე |

**სიონი**

46. ფეიქრიშვილი – **ისიანი**
68. ჭედია – **უგრეხელიძე**
84. მანწკავა – **მ. ოქროპირიძე**

*სათადარიგო: ვ. ლობჟანიძე, გ. ოქროპირიძე, ნემსაძე, ხურციძე*

**ზესტაფონი**

63. აფციაური – **მილხრაუში**
82. წინამძღვრიშვილი – **კერძევაძე**
89. ბაბუნაშვილი – **გაგოშიძე**

*სათადარიგო: მამალაძე, რაჟამაშვილი, დ. მუჯირი, ელიავა*

გაფრთხილება: ღონღაძე (18), მენთეშაშვილი (33), ბაბუნაშვილი (48), კობახიძე (72)

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

**გიორგი ქუცურუას** ფლანგურ ჯარიმას **თენგიზ ჩიკვილაძემ** შეაგება თავური – დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ამის შემდეგ "სიონს" ერთხელაც ჰქონდა საგოლე შანსი, როცა **გიორგი მანწკავამ** დაახლოებით 25 მეტრიდან მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით დაარტყა და ბურთი "ზესტაფონის" კარის ხარიხამ აისხლიტა.

თამაში მალევე გათანაბრდა. **რატი წინამძღვრიშვილმა** მკერდით ჩამოიღო ბურთი, დარტყმისას ხელი ერთ-ერთმა მცველმა შეუშალა და "ზესტაფონი" აქედან საგოლე კუთხურს გამორჩა – **თორნიკე აფციაურმა** კარგად ჩააბზრიალა ბურთი მეკარის ბაქანთან და **გიორგი კაჭკაჭიშვილმაც** თავურით გაიტანა.

"ზესტაფონი" მნიშვნელოვან სათამაშო უპირატესობას ფლობდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ კლასში სხვაობა უდავოდ იგრძნობოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ "სიონს" არ აქვს ისეთი სავარჯიშო პირობები, როგორც "ზესტაფონს".

მეორე გოლი ფეროელებმა კონტრშეტევაზე შეაგდეს. წინამძღვრიშვილისა და **ორბელაძის** ორთაბრძოლა იმით დასრულდა, რომ "სიონის" მცველს ფეხიდან ბუცი გაძვრა და იმ მომენტში თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა, "სიონის" დაცვა კაცნაკლული დარჩა, რაც ოპერატიულად გამოიყენა "ზესტაფონმა". აფციაურმა კარგი გადაცემა გაუჭრა **შოთა ბაბუნაშვილს,** რომელმაც წინამძღვრიშვილის მისამართით შეასრულა გადაცემა და რატიმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

"სიონი" თამაშის შემომბრუნებელ გუნდს გუშინ არ ჰგავდა, ბოლნისელები ბრძოლას განაგრძობდნენ, მაგრამ ეს იყო და ეს.

მეორე ტაიმში გამოსარჩევი მხოლოდ არასასიამოვნო ინციდენტი გამოდგა. აფციაური გერმანელმა **პატრიკ მილხრაუმმა** შეცვალა, როცა ზესტაფონელი სათადარიგოთა სკამთან მივიდა, ბოლნისელმა გულშემატკივრებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, აფციაურმა ამას ვერ გაუძლო და ხურდაც დაუბრუნა, ალიაქოთში ისეც კი მოხდა, რომ "ზესტაფონის" კაპიტანმა წყლის ბოთლი ისროლა გულშემატკივრებისკენ. უკვე შეცვლილი აფციაურის გაძევებაც ამ ყველაფერს მოჰყვა.

და კიდევ, "ზესტაფონში" დებიუტი ჰქონდა **ილია კერძევაძეს,** რომელიც 16 წლისაა.

ბოლო სამი შეხვედრიდან "ზესტაფონმა" ორი მოიგო და ერთი ფრე ითამაშა, ჩემპიონი თითქოს კალაპოტს უბრუნდება, "სიონში" კი ვერ უნდა იყოს საქმე კარგად, გუნდში იმაზე ჩივიან, რომ ყურადღებას მათ არავინ აქცევს.

შეხვედრის დასაწყისში "სიონი" მხნედ გამოიყურებოდა. ბოლნისელები მედგრად იბრძოდნენ და ერთი-ორი მწვავე შეტევაც გამახორციელეს.

**დავით თავართქილაძე**
ბოლნისი-თბილისი

საპარაუდო ტრანსფერი

# სალუქვაძე ალანიაში?



ლაშა სალუქვაძე

**გუშინ** საქართველოს ჩემპიონატის მე-9 ტურის შეხვედრაში გორში "დილამ" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა. შევიტყვეთ, რომ გუნდის კაპიტანი **ლაშა სალუქვაძე** განაცხადშიც არ ყოფილა.

ამ ამბავმა ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ "ლელოს" საინტერესო ინფორმაცია აცნობეს – თითქოს, სალუქვაძე რუსეთში გაემგზავრა. ამ ინფორმაციას კლუბში ოფიციალურად არ ადასტურებენ, ბათუმელებთან ლაშას უთამაშებლობის მიზეზად კი ტრავმა დაასახელეს. მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში, სალუქვაძემ კონტრაქტი ვლადიკავკაზის "ალანიასთან" გააფორმოს.

მართალია, რუსეთში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, მაგრამ სეზონის მსვლელობის დროს, 30 წლის ცენტრალურ მცველს ახალ კლუბში ჩარიცხვა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეეძლება.

თუ ეს ტრანსფერი შედგა, "ალანია" სალუქვაძისთვის რუსეთის პრემიერლიგის მესამე კლუბი იქნება: 2005-2010 წლებში თამაშობდა ყაზანის "რუბინში" (91 მატჩი, 2 გოლი), 2011 წლიდან - ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" (15 მატჩი).

ლაშა სალუქვაძემ 2004-2011 წლებში საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 30 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 1 გოლი.

2008 და 2009 წლებში "რუბინის" შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონი გახდა და ჩემპიონთა ლიგაზე ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა, სადაც სალუქვაძის კარგი თამაში "ბარსელონას" არგენტინელმა ვარსკვლავმა **ლეონელ მესიმაც** აღნიშნა.

**მერაბ მამულაშვილი**

საპარაუდო ტრანსფერი

# დილაში ახალი ბრაზილიელია

## მინსკის დინამოდან საქართველომდე



ლეონარდო რამოს დოს სანტოსი

დოსიე
**ლეონარდო რამოს დოს სანტოსი**
**ამპლუა – თავდამსხმელი**
**დაიბადა 1992 წლის 9 ივნისს ბრაზილიაში, სან პაულუს შტატის ქალაქ ორინსიუში.**
**სიმაღლე 186 სმ, წონა 77 კგ.**

შევიტყვეთ, რომ გორის "დილაში" კიდევ ერთი ბრაზილიელი, **ლეონარდო რამოს დოს სანტოსი** შეიძლება ჩაირიცხოს.

ჩვენი ინფორმაციით, დოს სანტოსი საქართველოში შაბათს ჩამოვიდა, მაგრამ ჯერ მისი ტრანსფერის საკითხი არ გარკვეულა. გამომდინარე აქედან, ჯერ მას კონტრაქტი არ გაუფორმებია, კლუბი ინფორმაციას არ ავრცელებს და მოლაპარაკების დასრულებას ელის.

ვითარებაში გარკვევას თავად შევეცადეთ. გვითხრეს, რომ ლეონარდო დოს სანტოსი 20 წლის არის, კარგად იცის რუსული, რადგან ბოლოს მინსკის "დინამოში" თამაშობდა. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება.

■ ■ ■

7 წლიდან ორინსიუს "ატლეტიკოს" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. თამაშობდა სან პაულუს შტატის ჩემპიონატში "მარილიას" ახალგაზრდული კლუბის შემადგენლობაში.

პროფესიული კარიერა ორინსიუს "ატლეტიკოში" დაიწყო, სადაც 2010 წელს მინსკის "დინამოს" სელექციონერებმა შენიშნეს, ბელარუსში გასინჯვაზე ჩასულმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და 2 წელი ბელარუსის ყველაზე ტრადიციული კლუბის ღირსებას იცავდა.

კონტრაქტი 4 ივლისს შეუწყდა და მინსკელთა პრესსამსახურის ცნობით, კლუბი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. ბელარუსულ "დინამოში" ჩატარებულ 30 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 6-ჯერ აიღო და 2 საგოლე გადაცემა გააკეთა.

სხვათა შორის, დოს სანტოსი მინსკის "დინამოში" „ატლეტიკო პარანაენსეს" ქართველმა მენეჯერმა **გოჩა ალადაშვილმა** ჩაიყვანა. თუ გახსოვთ, მან რუსთავის "ოლიმპში" ბრაზილიური პროექტი წამოიწყო, მაგრამ სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო და შემდეგ იგივე ჩანაფიქრი მინსკის „დინამოში" გუნდის გენერალურ დირექტორ **ვალერი სტრელცოვთან** ერთად განახორციელა.

დოს სანტოსმა ბელარუსები იმით გააოცა, რომ რეჟიმის დამცველი ბრაზილიელი ვერ წარმოედგინათ. ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, არ მიყვარს დალევა, სასმელის მეშინიაო და მათთვის ესეც მოულოდნელი აღმოჩნდა. მეგობრობს ბელარუსის ნაკრებისა და ბორისოვის "ბატეს" ბრაზილიელ პლკეიმეიკერ **რენან ბრესანთან**.

რამოსზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ სტრელცოვი მინსკის "დინამოდან" გაუშვეს, გუნდის ახალმა დამრიგებელმა **ოლეგ პროტასოვმა** თავისი თავდამსხმელები მიიყვანა და იძულებული გახდა, კლუბი დაეტოვებინა.

ბრაზილიელთა საქართველოში ჩამოსვლა სულაც არ არის ურიგო ამბავი. ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანას იმდენი ფეხბურთელი ჰყავს, რომ მთელ დუნიას მოამარაგებს და ჩვენც არ გვაწყენდა.

აქვე გეტყვით, რომ მანამდე "დილას" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დარასელია** კიდევ ერთ ბრაზილიელს, ცენტრალურ მცველ, **ვიტორ ჰუგოს** აკვირდებოდა, რომელიც ბოლოს ბრაზილიის ბ ლიგის (პირველი ლიგა) „სეარაში" თამაშობდა. მაგრამ სასურველი შთაბეჭდილება ვერ დატოვა და სამშობლოში გააბრუნეს.

მანამდე "დილასთან" ერთწლიანი კონტრაქტი ავსტრიის ბუნდესლიგის "კაპფენბერგის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ნათან ჟუნიორმა** გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონის უქმეები



ალექსანდრე იაშვილი (მარცხნივ) ბრაუნშვაიგის აინტრახტთან მატჩის შემდეგ

# უსიამოვნო სურათი სანაკრებო ბატალიების წინ

მოახლოვებული სანაკრებო მატჩების წინ ქართველმა ლეგიონერებმა თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს, ამიტომაც ჩვენი დღევანდელი მიმოხილვა მოკლე იქნება.

როგორც იქნა, დანიური "ორჰუსის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა **მათე ვაწაძემ,** რომელმაც მოედანზე 25 წუთი გაატარა და ერთი კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

ჩვენთვის განსაკუთრებული თითქმის არაფერი მომხდარა რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატში. მხოლოდ "დნიპროსა" და კიევის "დინამოს" შეხვედრაა გამოსარჩევი, სადაც დნეპროპეტროვსკელებმა კიეველებს სძლიეს და რაც მთავარია, ეს მატჩი შეუცვლელად ჩაატარა "კრივბასიდან" "დნიპროში" დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **ჯაბა კანკავამ.**

სამწუხაროა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის არაერთ წევრს არასისტემატური სათამაშო პრაქტიკა აქვს. **შოთა არველაძის** "ქაისერისფორიდან" წასვლას **ზურაბ ხიზანიშვილის** სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლება მოჰყვა – იმედია, დროებით. ცუდია, რომ "კრასნოდარის" სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა **ნუკრი რევიშვილი,** რომელიც **გიორგი ლორიას** არყოფნაში, წესით, საქართველოს ნაკრების კარში უნდა ვიხილოთ.

კარგია, რომ ტრავმა მოიშუშა კიდევ ერთმა ქართველმა მეკარემ, **გიორგი მაკარიძემ,** რომელიც ამ სეზონში პირველად გამოჩნდა ფრანგული "ლე მანის" 18-კაციან განაცხადში და იმედია, მოედანზეც მალე ვიხილავთ.

გასულ უქმეებზე ქართველებმა გოლები მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში გაიტანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ლეგიონის ცხრილი იხილეთ მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგიონის უქმები



ვიტესის ქართველი ლეგიონერებიდან მხოლოდ გურამ კაშიამ (მარცხნივ) ითამაშა

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. IX ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | ბოხუმი | აინტრახტი ბრ. | 0:3 (გ) | 90 წუთი, გაფრთხ | 9 თ |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | აინტრახტი ბრ. | 0:3 (გ) | სათად. | 5 თ |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | მიუნხენ 1860 | 3:0 (შ) | არ უთამაშია, დისკვ. | 0 თ |
| **იტალია. სერია B. VIII ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 22 | ემპოლი | ვარეზე | 2:2 (გ) | 88-ე წუთამდე, გაფრთ | 3 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | ვარეზე | 2:2 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. X ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 22 | ლე მანი | სედანი | 1:0 (შ) | სათად. | 0 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 26 | დნიპრო | დინამო კ. | 2:1 (შ) | 90 წუთი | 10 თ, 2 გ. |
| ალექსანდრე კობახიძე | 25 | არსენალი | ზაკარპატია | 2:0 (შ) | 62-ე წუთამდე | 10 თ, 1 გ. |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩოვეცი | ჩერნომორ. | 2:1 (შ) | 90 წუთი | 11 თ, 1 გ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 20 | ილიჩოვეცი | ჩერნომორ. | 2:1 (შ) | 90-ე წუთამდე | 11 თ, 1 გ |
| ჯაბა ლიპარტია | 24 | ზარია | კარპატი | 2:1 (შ) | 85-ე წუთამდე | 11 თ, 1 გ |
| უჩა ლობჟანიძე | 25 | კრივბასი | მეტალურგი დ. | 2:6 (გ) | 46-ე წუთიდან | 10 თ |
| ბუბა დაუშვილი | 23 | კარპატი | ზარია | 1:2 (გ) | 88-ე წუთამდე, გაფრთხ | 6 თ |
| ლევან ყენია | 21 | კარპატი | ზარია | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. VIII ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ჰერენვენი | 3:3 (შ) | 90 წუთი, გაფრთ | 8 თ |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ვიტესი | ჰერენვენი | 3:3 (შ) | არ უთამაშია, დისკვ. | 1 თ |
| ვაკო ყაზაიშვილი | 19 | ვიტესი | ჰერენვენი | 3:3 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ცსკა | 0:2 (შ) | სათად. | 7 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 25 | კრასნოდარი | ზენიტი | 0:2 (შ) | სათად. | 4 თ |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრასნოდარი | ზენიტი | 0:2 (შ) | 90 წუთი | 10 თ |
| შოთა გრიგალაშვილი | 26 | ალანია | კრილია | 2:2 (შ) | 73-ე წუთამდე | 3 თ |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | მორდოვია | 0:2 (შ) | 90 წუთი | 11 თ, 1 გ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. VII ტური** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 30 | კაისერი | მერსინი | 2:1 (გ) | სათად. | 5 თ |
| **რუმინეთი. ლიგა I. XI ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 26 | გაზ მეთანი | დინამო ბ. | 2:2 (შ) | 90 წუთი | 7 თ |
| **დანია. სუპერლიგა. XII ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 24 | ორჰუსი | სონდერისკე | 3:0 (გ) | 58-ე წუთიდან | 10 თ, 3 გ |
| დავით სხირტლაძე | 19 | ორჰუსი | სონდერისკე | 3:0 (გ) | 58-ე წუთამდე | 5 თ |
| მათე ვაწაძე | 23 | ორჰუსი | სონდერისკე | 3:0 (გ) | 65-ე წუთიდან | 1 თ |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. VII ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | პოლონია | ვროცლავი | 1:2 (გ) | 64-ე წუთამდე | 7 თ, 2 გ |
| ნიკა ძალამიძე | 20 | იაგელონია | ლეხია | (შ) | დღეს | 5 თ, 1 გ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 29 | ინტერი | მარიეჰამნი | (შ) | დღეს | 28 თ, 16 გ |
| **სამხრეთ აფრიკა. VII ტური** | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 30 | მოროკა | ფრი სტეიტი | 1:0 (გ) | 90 წუთი, გაფრ | 7 თ |

მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**

## საფრანგეთი. ლიგა 1. VIII ტური.

# უხვგოლიანი კლასიკო ველოდრომზე

**სტ. ეტიენი–ნანსი 4:0**

გოლები: 1:0 ბრანდაო (9), 2:0 ჰამუმა (19), 3:0 ბრანდაო (21), 4:0 ობამეიანი (25).

**მონპელიე–ევიანი 2:3**

გოლები: 0:1 ხელიფა (30), 1:1 ესტრადა (36), 2:1 ს. კამარა (42), 2:2 ხელიფა (62), 2:3 ხელიფა (89).

**სოშო–რენი 0:1**

გოლი: 0:1 ერდინჩი (7).

**ლილი–აიაჩო 2:0**

გოლები: 1:0 რუ (42), 2:0 მენდესი (56).

**ბასტია–ტრუა 3:2**

გოლები: 1:0 რინკონი (17-საჯ. კარში), 1:1 მარკოსი (26), 2:1 მოდესტი (37), 2:2 მარკოსი (49-პენ), 3:2 მაულიდა (88).

**რეიმსი–ნიცა 3:1**

გოლები: 1:0 დიეგო (16), 1:1 ცვიტანიჩი (63), 2:1 კურტე (87), 3:1 კურტე (90).

**ტულუზი–ვალანსიენი 2:2**

გოლები: 0:1 კადირი (12), 0:2 სანჩესი (15), 1:2 ბენ იედერი (56), 2:2 რეგატენი (90).

**ბრესტი–ბორდო 1:1**

გოლები: 1:0 ბენ ბასატი (37), 1:1 დიაბატე (68).

**ლორიანი–ლიონი 1:1**

გოლები: 0:1 გომისი (23), 1:1 ალიადიერი (47)

**მარსელი–პსჟ 2:2**

გოლები: 1:0 ჟინიაკი (17), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (23), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (25), 2:2 ჟინიაკი (32).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 8 | 6 | 1 | 1 | 12-7 | 19 |
| 2. პსჟ | 8 | 4 | 4 | 0 | 14-5 | 16 |
| 3. ლიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| 4. ლორიანი | 8 | 3 | 5 | 0 | 14-9 | 14 |
| 5. რეიმსი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 14 |
| 6. ბორდო | 8 | 3 | 5 | 0 | 10-6 | 14 |
| 7. ტულუზი | 8 | 3 | 4 | 1 | 11-9 | 13 |
| 8. ვალანსიენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13-8 | 12 |
| 9. სტ. ეტიენი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-6 | 11 |
| 10. ლილი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-10 | 10 |
| 11. რენი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-11 | 10 |
| 12. ბრესტი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-13 | 10 |
| 13. ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 12-20 | 10 |
| 14. აიაჩო | 8 | 3 | 2 | 3 | 6-9 | 9 |
| 15. მონპელიე | 8 | 2 | 2 | 4 | 11-12 | 8 |
| 16. ნიცა | 8 | 1 | 5 | 2 | 11-12 | 8 |
| 17. ევიანი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-11 | 8 |
| 18. სოშო | 8 | 2 | 0 | 6 | 7-13 | 6 |
| 19. ნანსი | 8 | 1 | 1 | 6 | 2-14 | 4 |
| 20. ტრუა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-18 | 2 |

.*აიაჩოს – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 9 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 6 – ბენ იედერი (ტულუზი); 5 – ჟინიაკი (მარსელი), ობამეიანი (სენტ ეტიენი), ხელიფა (ევიანი);

საფრანგეთის ჩემპიონატის მერვე ტური საინტერესო, უხვგოლიანი და დრამატული მატჩებით სავსე გამოდგა. ტური პარასკევს "სტად ჟოფრუა გიშარზე" დაიწყო, სადაც "სენტ ეტიენმა" "ნანსის" უმასპინძლა. "მწვანეებმა" მატჩს ინტრიგა შეხვედრის დებიუტშივე მოუკლეს: 25-ე წუთზე ანგარიში უკვე 4:0 იყო, თან სტუმრები მოედანზე ათნი იყვნენ, ვინაიდან არბიტრმა მათ **სიმონ ზენკე** გაუძევა. დუბლი შეასრულა **ბრანდაომ**, რომლისთვისაც ეს "სენტ ეტიენის" მაისურით პირველი გოლები იყო, ხოლო **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** ჩემპიონატში უკვე მე-5 გოლი გაიტანა. "ნანსიმ" ლიგა 1-ში ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო, არადა ორი ტურის შემდეგ **ჟან ფერნანდესის** შეგირდებს 4 ქულა ჰქონდათ.

როგორც იქნა, მოიგო "ლილმა". საფრანგეთის ექსჩემპიონს 3 ქულა პირველი ტურის შემდეგ არ ჰქონდა მოპოვებული და ეს 7-მატჩიანი მოუგებელი სერია "ლილმა" "აიაჩოსთან" **ნოლან რუს** და **რაიან მენდესის** გოლების წყალობით შეწყვიტა. **რუდი გარსიას** გუნდი, ამ მოგების შემდეგ, 10 ქულით მე-10 ადგილზეა. "ძაღლებს" საინტერესო ბურთების სხვაობა აქვთ: 10-10.

დრამატული გამოდგა მატჩი, რომელიც კორსიკაზე გაიმართა. ლიგა 1-ის აუტსაიდერი "ტრუა" ორჯერ აგებდა "ბასტიასთან", მაგრამ ანგარიში ორჯერვე გაათანაბრა. ამის შემდეგ არბიტრმა სტუმრებს ჯერ **ნსაკალა**, შემდეგ კი **ტიაგო შავიერი** გაუძევა. მასპინძლებმა 9-კაციანი სტუმრების წინააღმდეგობის გატეხა მხოლოდ 88-ე წუთზე შეძლეს, როდესაც გამოცდილმა **ტეოფილუ მაულიდამ ანგულას** პასით ისარგებლა და "ბასტიას" ჩემპიონატში მესამე თამაში მოაგებინა, "ტრუა" კი ორი ქულით ბოლო, მე-20 ადგილზეა.

ისევ დამარცხდა "მონპელიე". ჩემპიონმა ამჯერად შინ "ევიანთან" წააგო. **რენე ჟირარის** შეგირდები ჯერ აგებდნენ, შემდეგ კი **ესტრადას** და **კამარას** გოლების წყალობით იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა სტუმართა ტუნისელ ფორვარდ **საბერ ხელიფას** ვერაფერი მოუხერხეს. 25 წლის ფორვარდმა საბოლოოდ ჰეთთრიქი შეასრულა და საკუთარ გუნდს სტუმრად პირველი თამაში მოაგებინა. "მონპელიეს" აშკარად ეტყობა, რომ ორ ფრონტზე სათამაშოდ მზად არ არის – ჩემპიონთა ლიგაში ნორმალურ თამაშს, ჩემპიონი ეროვნულ პირველობაზე საშინელ ასპარეზობას უთავსებს. ამ მარცხის შემდეგ "მონპელიე" სატურნირო ცხრილში მე-15 ადგილამდე დაქვეითდა.

კვირას დაუმარცხებელი გუნდები თამაშობდნენ. "ბორდო" "ბრესტს" ეწვია და ვერ მოუგო, თუმცა **ფრანსის ჟიო** უკმაყოფილო არ დარჩენილა, რადგან ჟირონდელებმა კინაღამ წააგეს. მასპინძლები **ბენ ბასატის** გოლის წყალობით იგებდნენ, ხოლო სტუმართა მხრიდან თავი **შეიკ დიაბატემ** გამოიჩინა, რომელმაც ანგარიში 68-ე წუთზე გაათანაბრა.

"ლიონი" "ლორიანს" ეთამაშა და "ბორდოს" მსგავსად მხოლოდ ქულას დასჯერდა. "ლორიანის" გამოსვლა მცირე საოცრებაა, რადგან გუნდი აშკარა დასუსტების მიუხედავად, ჯერ კიდევ დაუმარცხებელია, თან **კრისტიან გურკუფის** შეგირდებმა უკვე "პარი სენ-ჟერმენთან", "მონპელიესთან", "რენთან" და "ლიონთან" ითამაშეს. ამ შეხვედრაში მამა-შვილის დუელი არ შედგა, ვინაიდან **იოან გურკუფი** კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ სათამაშოდ ჯერ მზად არ არის. **რემი გარდის** გუნდი **გომისმა** დააწინაურა. პირველი ტაიმი "ლიონმა" მოიგო, მეორე ტაიმის დასაწყისში კი **ჟერემი ალიადიერმა კორნიეს** გადაცემა გამოიყენა და მასპინძლებს ქულა მოუტანა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი მარსელში გაიმართა. "ველოდრომზე" ფრანგული კლასიკო შედგა. შეხვედრას დამატებით ინტრიგას სძენდა ისიც, რომ წელს "მარსელიც" და "პარი სენ-ჟერმენიც" ჩემპიონობისთვის იბრძვიან, ასეთი რამ კი უკვე წლებია არ მომხდარა. გამარჯვების შემთხვევაში სტუმრები პროვანსელებს ქულებით წამოეწეოდნენ და ბურთების უკეთესი სხვაობით გადასწრებდნენ კიდეც. ბოლო 7 კლასიკოდან "მარსელს" 5 ჰქონდა მოგებული, პსჟ-ს კი მხოლოდ ორი.

მატჩი მასპინძლების შეტევით დაიწყო და უკვე 17-ე წუთზე **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** ანგარიში გახსნა. "მარსელის" ქომაგთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან პარიზელებს გუნდში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ჰყავთ – შვედმა 23-ე და 25-ე წუთებზე ორი გოლი გაიტანა და წინ უკვე **კარლო ანჩელოტის** გუნდი გავიდა, თუმცა 7 წუთში **ვალბუენას** პასით ჟინიაკმა ანგარიში გაათანაბრა. პირველი ტაიმი საბოლოოდ ასეც დასრულდა.

მეორე ტაიმში კარლო ანჩელოტიმ უცნაური ცვლილებები განახორციელა: **პასტორეს**, **ვერატის** და **მენეზის** მაგივრად მოედანზე **გამეირო**, **არმანი** და **ვან დერ ვილი** შეუშვა, შესაბამისად გუნდი შედარებით დაცვით ტაქტიკაზე გადააწყო და გასაკვირი ნამდვილად არ იყო, რომ მეორე ნახევარში გუნდებმა გოლი ვერ გაიტანეს. საბოლოოდ კლასიკო მშვიდობიანად დასრულდა - ფრე 2:2 და "ოლიმპიკი" ისევ ლიდერია.

**ტატო ბაციკაძე**




ჟინიაკმა და ზლატანმა 2-2 გოლი გაიტანეს

## ჰოლანდია

ერედივიზიე. VIII ტური.

**ნაიმეგენი–დენ ჰააგი 1:1**

გოლები: 1:0 ჯორჯი (47), 1:1 ვან დუინენი (58).

**ვილემ II–ვაალვეიკი 1:0**

გოლი: იოაკიმი (55).

**ზვოლე–ჰერაკლესი 0:3**

გოლები: 0:1 ს. არმენტეროსი (14), 0:2 გურიე (68), 0:3 გურიე (81).

**ვიტესი–ჰერენვენი 3:3**

გოლები: 0:1 ფინბოგასონი (36), 1:1 ბონი (53), 1:2 ფინბოგასონი (63), 2:2 ბონი (70), 2:3 კუმსი (74), 3:3 ბონი (79-პენ).

**როდა–ვენლო 3:0**

გოლები: 1:0 მალკი (33), 2:0 ფლედერუსი (54), 3:0 მალკი (71).

**აიაქსი–უტრეხტი 1:1**

გოლები: 1:0 ბაბელი (6), 1:1 სპორკსლედე (51-საკ. კარში).

**პსვ–ბრედა 4:0**

გოლები: 1:0 ლენსი (23), 2:0 ტოივონენი (46), 3:0 ვან ბომელი (56), 4:0 ვაინალდუმი (85).

**გრონინგენი–ფეიენოორდი 2:2**

გოლები: 0:1 ს. სისე (9), 1:1 ბაკუნა (14), 2:1 ვან დაიკი (45), 2:2 მარტინს ინდი (90).

**ტვენტე–ალკმაარი 3:0**

გოლები: 1:0 ჩადლი (20), 2:0 ტადიჩი (60-პენ), 3:0 კასტაინოსი (62).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 8 | 7 | 0 | 1 | 19-5 | 21 |
| 2. პსვ | 8 | 6 | 0 | 2 | 28-6 | 18 |
| 3. ვიტესი | 8 | 5 | 3 | 0 | 15-7 | 18 |
| 4. აიაქსი | 8 | 4 | 4 | 0 | 20-7 | 16 |
| 5. ფეიენოორდი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 14 |
| 6. უტრეხტი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| 7. დენ ჰააგი | 8 | 2 | 5 | 1 | 16-13 | 11 |
| 8. გრონინგენი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-16 | 11 |
| 9. ჰერაკლესი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-12 | 10 |
| 10. ვაალვეიკი | 8 | 2 | 4 | 2 | 11-12 | 10 |
| 11. ალკმაარი | 8 | 2 | 3 | 3 | 14-16 | 9 |
| 12. ნაიმეგენი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-17 | 9 |
| 13. ჰერენვენი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-12 | 7 |
| 14. როდა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 7 |
| 15. ვილემ II | 8 | 1 | 3 | 4 | 5-14 | 6 |
| 16. ზვოლე | 8 | 1 | 2 | 5 | 4-14 | 5 |
| 17. ბრედა | 8 | 1 | 2 | 5 | 5-17 | 5 |
| 18. ვენლო | 8 | 0 | 3 | 5 | 7-21 | 3 |

**ბომბარდირები:** 8 – ალტიდორი (ალკმაარი), ბონი (ვიტესი); 5 – ფინბოგასონი (ჰერენვენი), იმერსი (ფეიენოორდი).

**ტატო ბაციკაძე**

## ბელგია. ჟუპილერლიგა. X ტური

| | |
|---|---|
| ჟერმინალი-გენტი | 2:2 |
| შარლერუა-ლუვენი | 0:4 |
| მეხელენი-კორტრეიკი | 0:2 |
| ლოკერენი-ლიერსი | 2:2 |
| ვაასლანდი-მონსი | 2:2 |
| ვარეგემი-სერკლ ბრიუგე | 3:1 |
| სტანდარდი–ანდერლეხტი | 2:1 |
| ბრიუგე-გენკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 10 | 6 | 4 | 0 | 25-12 | 22 |
| 2. ვარეგემი | 10 | 6 | 1 | 3 | 19-13 | 19 |
| 3. ანდერლეხტი | 10 | 5 | 4 | 1 | 18-10 | 19 |
| 4. გენკი | 10 | 4 | 6 | 0 | 17-12 | 18 |
| 5. კორტრეიკი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-10 | 17 |
| 6. გენტი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-13 | 16 |
| 7. ბეერსხოტი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-15 | 14 |
| 8. ლუვენი | 10 | 3 | 5 | 2 | 21-17 | 14 |
| 9. სტანდარდი | 10 | 4 | 1 | 5 | 20-18 | 13 |
| 10. მონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 19-20 | 12 |
| 11. ლოკერენი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-16 | 12 |
| 12. მეხელენი | 10 | 3 | 2 | 5 | 16-16 | 11 |
| 13. ლიერსი | 10 | 1 | 7 | 2 | 11-13 | 10 |
| 14. შარლერუა | 10 | 2 | 1 | 7 | 10-23 | 7 |
| 15. ბევერენი | 10 | 1 | 4 | 5 | 11-19 | 7 |
| 16. სერკლ ბრიუგე | 10 | 1 | 1 | 8 | 8-24 | 4 |

**ლევან ბიბილაშვილი**

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური

# მიუნხენში ქეიფის დროა!

## აინტრახტიც დამარცხდა და ფორტუნაც, წაუგებელი მხოლოდ ბაიერნია



ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე (მარცხნივ), მწვრთნელი იუპ ჰაინკესი (შუაში) და სპორტული დირექტორი მათიას ზამერი გუშინ, ოქტობერფესტის აღსანიშნავ საღამოზე

7 თამაში, 7 მოგება, ბურთების შეფარდება 21:2 - ეს ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო სტარტია და როგორც მიხვდით, „ბაიერნს" ეკუთვნის. ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგაში, ბატესთან მოულოდნელმა მარცხმა რეკორდმაისტერზე ოდნავადაც არ იმოქმედა - **იუპ ჰაინკესის** გუნდმა „ჰოფენჰაიმი", როგორც მოსალოდნელი იყო, უპრობლემოდ დაამარცხა (2:0).

„ბაიერნს" კვლავ არ ჰყავდა **არიენ რობენი** და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ამ სეზონში ერთი-ორი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა რეკორდმაისტერს პრობლემას არ უქმნის. რობენის არყოფნაში, **ფრანკ რიბერიმ** იფრინა - „ჰოფეს" კარში გატანილი ორივე გოლი მის ანგარიშზეა. ფრანგმა მე-19 წუთზე „სოფლელების" საჯარიმოს მარცხნიდან შეუტია, **ანდრეას ბეკი** ცრუმოძრაობით გააოგნა და მეკარე **კასტეელს** ხუთი მეტრიდან გაუტანა. ამ გოლს ბავარიელთა სკამზე დემონსტრაციული ზეიმი მოჰყვა - ჰაინკესმა და „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** ხელი ხელს დაჰკრეს. იუპი და მათიასი მართლა შერიგდნენ, თუ ეს მხოლოდ საჩვენებელი ხასიათის ჟესტი იყო, ამას მალე გავიგებთ, ფაქტი კი ის არის, რომ გუნდი არ მოშლილა და ისევ იდეალურად ფუნქციონირებს.

რიბერის მეორე გოლიც მოხდენილი გამოუვიდა და ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სეზონში საუკეთესო ბავარიელია, საფეხბურთო გერმანია კი კვლავ დიდი ინტერესით ელის იმ დღეს, როცა რეკორდმაისტერი ქულებს პირველად დაკარგავს. მომდევნო ტურში მიუნხენელები დიუსელდორფში ჩადიან და წესით, გამარჯვება არც იქ უნდა გაუჭირდეთ.

### მაგათის საქმე ცუდადაა

**ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგმა" ვერც გელზენკირხენში ივარგა - მიუხედავად სამი წამყვანი ფეხბურთელის **(დრაქსლერი, ჯონსი, პაპადოპულოსი)** არყოფნისა, „შალკემ" „დესპოტი ფელიქსი" და მისი გუნდი 3:0 დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკე" „ბაიერნის" ნომერ პირველი მდევრის სტატუსისთვის ბრძოლას აგრძელებს, ხოლო „ვოლფსბურგი" კი ცხრილის ფსკერზე „ყვინთავს" და თუ ასე გაგრძელდა, „მგლების" ხელმძღვანელები მწვრთნელის შეცვლაზე დაფიქრდებიან.

პირველ ტურში გამარჯვების (1:0 შტუტგარტში) შემდეგ, რომელიც ნაღდად შემთხვევითობა ყოფილა, მაგათის შეგირდებს ერთი მატჩიც არ მოუგიათ და გელზენკირხენშიც ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ. პირველ ტაიმში „შალკემ" „ვოლფსბურგი" საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა, **ჯეფერსონ ფარფანმა** კი გოლი სულ მუშტების ქნევით იზეიმა - ცხადია, რომ მაგათს უმიზნებდა, რომელიც „შალკეში" მუშაობისას ფარფანს არ სწყალობდა და მისი გაშვება სურდა.

მეორე ტაიმში „ვოლფსბურგი" ისეთ გუნდს ჰგავდა, რომელიც პირველ ბუნდესლიგაში თამაშს არ იმსახურებს. ამას რამდენიმე მიზეზის გამო ვამბობთ, რომელთაგან მთავარს **იბრაჰიმ აფელაის** პირველი ბუნდესლიგური გოლი მოჰყვა - „ვოლფსბურგის" უკანახაზელებმა კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი. მოგვიანებით, „შალკეს" მხრიდან კიდევ ერთმა ახალწვეულმა, **რომან ნოიშტედტერმა** გაიტანა და „ვოლფსბურგი" კრიზისში ჩატოვა.

### დიუსელდორფს ფორტუნამ უღალატა

ცხადი იყო, რომ დიუსელდორფის „ფორტუნა" წაუგებელ სერიას დიდხანს ველარ შეინარჩუნებდა - სადამდეც შეინარჩუნა, ესეც დიდი მიღწევაა. **ნორბერტ მაიერის** შეგირდებმა პირველი მარცხი მაინცში განიცადეს (0:1) და სხვათა შორის, გასვლით მატჩებში პირველი გოლი გაუშვეს. საქმეს დიდხანს უჩანდა ისეთი პირი, რომ „ფორტუნა" მაინცშიც 0:0-ს დააფიქსირებდა, მაგრამ 78-ე წუთზე დიუსელდორფელებს **ოლივერ ფინკი** გაუძევეს, რის შემდეგაც „მაინცმა" „ფორტუნა" მაგრად დაწნეხა და 85-ე წუთზე მიზანსაც მიაღწია: **ნიკოლჩე ნოვესკიმ** გამარჯვების გოლი კუთხურიდან გაიტანა. მარცხის მიუხედავად, „ფორტუნა" მაინც ცხრილის ზედა ნახევარში დარჩა, მაინცელები კი ამ ზონას ძალიან მიუახლოვდნენ.

### ჰამბურგი: აღმასვლა გრძელდება

„ჰამბურგმა" „ფიურტი" სტუმრად 1:0 დაამარცხა და აღმასვლას აგრძელებს. **ტორსტენ ფინკის** გუნდს, რომელმაც პირველი სამი მატჩი წააგო, ბოლო ოთხ შეხვედრაში 10 ქულა აქვს მოპოვებული, წარმატებების ერთ-ერთი მთავარი გარანტი კი, მეკარე **რენე ადლერთან** და გამთამაშებელ **რაფაელ ვან დერ ვაარტთან** ერთად, კორეელი **სონია**. „ფიურტის" კარში სამი ქულის მომტანი გოლი სწორედ მან გაიტანა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ სონის ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 4 გოლია. მეორე ტაიმში ფიურტელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საკუთარ მოედანზე მეოთხე მატჩიც არ წაეგოთ, ან მინიმუმ პირველი გოლი მაინც გაეტანათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. „ფრაიბურგმა" კი „ნიურნბერგი" 3:0 გაანადგურა...

### დორტმუნდის მძიმე დღე

გუშინ, დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰანოვერთან" გასვლით მატჩში ორი ქულა და სამი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. ჯერ შესანიშნავ ფორმაში მყოფი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** დაშავდა (პოლონელი პირველივე ტაიმში შეცვალეს), მერე დაცვის ბურჯი **მატს ჰუმელსი**, რომელიც შესვენების შემდეგ მოედანზე აღარ გამოსულა, მეორე ნახევარში კი საყრდენმა ნახევარმცველმა **სვენ ბენდერმა დიდიე ია კონანთან** ორთაბრძოლისას სახის დაზიანება მიიღო და ისიც შესაცვლელი გახდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს მოუწევთ მათ ლაზარეთში ყოფნა – კიდევ კარგი, რომ წინ სანაკრებო პაუზაა, თორემ მერე დორტმუნდელებს ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით „შალკესთან" და ჩემპიონთა ლიგაში მადრიდის „რეალთან".

რაც შეეხება მატჩს: **იურგენ კლოპის** შეგირდები **რობერტ ლევანდოვსკის** გოლით (პოლონელმა ამ სეზონში მეორედ იხეირა) იგებდნენ, მაგრამ „ჰანოვერმა" დაამტკიცა, რომ საშუალო დონის გერმანული კლუბებიდან ყველაზე კარგ ფორმაშია, მეორე ტაიმში ჩემპიონის კართან არაერთი მომენტი შექმნა და მიზანს მაინც მიაღწია: შეცვლ ზე შესულმა **დიუფმა** წონასწორობა აღადგინა.

გუშინვე, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" უკუსვლა შეაჩერა: **ლუსიენ ფავრის** ბიჭებმა **ხუან არანგოსა** და **ლუუკ დე იონგის** გოლებით სენსაციური „აინტრახტი" დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ წაგებისა, ფრანკფურტელები მაინც მეორე ადგილზე დარჩნენ – უბრალოდ, „ბაიერნს" ახლა უკვე 5 ქულით ჩამორჩებიან. „შტუტგარტმა" და „ლევერკუზენმა" კი ქულები გაიყვეს (2:2).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

**19 ოქტომბერი.** ჰოფენჰაიმი-ფიურტი.

**20 ოქტომბერი.** ბორუსია (დ)-შალკე, ლევერკუზენი-მაინცი, ვოლფსბურგი-ფრაიბურგი, აინტრახტი-ჰანოვერი, ფორტუნა-ბაიერნი, ვერდერი-ბორუსია (მ).

**21 ოქტომბერი.** ნიურნბერგი-აუგსბურგი, ჰამბურგი-შტუტგარტი.

### თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური

**ტრაბზონი-კასიმფაშა** 1:0
გოლი: 1:0 ადინი (7)

**გაზიანთეფი-ანთალია** 0:1
გოლი: 0:1 ლ. დიარა (31)

**ქარაბიუქი-ორდუ** 1:1
გოლები: 1:0 შელტონი (5), 1:1 სტანჩუ (67)

**ბუიუქშეჰირი-გენჩლერბირლიგი** 0:2
გოლები: 0:1 ა. დემირი (54), 0:2 მერიჩი (60)

**გალათასარაი-ესქიშეჰირი** 1:1
გოლები: 1:0 ბ. ილმაზი (59), 1:1 ზენგინი (89)

**ელაზიგი-ახისარი** 0:0

**სივასი-ბურსა** 2:2
გოლები: 0:1 დენიზი (13), 0:2 ბელუში (59), 1:2 ნავრატილი (85), 2:2 ენერამო (87)

**მერშინი-ქაისერი** 1:2
გოლები: 0:1 კლეიტონი (20), 1:1 ნობრე (53), 1:2 სტეინსონი (77)

**ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში** 3:0
გოლები: 1:0 სოუ (13), 2:0 გიონული (40), 3:0 გიონული (59)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-9 | 14 |
| 2. ორდუ | 7 | 3 | 4 | 0 | 10-5 | 13 |
| 3. გენჩლერბირ. | 7 | 3 | 3 | 1 | 13-7 | 12 |
| 4. კასიმფაშა | 7 | 4 | 0 | 3 | 11-5 | 12 |
| 5. ფენერბაჰჩე | 7 | 3 | 3 | 1 | 9-4 | 12 |
| 6. ტრაბზონი | 7 | 3 | 3 | 1 | 6-3 | 12 |
| 7. ანთალია | 7 | 4 | 0 | 3 | 10-8 | 12 |
| 8. სივასი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 12 |
| 9. ესქიშეჰირი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 |
| 10. ბურსა | 7 | 2 | 3 | 2 | 11-9 | 9 |
| 11. ბეშიქთაში | 7 | 2 | 2 | 3 | 12-11 | 8 |
| 12. ბუიუქშეჰირი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| 13. ქარაბიუქი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |
| 14. გაზიანთეფი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-11 | 7 |
| 15. ქაისერი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-15 | 7 |
| 16. ახისარი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-11 | 6 |
| 17. მერშინი | 7 | 0 | 4 | 3 | 8-12 | 4 |
| 18. ელაზიგი | 7 | 0 | 3 | 4 | 2-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 – უმუთ ბულუთი (გალათასარაი), უჩე (კასიმფაშა), ვებო (ბუიუქშეჰირი), ბ. ილმაზი (გალათასარაი); 4 – პინტუ (ბურსა), სტანჩუ (ორდუ).

### აუგსბურგი-ვერდერი 3:1

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ამსიფი - ვერჰეგი, ს. ლანგკამპი, კლავანი, მ. დე იონგი - ფოგტი, ბაიერი - მუსონა (86. პეტრჟელა), მორავეკი (57. ბონსე), ვერნერი - ს. ჰაინი (72. ოტლი).

**ვერდერი (4-1-4-1):** მილიტცი - ფრიტცი, პრიოდლი, სოკრატისი, შმიტცი (46. გებრე სელასიე) - იუნუზოვიჩი - არნაუტოვიჩი (69. პეტერსენი), დე ბრუინი, ჰანტი, ელია (62. ფიულკრუგი) - აკპალა.

**გოლები:** 1:0 ვერნერი (2), 1:1 დე ბრუინი (19), 2:1 ს. ჰაინი (32), 3:1 ბაიერი (72)

**გაფრთხილება:** ბონსე, მუსონა - შმიტცი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 12(4)-15(5); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 28 133

### ბაიერნი-ჰოფენჰაიმი 2:0

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ხავი მარტინესი (86. ლუის გუსტავო), შვაინშტაიგერი - თ. მიულერი (26. შაჩირი), კროოსი, რიბერი (89. რაფინია) - მანჯუკიჩი.

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტეელსი - ბეკი, დელპიერი, კომპერი, ჯონსონი - ვილიამსი, რუდი - ოხსი (73. შრიოკი), რობერტო ფირმინიო, უსამი (63. ვოლანდი) - ხოსელუ (63. დერდიოკი).

**გოლები:** 1:0 რიბერი (19), 2:0 რიბერი (47)

**გაფრთხილება:** ვილიამსი, ბეკი, რობერტო ფირმინიო

**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13(2)-4(1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 71 000

### შალკე-ვოლფსბურგი 3:0

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი (76. კოლაშინაცი) - ჰიოგერი, ნოიშტედტერი - ფარფანი, ჰოლტბი (87. ბარნეტა), აფელაი (73. ობასი) - ჰუნტელაარი.

**ვოლფსბურგი (4-3-2-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, პოგატეცი (52. ოლიჩი), როდრიგესი - კნოხე, ჟოსუე, მ. შეფერი (52. ჰასანი) - დიეგო, ვიეირინია (71. ფელიპე) - ლაკიჩი.

**გოლები:** 1:0 ფარფანი (33), 2:0 აფელაი (46), 3:0 ნოიშტედტერი (58)

**გაფრთხილება:** აფელაი

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13(5)-5(4); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 60 671

### ფრაიბურგი-ნიურნბერგი 3:0

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - ზორგი, გინტერი, დიანიე, მუიჯა - შუსტერი, მაკიადი - შმიდი, დ. კალიჯური - იენდრიშეკი (82. ტერაცინო), მ. კრუსე (46. ფრაისი).

**ნიურნბერგი (4-2-2-2):** რ. შეფერი - ჩენდლერი, სიმონსი, კლოზე, პინოლა - ბალიჩი (72. ფრანტცი), კოენი - მაკი (46. ესვაინი), კიოტაკე - პეკჰარტი (80. გებჰარტი), პოლტერი.

**გოლები:** 1:0 მაკიადი (36), 2:0 დ. კალიჯური (92-პენ), 3:0 ტერაცინო (93)

**გაფრთხილება:** მუიჯა, იენდრიშეკი, შუსტერი - პინოლა, რ. შეფერი, ჩენდლერი

**კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 18(7)-11(4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 800

### მაინცი-ფორტუნა 1:0

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - პოსპეხი, ნოვესკი, ბუნგერტი (40. კირხჰოფი), ჟუნიორ დიასი - სოტო, ბაუმგარტლინგერი - პოლანსკი (46. მალი), ივანშიტცი, ნ. მიულერი (72. მ. კალიჯური) - სალაი.

**ფორტუნა (4-2-3-1):** გიფერი - ლეველსი, მალეზასი, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი - ბოძეკი, ო. ფინკი - კრუსი, ილსიო (72. ვორონინი), ბელინგჰაუზენი (64. დუ-რი ჩა) - შაჰინი (80. ხუანანი).

**გოლი:** 1:0 ნოვესკი (85)

**გაძევება:** ო. ფინკი (78. ფორტუნა)

**გაფრთხილება:** ნოვესკი, ჟუნიორ დიასი, კირხჰოფი, ბაუმგარტლინგერი - შაჰინი, კრუსი

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 22-13; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13(3)-7(4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 31 577

### ფიურტი-ჰამბურგი 0:1

**ფიურტი (4-1-3-2):** გრიუნი - ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი - ფიურშტნერი - სარარერი (60. მიკელსენი), პრიბი (76. ნიოთე), შტიბერი - ედუ, ასამოა (88: სობიეხი).

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, იანსენი - ბადელი, არსლანი - სონი (90. სალა), ვან დერ ვაარტი (88. ბრუმა), ირაჩეკი - რუდნევსი (92. ბერგი).

**გოლი:** 0:1 სონი (17)

**გაფრთხილება:** პრიბი, ნერიგი, სარარერი, ედუ - დიკმაიერი, იანსენი

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 22-24; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12(2)-8(4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 18 000

### ბორუსია (მ)-აინტრახტი 2:0

**ბორუსია /მ/ (4-2-3-1):** ტერ შტეგენი – იანჩკე, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, დემსი – ნორდტვეიტი, მარქსი – რუპი (92. ბრუვერსი), ჯაკა (70. ჰრგოტა), არანგო – ლ. დე იონგი (81. დე კამარგო).

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი – ს. იუნგი, სამბრანო, დემიდოვი, ოჩიპკა – შვეგლერი (87. ჰოფერი), როდე – აიგნერი, ა. მაიერი, ინუი (57. მატმური) – ოუშენი.

**გოლები:** 1:0 არანგო (8), 2:0 ლ. დე იონგი (24)

**გაფრთხილება:** ალვარო დომინგესი, ლ. დე იონგი, მარქსი, რუპი

**კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 8-5; **კარში დარტყმა:** 6(3)-12(3); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 51 193

### შტუტგარტი-ლევერკუზენი 2:2

**შტუტგარტი ([illegible]):** ულრაიხი – საკაი, მასა, ნიდერმაიერი, ბოკა – კვისტი – გენტნერი, ჰოლცჰოიზერი (77. კუჟმანოვიჩი) – ჰარნიკი, ტრაორე (69. თორუნი) – იბიშევიჩი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო – კარვახალი (62. რენატო/75. ჰოსოგაი), ვოლშაიდი, ტოპრაკი, კადლეცი – რაინარტცი – როლფესი, კასტრო – ბელარაბი, შიურლე (77. სემი) – კისლინგი.

**გოლები:** 0:1 კისლინგი (13), 1:1 იბიშევიჩი (19-პენ), 2:1 იბიშევიჩი (55), 2:2 კისლინგი (59)

**გაფრთხილება:** ნიდერმაიერი, საკაი – როლფესი, ვოლშაიდი, ტოპრაკი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10(2)-13(6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 47 400

### ჰანოვერი-ბორუსია (დ) 1:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო (81. ჰ. საკაი), ეგიმანი, ჰაგი, რაუში – შტინდლი, და სილვა პინტუ (77. აბდელაუ) – შლაუდრაფი, ჰუშტი – ზობიხი (67. მ. დიუფი), ია კონანი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი (46. ფელიპე სანტანა), შმელცერი – კელი, ს. ბენდერი (74. ლაიტნერი) – ბლაშჩიკოვსკი (39. გროსკროიტცი), გიოტცე, როისი – ლევანდოვსკი.

**გოლები:** 0:1 ლევანდოვსკი (26), 1:1 მ. დიუფი (86)

**გაფრთხილება:** ზობიხი, ჩერუნდოლო, შლაუდრაფი, შტინდლი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14(6)-12(3); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 49 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 7 | 7 | 0 | 0 | 21-2 | 21 |
| 2. აინტრახტი | 7 | 5 | 1 | 1 | 16-10 | 16 |
| 3. შალკე | 7 | 4 | 2 | 1 | 15-7 | 14 |
| 4. ბორუსია (დ) | 7 | 3 | 3 | 1 | 17-9 | 12 |
| 5. ჰანოვერი | 7 | 3 | 2 | 2 | 15-10 | 11 |
| 6. ლევერკუზენი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-9 | 11 |
| 7. ფორტუნა | 7 | 2 | 4 | 1 | 6-3 | 10 |
| 8. ჰამბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 9. მაინცი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-8 | 10 |
| 10. ბორუსია (მ) | 7 | 2 | 3 | 2 | 9-12 | 9 |
| 11. ფრაიბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 11-10 | 8 |
| 12. ვერდერი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-14 | 7 |
| 14. ნიურნბერგი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-14 | 7 |
| 15. შტუტგარტი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-14 | 6 |
| 16. აუგსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 5 |
| 17. ვოლფსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 2-13 | 5 |
| 18. ფიურტი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-11 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 – მანჯუკიჩი (ბაიერნი); 4 – კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი), თ. მიულერი (ბაიერნი), როისი (ბორუსია /დ/), სონი (ჰამბურგი), შაჰინი (ფორტუნა.

### II ბუნდესლიგა. IX ტური

**ჰერტა-მიუნხენ 1860** 3:0
გოლები: 1:0 რამოსი (55), 2:0 ბენ ჰატირა (57), 3:0 ბენ-ჰატირა (77)

**ზანკტ პაული-უნიონი** 2:2
გოლები: 0:1 მატუშკა (21), 1:1 მორი (48), 2:1 ბარტელსი (69), 2:2 მატუშკა (84)

**ფრანკფურტი-პადერბორნი** 1:1
გოლები: 0:1 პ. ჰოფმანი (70), 1:1 კაპლანი (93-პენ)

**ბრაუნშვაიგი-ბოხუმი** 3:0
გოლები: 1:0 ბიჩაქჩიჩი (21), 2:0 ადემი (63), 3:0 კრუპკე (85)

**კოტბუსი-დუისბურგი** 0:1
გოლი: 0:1 სუკალო (20)

**ინგოლშტადტი-კაიზერსლ.** 1:1
გოლები: 0:1 ბუნიაკუ (68), 1:1 შეფლერი (80)

**აუე-რეგენსბურგი** 3:1
გოლები: 1:0 ჰოხშაიდტი (34), 2:0 სილვესტრი (58), 2:1 რანი (86-პენ), 3:1 კიონიგი (89)

**ზანდჰაუზენი-აალენი** 1:0
გოლი: 1:0 ონუეგბუ (19)

**კიოლნი-დინამო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 9 | 7 | 2 | 0 | 16-3 | 23 |
| 2. ჰერტა | 9 | 5 | 3 | 1 | 16-10 | 18 |
| 3. კაიზერსლ. | 9 | 4 | 5 | 0 | 15-10 | 17 |
| 4. კოტბუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-9 | 17 |
| 5. მიუნხენ 1860 | 9 | 4 | 4 | 1 | 13-6 | 16 |
| 6. აალენი | 9 | 5 | 0 | 4 | 12-9 | 15 |
| 7. ფრანკფურტი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| 8. ინგოლშტადტი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-11 | 13 |
| 9. პადერბორნი | 9 | 3 | 2 | 4 | 15-12 | 11 |
| 10. რეგენსბურგი | 9 | 3 | 0 | 6 | 9-10 | 9 |
| 11. უნიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-15 | 9 |
| 12. ზანდჰაუზენი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-14 | 9 |
| 13. ბოხუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 5-12 | 9 |
| 14. დინამო | 8 | 2 | 2 | 4 | 11-12 | 8 |
| 15. კიოლნი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-9 | 8 |
| 16. აუე | 9 | 2 | 2 | 5 | 7-12 | 8 |
| 17. ზანკტ პაული | 9 | 1 | 4 | 4 | 6-12 | 7 |
| 18. დუისბურგი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-19 | 5 |

**ბომბარდირები:** 5 – ბუნიაკუ (კაიზერსლაუტერნი), კაპლანი (ფრანკფურტი), სანოგო (კოტბუსი).

### III ბუნდესლიგა

ოსნაბრიუკი-ვეენი 2:2, ბურგჰაუზენი-ჰალეშერი 2:0, შტუტგარტი II-ჰაიდენჰაიმი 0:2, ერფურტი-შტუტ. კიკერსი 0:3, კარლსრუე-უნტერჰახინგი 0:0, ოფენბახი-ბაბელსბერგი 5:2, ზაარბრიუკენი-პროისენ მიუნსტერი 0:0, ალემანია-დარმშტადტი 1:1, არმინია-ჰანზა 0:1, ბორუსია (დ) II-ხემნიტცი 1:2.

● ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური

# ფავორიტების სტატუს-კვო

## პირველი მშრალი თამაში

"სანდერლენდმა" "ეტიჰადზე" თითქოს უემოციოდ ითამაშა და შესაბამისად, უშანსოდ წააგო. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. პირველი გოლი მატჩის დებიუტშივე გავიდა - მე-5 წუთზე **კარლოს კუელიარმა კარლოს ტევესის** წინაალმდეგ დაარღვია თამაშის წესები. არბიტრმა საჯარიმო დანიშნა, რომელიც თავისი ჯადოსნური მარცხენა ფეხით **ალექსანდარ კოლაროვმა** მეკარისგან ახლო, ზედა კუთხეში გაახვია. 21-ე წუთზე ანგარიში შეიძლებოდა კიდევ ერთხელ შეცვლილიყო, მაგრამ ჯერ **პაბლო საბალეტამ** და მერე ტევესმა თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს. მასპინძელთა უპირატესობა თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მინდორზე უსაქმურად მდგარი **მარიო ბალოტელის** მაგივრად **სერხიო აგუეროს** გამოჩენამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. შეცვლაზე შესულმა არგენტინელმა **დავიდ სილვასა** და კოლაროვის მიერ გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა. სერბმა გოლს საგოლე პასიც დაამატა. მატჩის დასრულებას ორიოდე წუთი უკლდა, როცა **ჯეიმს მილნერმა** მარცხენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა **სიმონ მინიოლეს** კარში პირდაპირ გაუშვა. **კრეიგ გარდნერმა** თავით ბურთს მიმართულება ოდნავ შეუცვალა – 3:0. ჰო, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ "მანჩესტერ სიტიმ" წელს პირველად მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

## ლიდერების ბრწყინვალება

შეიძლება ითქვას, რომ "ჩელსიმ" "ნორვიჩთან" კარგად წაივარჯიშა. **რობერტო დი მატეოს** გუნდმა ზედიზედ მეორედ გაანადგურა მეტოქე (ჩემპიონთა ლიგაში "ნორშელანთან" 4:0-ის ჩათვლით) "იადონები" კი მიყოლებით მეორედ დამარცხდნენ სამბურთიანი სხვაობით (წინა ტურში "ლივერპულთან" 2:5). ანგარიშის გახსნას დიდი დრო არ დასჭირვებია. მე-11 წუთზე მასპინძელთა დაცვა ჩავარდა. **სებასტიან ბასონგმა** საჯარიმოში ბურთისთვის ბრძოლა უპრობლემოდ მოიგო და **გრანტ ჰოლტს** დაუგდო. უკანასკნელისთვის ხელი არავის შეუშლია. **პეტრ ჩეხი** უძლური აღმოჩნდა. ანგარიში ზუსტად სამ წუთში გათანაბრდა. მარჯვენა ფლანგზე **ხუან მატამ** ტექნიკური მოძრაობით მიიღო გრძელი პასი და უკან **ბრანისლავ ივანოვიჩს** დაუგორა. სერბმა ბურთი საჯარიმოში დაკიდა, სადაც **ფერნანდო ტორესმა** რბილი თავურით წონასწორობა აღადგინა. „ელ ნინიო" მეორე გოლის მომენტშიც მოექცა ყურადღების ცენტრში. ესპანელმა მაკრატელათი სცადა დარტყმა და მეტოქეს გაარტყა, ბურთი საჯარიმოს გარეთ **ფრენკ ლემპარდს** მიუვიდა, ვინც **ჯონ რადის** აუღებელი დაურტყა – ხაზის გადაკვეთამდე ბურთი მიწას ორჯერ შეეხო. პირველ ტაიმში კიდევ ერთი გოლი გავიდა. ამჯერად ყველაფერი ბევრად მარტივად მოხდა: მატამ ბურთი დიდხანს ათრია და იდეალური პასით **ედენ აზარი** მონახა. ბელგიელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და გაიტანა. ესპანელმა პლეიმეიკერმა მეორე ტაიმში კიდევ ერთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ამჯერად მან ბრანისლავ ივანოვიჩს გაუმართა ხელი. 28 წლის სერბმა 7 შეხვედრაში უკვე მე-3 გოლი გაიტანა.

## ლაუდრუპის კარგი სტარტი მირაჟი ყოფილა

"სუონსის" მიერ სეზონის კარგად დაწყებამ ბევრს (მათ შორის ჩვენც) ილუზია შეუქმნა, რომ მას მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელების წასვლა არ დაეტყობოდა, მაგრამ არც მთლად მასე ყოფილა საქმე. "გედებს" **სკოტ სინკლერის, ჯო ალენისა** და **გილფი სიგურდსონის** გამოკლებამ სერიოზულად დაარტყა. **მიკაელ ლაუდრუპი** ვერა და ვერ ახერხებს შეგირდების გონებაზე მოყვანას. მასპინძლები "ლიბერთი სტედიუმზე" მორიგი სამი ქულის დაკარგვასთან იყვნენ ახლოს, მაგრამ "რედინგს" ორბურთიანი ფორის შესანარჩუნებლად კლასი არ ეყო.

დღე დღეზე ველოდებით, როდის ამოეწურებათ "ქუინზ პარკის" ბოსებს **მარკ ჰიუზისადმი** ნდობა. ვფიქრობთ, "რეინჯერების" შემადგენლობიდან გამომდინარე, 7 ტურში დაგროვილი 2 ქულა საკმარისი საფუძველი იქნება ამისთვის. გეტყვით, რომ ანგარიშის მიუხედავად, ლონდონელებმა მატჩი პირწმინდად დათმეს.

"ევერტონს" ნამდვილად არ გაუმართლა. რომ არა არბიტრ **კევინ ფრენდისა** და მისი ასისტენტის შეცდომა (**არუნა კონეს** გოლი თამაშგარეს გამო გასაუქმებელი იყო), მერსისაიდელები "უიგანთან" გასვლით შეხვედრას ნამდვილად მოიგებდნენ. „ლურჯებმა" ბოლომდე იომეს და 100%-იანი პენალტით ანგარიში მატჩის მიწურულს გაათანაბრეს.

## კლასით მოგებული ლონდონური დერბი

საინტერესო მატჩი გაიმართა "აპტონ პარკზე". იძულებულნი ვართ, მეორედ გავუსვათ ხაზი, რომ ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში ძალთა შეფარდებას არ გამოხატავს. დედაქალაქელებმა მთელი მატჩი თანაბარ ბრძოლაში ჩაატარეს. მომენტები ორივე კართან თანაბრად იქმნებოდა. საბოლოო შედეგი მხოლოდ სტუმართა მაღალმა საშემსრულებლო ოსტატობამ გადაწყვიტა. უფრო კონკრეტულად კი **სანტი კასორლას** ხალასმა ნიჭმა. 27 წლის ესპანელმა დიდებული თამაში ჩაატარა. მან შეხვედრას შორეული, ეფექტური გოლით დაუსვა წერტილი.

## ისევ გაშტერდა, მამაო

ექსლივერპულელების **პიტერ კრაუჩისა** და **ჩარლი ადამის** დახმარებით "სტოკ სიტიმ" "ენფილდზე" ქულა აიღო. "წითლები" ჩვეულად თამაშობდნენ - ბურთს იდეალურად აკონტროლებდნენ, მაგრამ ზუსტ დარტყმას იშვიათად თუ აბამდნენ თავს. მეტოქის საჯარიმოში მორიგი სამარცხვინო ვარდნით გამოიჩინა თავი **ლუის სუარესმა**. იმედია, ამის მერე აღარავის გაუკვირდება, თუ რატომ აღარ სჯერათ მსაჯებს ურუგვაელის.

## მეორე ტაიმის ორი გასროლა

"ტოტენჰემმა" "ასტონ ვილასთან" პირველივე ტაიმში მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ რეალურ მომენტს ვერ ქმნიდა. მეორეში ორი გოლი გავიდა. ჯერ იყო და **კოლკერს დეფოს** დარტყმული მოხვდა და ისე შეირხა ბადე, ბოლოს ლენონმა აიღო თავის თავზე თამაში და შორეულ კუთხეს დაუმიზნა.



ფერნანდო ტორესმა ჩელსის იოლ გამარჯვებას დაუდო სათავე

## ეშმაკური დებიუტი

"მანჩესტერ იუნაიტედსა" "ნიუკასლს" შორის ყველა თანასწორ ბრძოლას ელოდა, მაგრამ არ გამოვიდა. პირველ გოლზე **ვან პერსის** კუთხურს **ევანსმა** შეაგება შედეგიანი თავური, მერე **რუნიმ** მოაწოდა და ახლა უკვე **ევრამ** დასცხო თავი. მეორე ტაიმის სტარტზე **დე ხეამ ბას** თავური ხაზის შიგნიდან გამოიტანა, მაგრამ **ჰოვარდ ვებმა** არ ჩათვალა. მატჩს წერტილი **ტომ კლევერლიმ** შორეული, ტექნიკური დარტყმით დაუსვა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

### მომდევნო ტური

**20 ოქტომბერი:** ტოტენჰემი-ჩელსი, ფულჰემი-ასტონ ვილა, ლივერპული-რედინგი, მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკ სიტი, სუონსი-უიგანი, ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი, ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი, ნორვიჩი-არსენალი.

**21 ოქტომბერი:** სანდერლენდი-ნიუკასლი, ქუინზ პარკი-ევერტონი.

### შოტლანდია

პრემიერლიგა. IX ტური

| | |
|---|---|
| ინვერნესი-როს ქაუნთი | 3:1 |
| ჰიბერნიანი-დანდი | 3:0 |
| კილმარნოკი-აბერდინი | 1:3 |
| სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი | 2:1 |
| სელტიკი-ჰართსი | 1:0 |
| მოზერველი-დანდი იუნ | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-7 | 17 |
| 2. ჰიბერნიანი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-12 | 15 |
| 3. მოზერველი | 9 | 3 | 5 | 1 | 13-10 | 14 |
| 4. აბერდინი | 9 | 3 | 5 | 1 | 11-8 | 14 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-11 | 14 |
| 6. კილმარნოკი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 7. სტ. მირენი | 9 | 3 | 3 | 3 | 15-14 | 12 |
| 8. ინვერნესი | 9 | 2 | 5 | 2 | 18-17 | 11 |
| 9. ჰართსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-10 | 9 |
| 10. დანდი იუნ. | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| 11. როს ქაუნთი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-11 | 8 |
| 12. დანდი | 9 | 1 | 1 | 7 | 3-16 | 4 |

### მანჩესტერ სიტი-სანდერლ. 3:0

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, რიჩარდსი, ლესკოტი, კოლაროვი – მილნერი, ბერი – დ. სილვა (90. როდუელი), ი. ტურე, ბალოტელი (56. აგუერო) – ტევესი (86. კლიში).

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – კ. გარდნერი, კუელიარი, ო'ში, როუზი (61. ვონი) – ა. ჯონსონი (68. საა), ლარსონი, კოლბეკი, მაკლინი – სესინიონი (83. ფ. კემპბელი) – ს. ფლეტჩერი.

**გოლები:** 1:0 კოლაროვი (5), 2:0 აგუერო (60), 3:0 მილნერი (89)

**გაფრთხილება:** კუელიარი, კოლბეკი, კ. გარდნერი (სან)

**მაყურებელი:** 47 036

**კარში დარტყმა:** 18-5 (9-3) **კუთხური:** 15-4 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

### ჩელსი-ნორვიჩი 4:1

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ივანოვიჩი (78. ასპილიკუეტა), ტერი, ლუისი, ე. კოული – ლემპარდი (67. რამირესი), მიკელი (83. რომეუ) – მატა, ოსკარი, აზარი - ტორესი.

**ნორვიჩი** (4-4-1-1): რადი – რ. მარტინი, ბარნეტი, ბასონგი (78. რ. ბენეტი), გარიდო – ე. ბენეტი, ჰოუსონი, ბ. ჯონსონი (68. პიკლინგტონი), ტეტი – ჰულაჰანი – ჰოლტი (77. მორისონი).

**გოლები:** 0:1 ჰოლტი (11), 1:1 ტორესი (14), 2:1 ლემპარდი (22), 3:1 აზარი (31), 4:1 ივანოვიჩი (76)

**გაფრთხილება:** -

**მაყურებელი:** 41 784

**კარში დარტყმა:** 15-5 (9-2) **კუთხური:** 10-2 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 8-3 **ბურთის ფლობა:** 68%-32%

### სუონსი-რედინგი 2:2

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – რანხელი, ჩიკო, უილიამსი, დევისი – ბრიტონი, სუნ იონ კი - დაიერი (62. ერნანდესი), მიჩუ (87. დე გუზმანი), რუტლეჯი – გრემი (46. მური).

**რედინგი** (4-4-2): მაკარტი – შორი, მარიაპა, გორკსი, კამინგსი – მაკანუფი, კარაჩანი, ტაბი (89. რობსონ-კანუ), კებე – პოგრებნიაკი (80. ლე ფონდრე), ჰანტი (72. რობერტსი).

**გოლები:** 0:1 პოგრებნიაკი (31), 0:2 ჰანტი (44), 1:2 მიჩუ (71), 2:2 რუტლეჯი (78)

**გაფრთხილება:** მიჩუ – მარიაპა, ტაბი, რობერტსი

**მაყურებელი:** 20 336

**კარში დარტყმა:** 19-6 (10-4) **კუთხური:** 11-3 **თამაშგარე:** 2-5 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 71%-29%

### ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი 3:2

**ვესტ ბრომვიჩი** (4-1-4-1): ფოსტერი – ტამაში (46. ხარა), მაკოლი, ოლსონი, პოპოვი – იაკობი – გერა, მორისონი, ოდემვინგაე (63. როზენბერგი), მულუმბუ – ლონგი (62. ლუკაკუ).

**ქუინზ პარკი** (4-1-4-1): ჟულიო სეზარი – ბოსინგვა, ა. ფერდინანდი, ნელსენი, ჰილი (46. ტრაორე) – მბია (71. ჰოილეტი) – რაიტ-ფილიპსი (59. მაკი), გრანერო, ჟ. ს. პარკი, ტაარაბტი - ზამორა.

**გოლები:** 1:0 მორისონი (5), 2:0 გერა (22), 2:1 ტაარაბტი (35), 3:1 მულუმბუ (85), 3:2 გრანერო (90+1)

**გაფრთხილება:** ტამაში, მულუმბუ - ჟ. ს. პარკი, მაკი

**მაყურებელი:** 23 987

**კარში დარტყმა:** 10-9 (5-3) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 3-4 **ჯარიმა:** 17-13 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

### უიგანი-ევერტონი 2:2

**უიგანი** (3-4-3): ალ-ჰაბსი – რამისი, კოლდუელი, ფიგეროა – ბოისი, მაკარტი, მაკარტური, ბოსეჟური – კონე, დი სანტო (84. მაკმანამანი), მელონი.

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – კოულმენი, იაგიელკა, ჰეიტინგა (46. დისტენი), ბეინსი – მირალიაში (90+2 ნეისმიტი), ნევილი (81. ანიჩებე), ოსმანი, პიენაარი – ფელაინი, იელავიჩი.

**გოლები:** 1:0 კონე (10), 1:1 იელავიჩი (11), 2:1 დი სანტო (23), 2:2 ბეინსი (87-პენ)

**გაფრთხილება:** მელონი, მაკარტი – ფელაინი, ბეინსი, იელავიჩი, ნევილი, ანიჩებე

**მაყურებელი:** 18 759

**კარში დარტყმა:** 7-12 (3-8) **კუთხური:** 7-6 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 14-16 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

### ვესტ ჰემი-არსენალი 1:3

**ვესტ ჰემი** (4-2-3-1): იასკელაინენი – დემელი (73. ტომკინსი), კოლინზი, რიდი, მაკარტნი – დიამე (82. კოული), ნოუბლი – ვას ტე (63. მ. ტეილორი), ნოლანი, ჯარვისი - კეროლი.

**არსენალი** (4-2-3-1): მანონე – ჯენკინსონი, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი (56. სანტოსი) – რემსი, არტეტა – ჟერვინიო (61. უოლკოტი), კასორლა, პოდოლსკი (85. კოშელნი) - ჟირუ.

**გოლები:** 1:0 დიამე (21), 1:1 ჟირუ (41), 1:2 უოლკოტი (77), 1:3 კასორლა (83)

**გაფრთხილება:** დიამე, რიდი, მ. ტეილორი – ჟერვინიო, უოლკოტი

**მაყურებელი:** 34 974

**კარში დარტყმა:** 7-13 (3-6) **კუთხური:** 4-16 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 32%-68%

### საუთჰემპტონი-ფულჰემი 2:2

**საუთჰემპტონი** (4-3-3): გასანიგა – ფოქსი, იოშიდა, ფონტე, ფ. რიჩარდსონი (8. ჰოიველდი) – ლალანა, შნაიდერლინი, დევისი – ლამბერტი (67. დო პრადო), როდრიგესი, პუნჩეონი (62. ჩეპლოუ).

**ფულჰემი** (4-2-3-1): შვარცერი – რიტერი, ჰიუზი, ჰანგელანდი, რიისე – ბეირდი, სიდუელი (70. კარაგუნისი) – დაფი, რუისი, კაჩანიკლიჩი (66. კ. რიჩარდსონი) - როდალიეგა.

**გოლები:** 1:0 ფონტე (4), 1:1 ჰოიველდი (69-ს-კ-ში), 1:2 კ. რიჩარდსონი (88), 2:2 ფონტე (90)

**გაფრთხილება:** ჰოიველდი, შნაიდერლინი, იოშიდა, ფონტე -

**კარში დარტყმა:** 9-10 (4-5) **კუთხური:** 8-8 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 14-7 **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 28 004

### ლივერპული-სტოკ სიტი 0:0

**ლივერპული** (4-3-3): რეინა – ჯონსონი, აგერი, შკრტელი, უისდომი – შაჰინი (79. აისადი), ალენი – ჯერარდი – სტერლინგი, სუარესი, სუსო (67. ჯ. კოული).

**სტოკ სიტი** (4-2-3-1): ბეგოვიჩი – კემერონი, შოუკროსი, ჰუთი, უილსონი – უელანი (21. უაიტჰედი), ნზონზი – უოლტერსი, ადამი (80. ედუ), კაიტლი (63. ეთერინგტონი) - კრაუჩი.

**გაფრთხილება:** - კაიტლი, ჰუთი, შოუკროსი, ადამი, უოლტერსი, უაიტჰედი

**კარში დარტყმა:** 12-4 (4-2) **კუთხური:** 5-5 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 8-19 **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 44 531

### ტოტენჰემი-ასტონ ვილა 2:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – ვერტონგენი, კოლკერი, გალასი, უოლკერი – ბეილი, სანდრო, დემბელე, ლენონი (87. თაუსენდი) – დემპსი (82. სიგურდსონი), დეფო (68. ადებაიორი).

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – ბენეტი, ვლაარი, კლარკი, ლოუტონი – ჰოლმენი (74. ბენანი), ელ-აჰმადი, დელფი (66. ნ'ზოგბია), ოლბრაიტონი (66. ბენტი) – ბენტეკე, აგბონლაჰორი.

**გოლები:** 1:0 კოლკერი (58), 2:0 ლენონი (67)

**გაფრთხილება:** უოლკერი - დელფი, ბენეტი, ელ-აჰმადი

**კარში დარტყმა:** 21-7 (8-4) **კუთხური:** 8-0 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 12-10 **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 35 802

### ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ. 0:3

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი – ფერგიუსონი (63. ანიტა), პერჩი, უილიამსონი, სანტონი – ხონასი, ტიოტე (80. ბიგირიმანა), კაბაი, ბენ არფა – ბა, სისე (63. შ. ამეობი).

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-3-3): დე ხეა – რაფაელი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა – კლევერლი, კერიკი, კაგავა – უელბეკი, რუნი, ვან პერსი.

**გოლები:** 0:1 ევანსი (8), 0:2 ევრა (16), 0:3 კლევერლი (71)

**გაფრთხილება:** ტიოტე, ხონასი, პერჩი, ბიგირიმანა – კაგავა, ფერდინანდი, ვან პერსი, სქოულზი

**კარში დარტყმა:** 11-11 (3-8) **კუთხური:** 8-6 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 15-12 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 52 203

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-4 | 19 |
| 2. იუნაიტედი | 7 | 5 | 0 | 2 | 17-9 | 15 |
| 3. სიტი | 7 | 4 | 3 | 0 | 15-8 | 15 |
| 4. ევერტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-8 | 14 |
| 5. ტოტენჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 7. არსენალი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-5 | 12 |
| 8. ვესტ ჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 11 |
| 9. ფულჰემი | 7 | 3 | 1 | 3 | 15-11 | 10 |
| 10. ნიუკასლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-11 | 9 |
| 11. სუონსი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-11 | 8 |
| 12. სტოკი | 7 | 1 | 5 | 1 | 6-5 | 8 |
| 13. სანდერლენდი | 6 | 1 | 4 | 1 | 5-7 | 7 |
| 14. ლივერპული | 7 | 1 | 3 | 3 | 9-12 | 6 |
| 15. უიგანი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 16. ასტონ ვილა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-12 | 5 |
| 17. საუთჰემპტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 12-20 | 4 |
| 18. რედინგი | 6 | 0 | 3 | 3 | 8-13 | 3 |
| 19. ნორვიჩი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-17 | 3 |
| 20. ქუინზ პარკი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-16 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 – დემბა ბა (ნიუკასლი); 5 – ს. ფლეტჩერი (სანდერლენდი), ლუის სუარესი (ლივერპული), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), მიგელ მიჩუ (სუონსი)

### ჩემპიონშიპი. X ტური

**ბირმინგემი-ჰადერსფილდი** 0:1
**გოლი:** 0:1 ბეკფორდი (25)

**ბლექბერნი-ვულვერჰემპტონი** 0:1
**გოლი:** 0:1 საკო (78)

**ბლექპული-ჩარლტონი** 0:2
**გოლები:** 0:1 კორტი (49), 0:2 სოლი (73)

**კრისტალ პალასი-ბარნლი** 4:3
**გოლები:** 0:1 მაკანი (26), 0:2 პატერსონი (29), 1:2 ზაჰა (41), 2:2 ზაჰა (53), 3:2 დელენი (66), 4:2 მარი (75), 4:3 კ. ოსტინი (81)

**დერბი-ბრაიტონი** 0:0

**ლიდსი-ბარნსლი** 1:0
**გოლი:** 1:0 ბეკიო (42-პენ)

**ლესტერი-ბრისტოლ ს.** 2:0
**გოლები:** 1:0 ნაჯენტი (19), 2:0 ფოსტერი (74-ს.კ-ში)

**მილუოლი-ბოლტონი** 2:1
**გოლები:** 1:0 ჰენდერსონი (17), 1:1 იგლზი (50), 2:1 ჰენდერსონი (90)

**პიტერბორო-ნოტინგემი** 0:1
**გოლი:** 0:1 რიდი (51)

**შეფილდ უენ-ჰალი** 0:1
**გოლი:** 0:1 მაკლინი (77)

**უოტფორდი-მიდლსბრო** 1:2
**გოლი:** 1:0 დინი (1), 1:1 ემნესი (30), 1:2 მაკდონალდი (77)

**იპსვიჩი-კარდიფი** 1:2
**გოლები:** 1:0 კემპბელი (45), 1:1 ჰელგუსონი (63), 1:2 ჰელგუსონი (87)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 10 | 7 | 1 | 2 | 19-11 | 22 |
| 2. ლესტერი | 10 | 7 | 0 | 3 | 17-9 | 21 |
| 3. ვულვზი | 10 | 6 | 1 | 3 | 14-9 | 19 |
| 4. კრისტალ პალ. | 10 | 6 | 1 | 3 | 18-17 | 19 |
| 5. ბრაიტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-6 | 18 |
| 6. ჰადერსფილდი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-11 | 17 |
| 7. ლიდსი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-16 | 17 |
| 8. ბლექპული | 10 | 5 | 1 | 4 | 19-14 | 16 |
| 9. ბლექბერნი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-13 | 16 |
| 10. ჰალი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-14 | 16 |
| 11. მიდლსბრო | 10 | 5 | 1 | 4 | 16-17 | 16 |
| 12. ნოტინგემი | 10 | 3 | 5 | 2 | 11-10 | 14 |
| 13. დერბი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-13 | 13 |
| 14. უოტფორდი | 10 | 4 | 1 | 5 | 15-18 | 13 |
| 15. ჩარლტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-12 | 12 |
| 16. ბარნლი | 10 | 3 | 2 | 5 | 21-22 | 11 |
| 17. ბრისტოლ სიტი | 10 | 3 | 2 | 5 | 18-19 | 11 |
| 18. ბოლტონი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-16 | 11 |
| 19. ბარნსლი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-15 | 11 |
| 20. მილუოლი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-19 | 11 |
| 21. ბირმინგემი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-17 | 11 |
| 22. შეფილდ უენ. | 10 | 2 | 2 | 6 | 14-21 | 8 |
| 23. იპსვიჩი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-19 | 7 |
| 24. პიტერბორო | 10 | 2 | 0 | 8 | 10-18 | 6 |

**ბომბარდირები:** 11 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი), 7 - 7 - ლუჩანო ბეკიო (ლიდსი), კრეიგ დევისი (ბარნსლი)

### ლიგა ერთი. XI ტური

ბრენტფორდი-ქროული 2:1, ბერი-სუინდონი 0:1, ქოვენთრი-ბორნმუთი 1:0, ქრიუ-ჰარტლპული 2:1, დონკასტერი-შრიუსბერი 1:0, ლეიტონი-შეფილდ უენ. 0:1, მილტონი-პორტსმუთი 2:2, ნოთს ქაუნთი 0:1, ოლდჰემი-პერსტონი 3:1, სტივენეიჯი-სკანტორპი 1:0, უოლსოლი-კარლაისლი 1:2, იოვილი-კოლჩესტერი 3:1

### ლიგა ორი. XI ტური

აკრინგტონი-როჩდეილი 2:3, ალდერშოტი-ჩესტერფილდი 0:1, ბრისტოლ რ-ნორტჰემპტონი 3:1, ჩელტენჰემი-ფლიტვუდი 2:2, დაგენჰემი-ბრედფორდი 4:3, ექსეტერი-პორტ ვეილი 0:2, მორკემბი-ბერტონი 0:0, ოქსფორდი-ჯილინგემი 0:0, პლიმუთი-უიმბლდონი 1:2, საუთენდი-ბარნეტი 2:2, უიკომბი-ტორკი 2:1, იორკი-როტერჰემი 0:0

ესპანეთი. ლა ლიგა. VI ტური



ლიონელ მესის ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმა

# 2:2 აქეთ მესი, იქით რონალდო

## ამასობაში ფალკაოს ატლეტიკო ლიდერს დაეწია

**ლალიგის** მორიგი სეზონის პირველი კლასიკო 2:2 დასრულდა, ვერც ტიტო ვილანოვასა და ვერც ჟოზე მოურინიოს გუნდებმა ვერ შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. მასპინძელთაგან თავი ორჯერვე ლიონელ მესიმ გამოიჩინა, ხოლო სტუმრებში - კრიშტიანო რონალდომ. ტიტო ვილანოვა ვერ გახდა „ბარსელონას" ისტორიაში ყველაზე კარგი სტარტის ერთპიროვნული მფლობელი, სამაგიეროდ, მისმა გუნდმა უშუალო კონკურენტთან 8-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. ამასობაში კი, „ატლეტიკომ" მოიგო და ქულებით „ბარსას" გაუთანაბრდა.

### ტიტო რეკორდს ვერ შეწვდა, მაგრამ +8 ქულა შერჩა

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა, როცა **რონალდომ** ახლო კუთხეში გაუტანა **ვიქტორ ვალდესს**. 8 წუთში **მესიმ** პორტუგალიელის გოლი გაქვითა, მეორე პორტუგალიელის შეცდომის წყალობით - **პეპემ** უხეიროდ მოიგერია ბურთი. მეორე ტაიმში „ბარსა" დაწინაურდა, მას მერე, რაც მესიმ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. მაგრამ ხუთ წუთში **მესუთ იოზილის** შესანიშნავი პასის წყალობით, კრიშტიანომ დუელი კიდევ ერთხელ მოუგო ვალდესს. და მაინც, ბოლოს „ბარსა" ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ 88-ე წუთზე **მონტოიამ**, რომელიც ტრავმირებული **დანი ალვეშის** ნაცვლად შევიდა მოედანზე, ბურთი ხარიხას გაარტყა.

მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიომ აღნიშნა, რომ ეს ორი ფეხბურთელი (რონალდო და მესი) უბრალოდ სხვა პლანეტიდან არიან და მათი შედარება ძნელია. მოუ ძალიანაც არ აბუქებს - მესიმ მორიგი რეკორდი დაამყარა - ის „ბარსას" ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელმაც „კამპ ნოუზე" 100 გოლი გაიტანა! კრიშტიანო რონალდო კი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ზედიზედ 6 კლასიკოზე შეაგდო!

### სირცხვილი ჩამორეცხილია

„ელვებმა" ვალიადოლიდური სირცხვილი (1:6 წინა ტურში) ჩამოირეცხეს - შინ „დეპორტივო" 2:1 დაამარცხეს. **პაკო ხემესს** სამი მცველით აღარ უთამაშია და უკვე ნახევარი საათის შემდეგ „რაიო" 2:0-ს იგებდა, ჯერ **ლეო კარილიოს** ჩაწოდებას **პიტი** გამოეხმაურა, შემდეგ კი **ხოსე კარლოსმა** კლუბში თავისი პირველი გოლი გაიტანა. ტაიმის მიწურულს **ალექს ბერგანტინიოსის** წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა, რომელიც **პიცმ** გოლად აქცია. „ელვებმა" 4-თამაშიანი წარუმატებელი სერია დაასრულეს. რომ არა **არანსუბია**, „დეპორი" უფრო დიდი ანგარიშით წააგებდა, მან **დელიბაშიჩის** და ხოსე კარლოსის სახიფათო დარტყმები მოიგერია.

### ცხრით ათი

„ხეტაფემ" 9-კაციან „სარაგოსას" **დიეგო კასტროს** პენალტის წყალობით მოუგო. **ნდრი რომარიკი** ისე ეუხეშა მე-9 წუთზე **მეჰდი ლასენს**, რომ მას მსაჯმა პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ მადრიდელებმა მთელი საათი ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა - მანამ, სანამ **ალვარომ** საჯარიმოში **პედრო ლეონი** არ მოცელა, თავად მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა. 11 კაცით ბრძოლა არც სტუმრებს დაუსრულებიათ, **ბარადამ** სრულიად უწყინარ სიტუაციაში მეტისმეტად იუხეშა **ხოსე მარის** წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ „მარკამ" შეხვედრის არბიტრ მუნის **ფერნანდესს** 10-ბალიანი სისტემით ნულიანი დაუწერა!

### 10 წუთი პირველ მოგებამდე

„ესპანიოლს", რომელიც ნახევარი შეხვედრა 10 კაცით თამაშობდა, 10 წუთი დააკლდა სეზონის პირველ მოგებამდე, მაგრამ „ვალიადოლიდის" ნახევარმცველის, **ოსკარ გონსალესის** თავურმა ფრე დააფიქსირა - 1:1. პირველ ტაიმში სტუმრები სჯობდნენ მასპინძლებს, მაგრამ ტაიმი კატალონიელებისთვის ცუდად დასრულდა, **ვიქტორ ალვარესმა** ორ უმნიშვნელო ეპიზოდში თითო ყვითელი ბარათი მიიღო და მეორე ტაიმი „ესპანიოლს" რიცხვმცირეს მოუწია თამაშმა. და მაინც, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, **ლონგოს** წაქცევისთვის პენალტი **ვერდიუმ** გაიტანა. მატჩის ბოლოს **ფერნანდეს ბორბალანმა** „ესპანიოლის" გოლი თამაშგარე მდგომარეობის მომიზეზებით გააუქმა. „ესპანიოლი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც პრიმერაში ჯერ არ მოუგია.

### ენერგოკრიზისი ესპანეთში

„ბეტისმა" სეზონში მე-4 გამარჯვება იზეიმა, სევილიელთა გოლები მცველმა **პაულაუმ** და **რუბენ კასტრომ** გაიტანეს. მასპინძლები გამარჯვებას მეკარე **ადრიანსაც** უნდა უმადლოდნენ, რომელმაც რამდენიმე „მკვდარი" ბურთი აილო. გამარჯვებულებმა თამაში 10 კაცით დაასრულეს, თუმცა მარიო მატჩის მიწურულს გააძევეს და ამით „რეალ სოსიედადმა" ვეღარ იხეირა. სხვათა შორის, „ბენიტო ვილიამარინზე" თამაში 17 წუთის დაგვიანებით დაიწყო, განათების გამორთვის გამო.

### ნიგერიელი იგებს ვალენსიურ დერბის

**ობაფემი მარტინსის** დამატებით „ლევანტე" ერთი-ორად გაძლიერდა - ეს ვალენსიურ დერბიში აშკარად გამოჩნდა, რომელიც ქალაქის უფრო მოკრძალებულმა გუნდმა ნიგერიელის გოლის წყალობით მოიგო - 1:0. „ვალენსიას" მთავარი პრობლემა გუნდში ლიდერის არყოფნაა - ისე როგორც არასდროს აკლია „ღამურებს" ტრავმირებული **ევერ ბანეგა**. სხვა მატჩებში „მალიორკა" შინ „გრანადასთან" 1:2 დამარცხდა, ბილბაოს „ატლეტიკმა" „ოსასუნას" მოკრძალებული ანგარიშით მოუგო - 1:0.

### ატლეტიკო-მალაგა

**რადამელ ფალკაომ** მატჩის სტარტზევე გაიტანა მე-8 გოლი ჩემპიონატში, მაგრამ **როკე სანტა კრუსმა** ტაიმის დასრულებამდე გაქვითა. მატჩი თითქოს ასე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „ვისენტე კალდერონმა" ბოლო წუთზე „იფეთქა" - რადამელ ფალკაომ გამარჯვების გოლი გაიტანა. ეს „მალაგას" პირველი მარცხია ჩემპიონატში, „ატლეტიკოს" კი 19 ქულა დაუგროვდა, როგორც „ბარსას".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**მომდევნო ტური**

20 ოქტომბერი: **მალაგა-ვალიადოლიდი, რეალი-სელტა, ვალენსია-ბილბაო, დეპორტივო-ბარსელონა.**

21 ოქტომბერი: **ესპანიოლი-რაიო ვალეკანო, გრანადა-სარაგოსა, ოსასუნა-ბეტისი, რეალ სოსიედადი-ატლეტიკო, სევილია-მალიორკა, ხეტაფე-ლევანტე.**

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. VI ტური

**ბენფიკა-ბეირა მარი 2:1**
**გოლები:** 0:1 სასო (4), 1:1 მ. პერეირა (59), 2:1 მორენო (60)

**ნასიონალი-ჟილ ვისენტე 0:1**
**გოლი:** 0:1 რაფაელ სილვა (53)

**სეტუბალი-ფერეირა 0:0**

**ბრაგა-ოლანენსე 4:4**
**გოლები:** 0:1 აბდი (5), 1:1 ბარბოზა (10), 1:2 ივანილდო (26), 1:3 ივანილდო (36), 23 დუგლაუ (48), 2:4 ამორიმი (55 ს.კ.), 3:4 ედერი (81), 4:4 დუგლაუ (90)

**ეშტორილი-რიუ ავე 1:3**
**გოლები:** 0:1 ტომაში (14), 0:2 ტარანტინი (16), 0:3 ტომაში (60), 1:3 ამადო (68)
**გაძევება:** ჟოაო პაულო (45. ეშტორილი)

**აკადემიკა-გიმარაეში 1:2**
**გოლები:** 1:0 მარინიო (24), 1:1 სუდანი (68), 1:2 სუდანი (88)
**გაძევება:** ოგუ (88. აკადემიკა)

**პორტუ-სპორტინგი 2:0**
**გოლები:** 1:0 ჯ. მარტინესი (10), 2:0 ჯ. როდრიგესი (84-პენ)
**გაძევება:** როჟო (71. სპორტინგი)

**მორეირენსე-მარიტიმუ** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 15-4 | 14 |
| 2. ბენფიკა | 6 | 4 | 2 | 0 | 16-6 | 14 |
| 3. ბრაგა | 6 | 3 | 2 | 1 | 15-10 | 11 |
| 4. ჟილ ვისენტე | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 5. რიუ ავე | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 6. გიმარაეში | 6 | 2 | 2 | 2 | 5-9 | 8 |
| 7. აკადემიკა | 6 | 1 | 4 | 1 | 9-8 | 7 |
| 8. ფერეირა | 6 | 1 | 4 | 1 | 8-7 | 7 |
| 9. სეტუბალი | 6 | 1 | 4 | 1 | 4-8 | 7 |
| 10. ეშტორილი | 6 | 1 | 3 | 2 | 10-11 | 6 |
| 11. სპორტინგი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 12. მორეირენსე | 5 | 1 | 2 | 2 | 8-8 | 5 |
| 13. ოლანენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 10-12 | 5 |
| 14. მარიტიმუ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 15. ნასიონალი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-13 | 5 |
| 16. ბეირა მარი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 5 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 4 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა), ნაბილ ღილასი (მორეირენსე), ლუიშ ლეალი (ეშტორილი), როდრიგო (ბენფიკა).

**ვალეკანო-დეპორტივო 2:1**

**რაიო ვალეკანო (4-1-4-1):** რუბენი - ტიტო, ლაბაკა, ამატი, კასადო - ფუეგო - ხოსე კარლოსი, დომინგესი (62. ადრიანი), ლეო კარილიო, პიტი (63. ლ. ბანგურა) - დელიბაშიჩი (70. ბილე ნილსენი).
**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, მარჩენა, ზე კაშტრო (75. აიოსე), ევალდო (47. ოლივეირა) - აგილარი, ბერგანტინიოსი - გამა, ვალერონი (53. კამუნიასი), პიცი - რიკი.
**გოლები:** 1:0 პიტი (18), 2:0 ხოსე კარლოსი (29), 2:1 პიცი (41-პენ)
**გაფრთხილება:** ლაბაკა, ტიტო, დომინგესი, რუბენი, კასადო, ამატი, დელიბაშიჩი, ნილსენი - რიკი, ბერგანტინიოსი
**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 14-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 12 500

**სარაგოსა-ხეტაფე 0:1**

**სარაგოსა (4-4-1-1):** რობერტო - სეპუნარუ, ალვარო, პარედესი, აბრაამი - ვ. როდრიგესი (14. მოვილია), ხოსე მარი, რომარიკი, მონტანიესი (54. სუკულინი) - არანდა (66. აპონიო) - პოშტიგა.
**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, აბრაამი, რაფა, მ. ტორესი - ხ. ტორესი, ლასენი (23. პედრო ლეონი) - ლაფიტა (59. გავილანი), ბარადა, დ. კასტრო - ა. ვასკესი (69. ალკასერი).
**გოლი:** 0:1 დ. კასტრო (64-პენ)
**გაფრთხილება:** სეპუნარუ, ხოსე მარი, პოშტიგა, რობერტო, აბრაამი - აბრაამი, ტორესი
**გაძევება:** რომარიკი (9), ალვარო (62), ბარადა (84)
**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 18-27; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-17 (6-10); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 20 000

**ვალიადოლიდი-ესპანიოლი 1:1**

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - რუბიო (71. გერა), ვ. პერესი - ებერტი, ოსკარი, ბუენო (63. ომარი) - მანუჩო.
**ესპანიოლი (4-4-1-1):** კ. ალვარესი - რ. როდრიგესი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი - რუი ფონტე (65. ხ. ლოპესი), ფორლინი, ვ. სანჩესი, ვაკასო (82. კ. გომესი) - ვერდიუ - ლონგო (72. სტუანი).
**გოლები:** 0:1 ვერდიუ (70-პენ), 1:1 ოსკარი (81)
**გაფრთხილება:** რუკავინა, სერენო - ვ. ალვარესი, კ. ალვარესი, ვ. სანჩესი, ფორლინი, ვერდიუ, რუი ფონტე
**გაძევება:** ვ. ალვარესი (45)
**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 12-14 (6-6); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.
**მაყურებელი:** 17 500

**ბეტისი-სოსიედადი 2:0**

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ნელსონი, პაულაუ, მარიო, ა. მარტინესი - კანიასი, ბენიატი - პოსუელო (62. რ. პერესი), ნოსა (56. აგრა), ხუან კარლოსი (75. ნაჩო) - რ. კასტრო.
**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ზუბიკარაი - ესტრადა, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - ბერგარა, ილარამენდი - ჩაბი პრიეტო, ზურუტუზა (69. იფრანი), გრიზმანი - ველა (69. გ. კასტრო).
**გოლები:** 1:0 პაულაუ (18), 2:0 რ. კასტრო (80)
**გაფრთხილება:** ა. მარტინესი, ბენიატი, მარიო, აგრა, პერესი - გრიზმანი, ესტრადა
**გაძევება:** მარიო (88)
**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 12-17 (4-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.
**მაყურებელი:** 35 000

**ლევანტე-ვალენსია 1:0**

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი - პ. დიოპი, იბორა (69. მიჩელი) - ელ ჟარი (71. რიოსი), ბარკერო, ხუანლუ (71. რუბენ გარსია) - მარტინსი.
**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ჟ. პერეირა (76. ბარაგანი), რამი, რუისი, სისოკო - გაგო, ტ. კოსტა (62. პარეხო) - გუარდადო, ჟონასი (68. ვალდესი), ვიერა - სოლდადო
**გოლი:** 1:0 მარტინსი (22)
**გაფრთხილება:** ბალესტეროსი, ხუანლუ, მარტინსი, მიჩელი, მუნუა - რუისი, კოსტა, ჟონასი, ვიერა, ვალდესი
**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 15-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 28%-72%.
**მაყურებელი:** 16 000

**მალიორკა-გრანადა 1:2**

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - ნსუე, ჟერომელი, ა. კონსეისაო, ბიგასი - მ. პერეირა, ჟოაო ვიქტორი (14. მარტი), პინა (67. ნ. ფერნანდესი), ალფარო (57. არისმენდი) - ჰემედი, ვიქტორი.
**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ნიომი, ი. ლოპესი, ბ. გომესი, სიკეირა (42. ანგულო) - ირინეი, მ. რიკო - ტორჟე (83. ხუანმა ორტისი), ბრაიმი, ორელიანა - ელ-არაბი (88. ფლორო ფლორესი).
**გოლები:** 0:1 ელ-არაბი (65), 0:2 ტორჟე (76), 1:2 ჰემედი (86)
**გაფრთხილება:** პერეირა, არისმენდი - ბრაიმი, ლოპესი
**გაძევება:** ნსუე (65), ბრაიმი (67)
**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (5-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 16 000

**ბილბაო-ოსასუნა 1:0**

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, გურპეგი, ეკიზა, კასტილიო (74. აურტენეჩე) - იტურასპე, დე მარკოსი - სუსაეტა, ანდერი (78. სან ხოსე), მუნიაინი - ადურისი (69. ფ. ლორენტე).
**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ოიერი, ლოლო, არიბასი, დამია - ანანი (30. პუნიალი), ტიმორი - სისი (30. ლამა), ნინო, არმენტეროსი - ხ. ლორენტე (63. კიკე სოლა).
**გოლი:** 1:0 ადურისი (11)
**გაფრთხილება:** ეკიზა, მუნიაინი, ადურისი - ოიერი, დამია, პუნიალი, არმენტეროსი
**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 18-16 (8-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.
**მაყურებელი:** 45 000

**ბარსელონა-რეალი 2:2**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვესი (28. მონტოია), მასკერანო, ადრიანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (61. სანჩესი) - პედრო, მესი, ინიესტა.
**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (87. ესიენი), იოზილი (79. კაკა), რონალდო - ბენზემა (61. იგუაინი).
**გოლები:** 0:1 რონალდო (23), 1:1 მესი (31), 2:1 მესი (61), 2:2 რონალდო (66)
**გაფრთხილება:** პედრო, ბუსკეტსი - ჩაბი ალონსო, იოზილი, პეპე, არბელოა
**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 18-16; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 9-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.
**მაყურებელი:** 95 000

**ატლეტიკო-მალაგა 2:1**

**ატლეტიკო (4-3-3):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი, ემრე (59. კ. როდრიგესი), გაბი - არდა თურანი (91. ტიაგო), ფალკაო, ადრიან ლოპესი (68. რაულ გარსია).
**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო, იტურა (60. რესიო) - ხოაკინი, ისკო (77. პორტილიო), ელიზეუ - სანტა კრუსი (46. სავიოლა)
**გოლები:** 1:0 ფალკაო (6), 1:1 სანტა კრუსი (36), 2:1 ფალკაო (90)
**გაფრთხილება:** ფილიპე ლუიში, არდა თურანი, სუარესი, ფალკაო - კამაჩო, იტურა, მონრეალი
**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 25-18; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 9-8 (3-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 6 | 1 | 0 | 19-7 | 19 |
| 2. ატლეტიკო | 7 | 6 | 1 | 0 | 18-8 | 19 |
| 3. მალაგა | 7 | 4 | 2 | 1 | 11-4 | 14 |
| 4. ბეტისი | 7 | 4 | 0 | 3 | 12-13 | 12 |
| 5. რეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-7 | 11 |
| 6. მალიორკა | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 7. სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 8-7 | 11 |
| 8. ვალიადოლიდი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-7 | 10 |
| 9. ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 10. ვალეკანო | 7 | 3 | 1 | 3 | 9-14 | 10 |
| 11. ლევანტე | 7 | 3 | 1 | 3 | 8-13 | 10 |
| 12. სოსიედადი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-11 | 9 |
| 13. სელტა | 7 | 3 | 0 | 4 | 9-8 | 9 |
| 14. ვალენსია | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| 15. გრანადა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 16. ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 9-14 | 8 |
| 17. სარაგოსა | 7 | 2 | 0 | 5 | 5-9 | 6 |
| 18. დეპორტივო | 7 | 1 | 3 | 3 | 9-14 | 6 |
| 19. ოსასუნა | 7 | 1 | 1 | 5 | 7-11 | 4 |
| 20. ესპანიოლი | 7 | 0 | 2 | 5 | 8-13 | 2 |

**ბომბარდირები:** 9 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი);

**სეგუნდა დივიზიონი. VIII ტური**

**უესკა-ხირონა 0:0**
**გაძევება:** ელგერა (19)

**კორდობა-ბარსელონა II 2:1**
**გოლები:** 1:0 პედრო (31), 2:0 დუბარბიე (45), 2:1 რაფინია (59)

**უელვა-ალკორკონი 4:2**
**გოლები:** 1:0 ჩული (14), 1:1 სერდა (27), 2:1 ჩული (48), 3:1 ჩული (51), 3:2 რიერა (72), 4:2 დელგადო (87)

**პონფერადინა-საბადელი 3:1**
**გოლები:** 1:0 იური (45), 1:1 ანიბალი (52), 2:1 იური (62), 3:1 მაიორი (80)

**ნუმანსია-ლუგო 3:0**
**გოლები:** 1:0 პოკე (40), 2:0 ნაგორე (61-პენ), 3:0 ნიეტო (88)
**გაძევება:** პ. ალვარესი (68. ლუგო)

**მირანდესი-ელჩე 1:2**
**გოლები:** 0:1 ჩუმეტრა (15), 0:2 პელაიო (52), 1:2 აროიო (88)

**გვადალახარა-ელჩე 1:1**
**გოლები:** 0:1 მალდონადო (76), 1:1 ალვარო (82-პენ)

**ლას პალმასი-ალმერია 1:2**
**გოლები:** 0:1 ვერსა (57), 0:2 შარლესი (87-პენ), 1:2 ტიევი (87)

**მურსია-რასინგი 1:0**
**გოლი:** 1:0 მოლინერო (59)
**გაძევება:** ო. პერესი (90. რასინგი)

**სპორტინგი-ვილიარეალი 2:0**
**გოლები:** 1:0 დ. როდრიგესი (40), 2:0 სანგოი (90)
**გაძევება:** ბრუნო (35. ვილიარეალი)

**ერკულესი-რეალი II** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 8 | 7 | 1 | 0 | 17-6 | 22 |
| 2. ალმერია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-11 | 17 |
| 3. ვილიარეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-6 | 17 |
| 4. ხირონა | 8 | 4 | 2 | 2 | 15-6 | 14 |
| 5. მურსია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-9 | 14 |
| 6. საბადელი | 8 | 4 | 2 | 2 | 12-8 | 14 |
| 7. ბარსელონა II | 8 | 4 | 1 | 3 | 16-12 | 13 |
| 8. ნუმანსია | 8 | 3 | 4 | 1 | 8-4 | 13 |
| 9. ალკორკონი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-11 | 13 |
| 10. უელვა | 8 | 4 | 1 | 3 | 11-12 | 13 |
| 11. კორდობა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 11 |
| 12. უესკა | 8 | 2 | 4 | 2 | 8-7 | 10 |
| 13. პონფერადინა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 14. რასინგი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-6 | 9 |
| 15. რეალი II | 7 | 3 | 0 | 4 | 14-15 | 9 |
| 16. ლუგო | 8 | 2 | 3 | 3 | 8-13 | 9 |
| 17. სპორტინგი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-12 | 8 |
| 18. ხერესი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-16 | 7 |
| 19. ლას პალმასი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-17 | 6 |
| 20. მირანდესი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-9 | 5 |
| 21. ერკულესი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 4 |
| 22. გვადალახარა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-20 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ხესე როდრიგესი (რეალი II), ანიბალი (საბადელი).

## იტალია. სერია A. VII ტური



ინტერმა" ვალტერ სამუელის გოლით მოიგო

# მილანში ინტერი მეფობს

## ბევრი ემოცია... ცოტა ფეხბურთი

ტურის ცენტრალური შეხვედრა "სან სიროზე" გაიმართა, სადაც "მილანმა" "ინტერს" ნომინალურად უმასპინძლა და მორიგი მარცხი იგემა. დიახ, "დერბი დელა მადონინა" "ნერაძურის" გამარჯვებით დასრულდა, რომელიც 47-ე წუთიდან კაცნაკლული თამაშობდა. ერთადერთი და გამარჯვების გოლი არგენტინელი მცველის, **ვალტერ სამუელის** ანგარიშზეა, რომელიც დაცვაშიც ფანტასტიკურად გაისარჯა. **მასიმილიანო ალეგრიმ** ყველანაირად სცადა მატჩის გადარჩენა, თავდასხმის ხაზი მაქსიმალურად გააძლიერა, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. "როსონერის" შეტევებს აზრი და შესაბამისად, სიმწვავე აკლდა. საერთოდ, განვლილი დერბი უფრო ემოცია იყო, ვიდრე ფეხბურთი და ამის შესახებ ტურის შეჯამებაში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

"იუვენტუსი" ახლოს იყო ქულების დაკარგვასთან, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გაიმარჯვა. მატჩის 85-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ **კლაუდიო მარკიზიოს** შედეგიანმა დარტყმამ ტურინელებს მორიგი სამი ქულა მოუტანა. "სიენამ" იბრძოლა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას სწორედ სტუმრები ფლობდნენ. მიუხედავად ამისა, "იუვეს" გამარჯვებას რთული ეთქმის და ამის შესახებ ნამატჩევს **მასიმო კარერამაც** ისაუბრა:

*"მეტოქე ძირითადად თავდაცვით გახლდათ დაკავებული, ასეთ დროს კი გოლის გატანა ურთულესი საქმეა. კმაყოფილი ვარ შეგირდების თამაშით, რომლებმაც საჭირო მომენტში თამაშის რიტმი შეცვალეს და შედეგად, უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. სწორედ ასეთ რთულ სიტუაციებში უნდა გამოვავლინოთ საჩემპიონო ხასიათი, რასაც ვახერხებთ კიდეც".*

აღსანიშნავია, რომ მორიგი გოლი გაიტანა **ანდრეა პირლომ**, რომელსაც ბოლო პერიოდში კრიტიკოსები მოუმრავლდნენ. როგორც ჩანს, ანდრეას მცირე ჩავარდნა ჰქონდა და არა სერიოზული კრიზისი, რადგან ბოლო რამდენიმე თამაში მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალია. ასეა თუ ისე, "იუვემ" მორიგი გამარჯვება მიითვალა აქტივში და ის ფანტასტიკური წაუგებელი სერია გააგრძელა, რომელიც როდის დაიწყო, რთული გასახსენებელია.

### პირველ ტაიმში მოხრჩობილი დელფინები

"ლაციო" "პესკარას" ესტუმრა და მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი „მიართვა", რომელთაგან ერთი **ერნანესის**, ორი კი **მიროსლავ კლოზეს** ანგარიშზეა. რომაელებმა პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე "დელფინებს", მეორეში კი თავი დაზოგეს და დრო ბურთის გორებაში გალიეს. საერთოდ, "ბიანკოჩელესტე" საკმაოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს და თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის აუცილებლად იბრძოლებს. რაც შეეხება "პესკარას", ეს გუნდი უფრო ჰოლანდიურს ჰგავს, ვიდრე იტალიურს - ბევრს უშვებს, გატანაც ეხერხება და არაპროგნოზირებადია - მიჯრით მოგებული შეხვედრების შემდეგ, სამარცხვინო წაგება სჩვევია, ან პირიქით... მოკლედ, "დელფინებისგან" არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.

### მოგება სათადარიგოებით

მოიგო მეორე რომაულმა გუნდმაც, რომლის მსხვერპლიც "ატალანტა" გახდა. "რომამ" მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა, რომელთაგან ერთი **ერიკ ლამელას**, ხოლო მეორე **მაიკლ ბრედლის** ანგარიშზეა. "ჯალოროსიმ" უპირატესობით წარმართა შეხვედრა და დამსახურებულად გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ **ზდენეკ ზემანმა** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა, მაგალითად, **პაბლო ოსვალდო, ნიკოლას ბურდისო** და თვით **დანიელე დე როსი**. ნამატჩევს, ჩეხმა სპეციალისტმა მისი გადაწყვეტილება ასე ახსნა:

*"არაერთხელ ვთქვი, რომ ჩემს გუნდში ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია თავის გამოჩენა და შესაბამისად, როტაციას ხშირად მივმართავ. ოსვალდო, ბურდისო და დე როსი გუნდის ლიდერები არიან, მათი იმედი ყოველთვის მაქვს, მაგრამ ამჯერად, სხვა ფეხბურთელებზე შევაჩერე არჩევანი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც გუნდში ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

**მომდევნო ტური:**

**21 ოქტომბერი:** ატალანტა-სიენა, კალიარი-ბოლონია, კიევო-ფიორენტინა, ჯენოა-რომა, ინტერი-კატანია, იუვენტუსი-ნაპოლი, ლაციო-მილანი, პალერმო-ტორინო, პარმა-სამპდორია, უდინეზე-პესკარა.




### კიევო-სამპდორია 2:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო (32. ფრეი), დაინელი, ცეზარი, დრამე – გუანა, ლ. რიგონი, ჰეტემაი – სტოიანი (62. იოკიჩი) - დი მიკელე, თერეუ (85. სამასა).

**სამპდორია (4-3-3):** რომერო – ბერარდი, პოულსენი (66. სორიანო), როსინი, კოშტა – მუნარი, მარესკა, ობიანგი (89. იკარდი) – ესტიგარიბია, კრსტიჩიჩი (80. ტისონე), მაქსი ლოპესი.

**გოლები:** 1:0 თერეუ (47), 1:1 მარესკა (61), 2:1 დი მიკელე (87).

**გაფრთხილება:** გუანა, ფრეი - კრსტიჩიჩი.

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 14-25; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 9-7(7-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 11 000

### ჯენოა-პალერმო 1:1

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – სამპირიზი, ბოვო, გრანკვისტი, ანტონელი – კუჩკა, ტოზსერი (87. ხორკერა), სეიმური, იანკოვიჩი (86. მორეტი) – იმობილე (70. ვარგასი), ბორიელო.

**პალერმო (3-4-2-1):** უიკანი – მუნიოსი, დონატი, ფონ ბერგენი - მორგანელა, რიოსი, ბარეტო, გარსია - ილიჩიჩი (56. კურტიჩი), ჯორჯი (75. ბერტოლო) – მიკოლი (54. ერნანდესი).

**გოლები:** 0:1 ჯორჯი (14), 1:1 ბორიელო (53).

**გაფრთხილება:** ბოვო, იანკოვიჩი, ხორკერა - ფონ ბერგენი, მორგანელა.

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 15-13(7-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 22 000

### რომა-ატალანტა 2:0

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი - პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი – ტაჩტიდისი, ბრედლი (72. პეროტა), ფლორენცი (86. მარკინიო) - ლამელა, დესტრო, ტოტი.

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – რაიმონდი, მატეუ, ბრივიო, პელუზო – სკელოტო, კაცოლა (72. სკოცარელა), ჩიგარინი, მორალესი (60. ბონავენტურა) – დე ლუკა (65. მარილუნგო), დენისი.

**გოლები:** 1:0 ლამელა (30), 2:0 ბრედლი (62).

**გაფრთხილება:** ტაჩტიდისი, ფლორენცი - პელუზო, ჩიგარინი, კაცოლა.

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 16-12(7-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 45 000

### კატანია-პარმა 2:0

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, ბელუში, ლეგროტალიე, კაპუანო – ალმირონი, ისკო, ლოდი – ბარიენტოსი (74. ბიაჯანტი), ბერგესიო, გომესი (88. კასტრო).

**პარმა (3-5-2):** მირანტე – ბენალოუანე, პალეტა, ლუკარელი – გალოპა, ბიაბიანი, პაროლო (77. ძაკარდო), ვალდესი, გობი – ბელფოდილი (62. პაბონი), ამაური.

**გოლები:** 1:0 გომესი (2), 2:0 ბერგესიო (80).

**გაფრთხილება:** ბიაჯანტი - მირანტე, ლუკარელი, ბიაბიანი, პაროლო, გალოპა.

**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 25-15; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 9-7(6-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 18 000

### ფიორენტინა-ბოლონია 1:0

**ფიორენტინა (3-5-2):** ვივიანო – რონკალია, სავიჩი, ტომოვიჩი – კასანი (84. კუადრადო), ფერნანდესი, ბორხა ვალერო, ოლივერა (76. მილიაჩო), პასკუალი – ტონი (64. ელ ჰამდაუი), იოვეტიჩი.

**ბოლონია (4-3-2-1):** ალიარდი – დე კარვალიო, ნატალი (68. სორენსენი), კერუბინი, გარიჩი – პაციენცა, ტაიდერი, მორლეო (58. აკვაფრესკა) – კონე, დიამანტი (79. გაბიადინი) – ჯილარდინო.

**გოლი:** 1:0 იოვეტიჩი (7).

**გაფრთხილება:** რონკალია, ოლივერა, პასკუალი - ნატალი, პაციენცა, ტაიდერი.

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 15-7(7-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

### პესკარა-ლაციო 0:3

**პესკარა (4-3-2-1):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი, ბოკეტი, კაპუანო – ბლაზი (46. ჯონატასი), კოლუჩი, კაშონე – სელიკი (56. კუინტერო), კაპრარი – ვუკუსიჩი (66. აბრუსკატო).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო (60. კავანდა), ბიავა (85. ცანა), დიასი, ლულიჩი - კანდრევა, გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, მაური - კლოზე (72. ფლოკარი).

**გოლები:** 0:1 ერნანესი (5), 0:2 კლოზე (25), 0:3 კლოზე (36).

**გაფრთხილება:** ბლაზი, კუინტერო (პესკარა).

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 7-12(4-6); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 000

### სიენა-იუვენტუსი 1:2

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ნეტო, პაჩი, ფელიპე – ანჯელო (68. ბოლცონი), ვერგასოლა, როდრიგესი, დელ გროსო – როზინა (81. რეჯინალდო), ზე ედუარდო (54. სესტუ) - კალაიო.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – მარონე (80. კვალიარელა), ბარცალი, კიელინი – ლიხტშტაინერი (67. ჯაკერინი), ვიდალი, პირლო, მარკიზიო, დე ჩელიე (46. ასამოა) – ვუჩინიჩი, ჯოვინკო.

**გოლები:** 0:1 პირლო (14), 1:1 კალაიო (47), 1:2 მარკიზიო (84).

**გაფრთხილება:** ნეტო, პაჩი, ფელიპე, ვერგასოლა, როზინა, ზე ედუარდო, სესტუ - კიელინი, ვუჩინიჩი.

**გაძევება:** კოსმი (42. სიენას მთავარი მწვრთნელი).

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 7-15(3-8); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 12 000

### ტორინო-კალიარი 0:1

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, ოგბონა, დამბროზიო – გაცი, ბრიგი (77. სანსონე), სგრინია (53. მეჯორინი), სტევანოვიჩი (62. ვივესი) – ჩერჩი, ბიანკი.

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – აველარი, ასტორი, არიაუდო, პიზანო – დესენა (69. რიბეირო), ეკდალი, კონტი – ნაინგოლანი (88. ერიკსონი), ნენე, იბარბო (82. საუ).

**გოლი:** 0:1 ნენე (74-პენ.).

**გაფრთხილება:** დარმიანი - კონტი, ეკდალი, ნენე.

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 18-8; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 7-10(2-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

### მილანი-ინტერი 0:1

**მილანი (4-2-3-1):** [illegible] – ბონერა ([illegible]), იეპესი, მექსე, დე შილიო (57. რობინიო) – მონტოლივო, დე იონგი - ემანუელსონი, ელ შაარავი (71. პაცინი), ბოატენგი - ბოიანი.

**ინტერი (3-4-1-2):** ჰანდანოვიჩი - ჟულიო იესუსი, რანოკია, სამუელი - ძანეტი, კამბიასო, გარგანო, ნაგატომო – კოუტინიო (46. გუარინი) – კასანო (53. პერეირა), მილიტო (71. პალასიო).

**გოლი:** 0:1 სამუელი (3).

**გაფრთხილება:** მექსე, იეპესი, მონტოლივო, დე იონგი – რანოკია, ჟუან იესუსი.

**გაძევება:** ნაგატომო (47. ინტერი).

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 15-6(5-3); **ბურთის ფლობა:** 63%-34%.

**მაყურებელი:** 80 000

### ნაპოლი-უდინეზე 2:1

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – გამბერინი, ფერნანდესი, კამპანიარო – მაჯო, ინლერი, ბერამი, ცუნიგა – ჰამშიკი (87. ჯემაილი) – პანდევი (56. ინსინიე), კავანი.

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – პერეირა (86. ფარაონი), პინცი (66. რანიერი), ლაძარი, ალანი, პასკუალე – მაიკოსუელი – დი ნატალე (78. ბარეტო).

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (30), 1:1 პინცი (43), 2:1 პანდევი (46).

**გაფრთხილება:** მაჯო, ჰამშიკი – ბენეტია, დანილო, მაიკოსუელი.

**გაძევება:** გვიდოლინი (78. უდინეზეს მთავარი მწვრთნელი).

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 20-9; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12-8(6-1); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 45000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 7 | 6 | 1 | 0 | 17-4 | 19 |
| 2. ნაპოლი | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| 3. ლაციო | 7 | 5 | 0 | 2 | 12-6 | 15 |
| 4. ინტერი | 7 | 5 | 0 | 2 | 11-6 | 15 |
| 5. რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 14-11 | 11 |
| 6. ფიორენტინა | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 7. კატანია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-11 | 11 |
| 8. სამპდორია | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 10 |
| 9. ჯენოა | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 10. ტორინო | 7 | 2 | 3 | 2 | 9-5 | 8 |
| 11. მილანი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-7 | 7 |
| 12. ბოლონია | 7 | 2 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| 13. პესკარა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-14 | 7 |
| 14. უდინეზე | 7 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 6 |
| 15. პარმა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 16. კიევო | 7 | 2 | 0 | 5 | 6-14 | 6 |
| 17. პალერმო | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 18. ატალანტა | 7 | 2 | 1 | 4 | 5-11 | 5 |
| 19. კალიარი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 20. სიენა | 7 | 2 | 2 | 3 | 8-8 | 2 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 6 – კავანი (ნაპოლი); 5 – ჯილარდინო (ბოლონია), იოვეტიჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო)

## სერია B. VIII ტური

**პადოვა-ვერონა 2:1**

**გოლები:** 0:1 ჰალფრედსონი (7), 1:1 ფარიასი (35), 2:1 რაიმონდი (90).

**ასკოლი-კროტონე 2:0**

**გოლები:** 1:0 სონჩინი (3), 2:0 ლოვისო (73).

**ბარი-ვიჩენცა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბელომო (50).

**ბრეშა-ლანჩანო 2:0**

**გოლები:** 1:0 ბუდელი (75), 2:0 კარაჩოლო (89).

**გროსეტო-სასუოლო 1:2**

**გოლები:** 0:1 ბოაკე (38), 0:2 ბოაკე (55), 1:2 ლანცაფამე (83).

**მოდენა-ჩეზენა 4:0**

**გოლები:** 1:0 არდემანი (23 პენ.), 2:0 სინიორი (25), 3:0 არდემანი (68), 4:0 არდემანი (87).

**პრო ვერჩელი-იუვე სტაბია 1:4**

**გოლები:** 0:1 დანილევიჩუსი (13), 0:2 ერპენი (25-პენ.), 0:3 დანილევჩიუსი (27), 1:3 ფაბიანო (53), 1:4 დანილევიჩუსი (87).

**რეჯინა-ნოვარა 1:0**

**გოლი:** 1:0 ელი (48).

**ტერნანა-ჩიტადელა 3:1**

**გოლები:** 1:0 ნოლე (12), 2:0 ვიტალე (19), 2:1 რობერტო (27), 3:1 ვიტალე (76).

**ვარეზე-ემპოლი 2:2**

**გოლები:** 0:1 საპონარა (12), 1:1 ედაგუა (14-პენ.), 2:1 ედაგუა (48), 2:2 საპონარა (90).

**ლივორნო-სპეცია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 8 | 7 | 1 | 0 | 15-3 | 22 |
| 2. ლივორნო | 7 | 5 | 1 | 1 | 16-10 | 16 |
| 3. ვერონა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-7 | 15 |
| 4. ტერნანა | 8 | 4 | 1 | 3 | 8-6 | 13 |
| 5. ვარეზე | 8 | 4 | 2 | 2 | 12-12 | 13 |
| 6. ბრეშა | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| 7. ბარი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-6 | 10 |
| 8. მოდენა | 8 | 3 | 3 | 2 | 12-8 | 10 |
| 9. პადოვა | 8 | 3 | 3 | 2 | 11-9 | 10 |
| 10. სპეცია | 7 | 3 | 1 | 3 | 7-8 | 10 |
| 11. ჩიტადელა | 8 | 3 | 1 | 4 | 11-12 | 10 |
| 12. იუვე სტაბია | 8 | 2 | 3 | 3 | 11-12 | 9 |
| 13. ვიჩენცა | 8 | 2 | 3 | 3 | 11-11 | 9 |
| 14. ასკოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-10 | 9 |
| 15. კროტონე | 8 | 2 | 1 | 5 | 6-9 | 7 |
| 16. ლანჩანო | 8 | 1 | 4 | 3 | 6-9 | 7 |
| 17 ჩეზენა | 8 | 2 | 1 | 5 | 5-15 | 7 |
| 18. ნოვარა | 8 | 2 | 4 | 2 | 11-9 | 6 |
| 19. პრო ვერჩელი | 8 | 2 | 0 | 6 | 8-15 | 6 |
| 20. რეჯინა | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 5 |
| 21. ემპოლი | 8 | 0 | 4 | 4 | 8-17 | 3 |
| 22. გროსეტო | 8 | 1 | 4 | 3 | 9-11 | 1 |

შენიშვნა: ბარი – 7, გროსეტო – 6 ქულა, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.

ბომბარდირები: 6 – სილიგარდი (ლივორნო), 5 – არდემანი (მოდენა), კაკია (ვერონა), ედაგუა (ვარეზე), გონსალესი (ნოვარა), პავოლეტი (სასუოლო), სანსოვინი (სპეცია), მალონგა (ვიჩენცა)

## სერია C1/A

**კარპი-ალბინოლეფე 2:1, კომო-ლეჩე 2:2, კუნეო-კრემონეზე 1:1, ენტელა-რეჯანა 3:0, ლუმეცანე-ფერალპიზალო 2:0, სან მარინო-სუდტიროლი 2:1, ტრევიზო-პორტოგრუარო 0:0, ტრიტიუმი-პავია 0:0.**

## სერია C1/B

**ბარლეტა-ლატინა 1:3, ფროზინონე-აველინო 2:1, ნოჩერინა-პერუჯა 2:0, პიზა-კარარეზე 3:1, პრატო-პაგანეზე 2:1, ვიარეჯო-კატანძარო 3:1, ანდრია-სორენტო 1:0, გუბიო-ბენევენტო (დღეს).**

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### ნასიონალი

XIII ტური

ბელფორდი-უოკინგი 1:0
ბრენტრი-ბაროუ 2:3
კემბრიჯი-მენსფილდი 4:1
ებსფლიტი-კიდერმინსტერი 1:1
გრიმსბი-დარტფორდი 0:2
ჰერეფორდი-სტოკპორტი 1:2
ჰაიდი-გეიტშიდი 1:1
ლინკოლნი-ლუტონი 1:2
მაკლსფილდი-ალფრეტონი 1:2
საუთპორტი-ნანიტონი 3:1
ტამუორტი-ნიუპორტი 1:2
რექსემი-ფორესტ გრინი 2:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

X ტური

ვოლფსბურგი II-გოსლარერი 1:1
ლიუბეკი-კილი 0:2
კლოპენბურგი-ვაიხი 2:2
ნოიმიუნსტერი-ჰანოვერი II 3:2
ოლდენბურგი-ვიქტორია 1:1
ვილჰელმსჰავენი-ჰამბურგი II გადაიდო
სტ. პაული II-მეპენი გადაიდო
რედენი-ობერნოილანდი გადაიდო
ჰაველსე-ვერდერი II გადაიდო

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

VII ტური

ლაიპციგი-მოისელვიცი 2:0
ბერლინერი-ლოკომოტივი 1:0
ტორგელოვერი-პლაუენი 1:1
კარლ ცაისი-რატენოვი 3:0
კოტბუსი II-აუერბახი 1:1
ცვიკაუ-გერმანია 3:0
მაგდებურგი-ჰერტა II 0:2
უნიონი II-ნოიშტრელიცი 0:0

### რეგიონალლიგა (დას)

XI ტური

ვიდენბრუკი-ზიგენი 1:2
ლევერკუზენი II-ვერლი 3:1
ობერჰაუზენი-ფორტუნა II 2:2
ჰულსი-კიოლნი II 3:2
ბერგიში-ფორტუნა 1:5
დუისბურგი II-ვუპერტალერი 3:3
ვიქტორია-ლოტე 3:1
შალკე II-ესენი 0:0
კრაი-ფელბერტი 1:2

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XII ტური

ვორმატია-აინტრახტი II 3:1
ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი II 2:1
მანჰაიმი-ფრაიბურგი II 0:0
ეშბორნი-ფრანქფურტი II 0:0
ობერშტაინი-ჰომბურგი 2:0
კაიზერი II-ზონენჰოფი 0:4
ბაიერნი (ა)-ულმი 1:1
კასელი-ტრირი 0:2
კობლენცი-ჰფიულენდორფი 0:1

### რეგიონალლიგა (ბ)

XVI ტური

მემინგენი-მიუნხენი II 1:1
ელტერსდორფი-ილერტისენი 2:5
ისმანინგი-ფიურტი II 1:3
ბამბერგი-რაინი 3:1
ფრონლახი-ზელიგენპორტენი 1:3
ბუხბახი-ვიურცბურგერი 3:3
როზენჰაიმი-ბაიერნ ჰოფი 1:0
ინგოლშტადტი II-ჰელმსშტეტენი 2:2
ნიურნბერგი II-აუგსბურგი II 2:0
ვიქტორია-ბაიერნი II 0:5

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

X ტური

გფკო აიაჩო-ნანტი 3:1
ჰავრი-ოსერი 2:1
ლანსი-ნიორი 1:0
არლი-კლერმონი 0:2
გინგამი-ლავალი 1:1
ისტრი-კაენი 0:4
ლე მანი-სედანი 1:0
ტური-ნიმი 1:0
დიჟონი-ანჟერსი 0:0
მონაკო-შატორუ დღეს

### ნასიონალი

XI ტური

ბურჟი-ვანი 0:0
ამიენი-ლუზენაკი 0:1
კარკესუ-მეცი 4:1
კოლმარი-ბულონი 0:1
ფრეჟუსი-კევილი 1:0
რედ სტარი-შერბური 3:0
ეპინალი-კრეტეი 1:2
რუანი-ორლეანი 0:0
პონ დე გარი-ლე პუარი 0:2
პარიზი-ბასტია 0:1

## ბელგია

### II დივიზიონი

VIII ტური

ბრიუსელი-რუზელარე 0:1
მუსკრონი-სტ. ტრუიდენი 3:1
დესელი-ვოლუვე 0:0
ვიზე-ვესტერლო 1:2
ჰაისტი-ოსტენდე 0:1
ლომელი-იუდენაარდე 1:1
ტუბეკე-ეუპენი 1:1
აალსტი-სენტ ნიკლაასი 2:0
ბორინაჟი-ანტვერპენი 0:0

## პორტუგალია

### II დივიზიონი

IX ტური

სპორტინგი B-პორტუ B 2:0
ავეში-ბელენენსეში 2:1
პორტიმონენსე-ბენფიკა B 3:3
ოლივეირენსე-ფეირენსე 2:0
ტონდელა-უნიაო 3:2
ატლეტიკო-ტროფენსე 2:1
ლეიქსოეში-ნავალი 4:3
მარიტიმუ B-არუკა 3:0
პენაფიელი-ბრაგა B 2:0
კოვილია-ფრეამუნდე 0:0
გიმარაეში B-სტ. კლარა 2:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

VIII ტური

ეირდრი-ჰემილტონი 0:4
ფალკირკი-დანფერმლაინი 2:2
ლივინგსტონი-კოუდენბითი 1:1
მორტონი-პარტიკი 3:1
რეითი-დამბარტონი 2:2

### II დივიზიონი

VIII ტური

არბროა-ბრეჩინი 3:1
ეირი-ალბიონი 2:1
ფორფარი-ალოა 2:3
სტენჰაუზმური-ისტ ფაიფი 3:0
სტრანრარი-ქუინი 0:2

### III დივიზიონი

VII ტური

მონროუზი-ისტ სტირლინგი 3:1
პიტერჰედი-ბერვიკი 1:0
სტირლინგი-რეინჯერსი 1:0

## შოტლანდიის თასი

### II რაუნდი

ვეილი-სელკირკი 5:1
ანენი-ბაკი 1:2
ნერნი-კლაიდი 3:2

## ავსტრია

XI ტური

პელეტსი-რიდი 2:5
ადმირა-ტიროლი 4:1
მატერსბურგი-ზალცბურგი 1:3
შტურმი-აუსტრია 1:1
რაპიდი-ვინერი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-13 | 24 |
| 2. რაპიდი | 11 | 7 | 2 | 2 | 18-5 | 23 |
| 3. აუსტრია | 11 | 7 | 2 | 2 | 16-6 | 23 |
| 4. შტურმი | 11 | 5 | 2 | 4 | 17-16 | 17 |
| 5. ადმირა | 11 | 4 | 4 | 3 | 23-15 | 16 |
| 6. რიდი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-14 | 14 |
| 7. პელეტსი | 11 | 4 | 2 | 5 | 15-15 | 14 |
| 8. მატერსბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 15-22 | 13 |
| 9. ვინერი | 11 | 1 | 4 | 6 | 8-23 | 7 |
| 10. ტიროლი | 11 | 1 | 0 | 10 | 6-28 | 3 |

## კვიპროსი

V ტური

ალკი-ენოსისი 1:1
აია-ეთნიკოსი 1:0
ნეა სალამისი-აეკ 0:0
დოქსა-აეპ 1:0
ომონია-აპოელ 0:0
აპოლონი-ანორთოსისი 0:2
ოლიმპიაკოსი-აელ დღეს

## დანია

XII ტური

ოდენსე-ნორდსილანდი 3:0
სონდერიისკი-აგფ ორჰუსი 0:3
სილკებორგი-ჰორსენსი 1:1
რანდერსი-მიდტიულანდი 2:1
ესბერგი-კოპენჰაგენი 2:2
ბრონდბიუ-ოლბორგი 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 12 | 7 | 5 | 0 | 29-13 | 26 |
| 2. ოლბორგი | 12 | 7 | 2 | 3 | 27-12 | 23 |
| 3. აგფ ორჰუსი | 12 | 6 | 3 | 3 | 23-14 | 21 |
| 4. ნორდსილანდ | 12 | 5 | 4 | 3 | 23-13 | 19 |
| 5. რანდერსი | 12 | 6 | 1 | 5 | 15-21 | 19 |
| 6. ოდენსე | 12 | 5 | 3 | 4 | 15-17 | 18 |
| 7. ჰორსენსი | 12 | 3 | 6 | 3 | 15-20 | 15 |
| 8. სონდერიისკი | 12 | 4 | 2 | 6 | 17-23 | 14 |
| 9. მიდტიულანდ | 12 | 3 | 3 | 6 | 17-23 | 12 |
| 10. სილკებორგი | 12 | 3 | 2 | 7 | 11-26 | 11 |
| 11. ესბერგი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-15 | 10 |
| 12. ბრონდბიუ | 12 | 1 | 5 | 6 | 12-19 | 8 |

### II დივიზიონი

XII ტური

ჰობრო-ჰიორინგი 1:1; ფრედერისია-ვესტსიელანდი 0:1; ლუნგბიუ-ფინი 3:3; სკივე-ვეილე 0:2; აკადემისკი-კიოგე 0:2; ბრონსჰოი-ვიბორგი 3:2.

## თურქეთი

### II დივიზიონი

VI ტური

თავშანლი-ერჩიესი 1:1
გიოზთეფე-ქონია 0:0
სამსუნი-დენიზლი 0:0 შეწყდა
ბოლუ-რიზე 1:3
ადანა დემირი-ადანა 4:2
ანკარაგიუჯუ-ქართალი 1:0
ბუკა-შანლიურფა 1:2
ბბ გაზიანთეფი-ქარსიაკა 3:0
1461 ტრაბზონი-მანისა დღეს

## ფინეთი

XXX ტური

იარო-ლაჰტი 2:1
კუოპიო-ჰაკა 1:1
მიუპა-ვაასა 1:1
ტურკუ-იუვიასკიულა 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტურკუ | 30 | 16 | 5 | 9 | 54-30 | 53 |
| 2. ჰიკ | 29 | 15 | 7 | 7 | 51-29 | 52 |
| 3. ინტერი | 29 | 15 | 6 | 8 | 54-38 | 51 |
| 4. მარიეჰამნი | 29 | 12 | 10 | 7 | 44-37 | 46 |
| 5. მიუპა | 30 | 12 | 9 | 9 | 34-27 | 45 |
| 6. ლაჰტი | 30 | 14 | 2 | 14 | 40-45 | 44 |
| 7. ვაასა | 30 | 12 | 7 | 11 | 34-32 | 43 |
| 8. ჰონკა | 29 | 10 | 7 | 12 | 32-35 | 37 |
| 9. იუვიასკიულა | 30 | 11 | 4 | 15 | 46-55 | 37 |
| 10. კუოპიო | 30 | 9 | 6 | 15 | 35-48 | 33 |
| 11. იარო | 30 | 7 | 8 | 15 | 21-43 | 29 |
| 12. ჰაკა | 30 | 7 | 5 | 18 | 29-55 | 26 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

პკ35-კოტკე 2:3; იიპო-ჰამეენლინა 0:0; ოულუ-სეინაიონი 0:2; ჰიფკ-ოპს 3:4; როვანიემი-ვიიკინგიტი 0:1.

## საბერძნეთი

VI ტური

აეკ-კერკირა 1:1
ვერია-ატრომიტოსი 2:2
ოფი-პაოკ 1:1
იანინა-პანიონიოსი 1:2
არისი-პლატანიასი 0:2
ქსანტი-პანათინაიკოსი 1:2
ოლიმპიაკოსი-ასტერასი 1:0
ლევადია-პანთრაკიკოსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-3 | 15 |
| 2. პანიონიოსი | 6 | 5 | 0 | 1 | 7-5 | 15 |
| 3. პაოკ | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 4. პლატანიასი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-4 | 11 |
| 5. ასტერასი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 6. ატრომიტოსი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-4 | 9 |
| 7. ვერია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 8. პანათინაიკოს | 6 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 7 |
| 9. ოფი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| 10. იანინა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-6 | 5 |
| 11. ქსანტი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-9 | 5 |
| 12. კერკირა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-9 | 5 |
| 13. არისი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 14. ლევადია | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 15. პანთრაკიკოს | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |
| 16. აეკ | 6 | 0 | 2 | 4 | 3-7 | 2 |

### II დივიზიონი

II ტური

ირაკლისი (პ)-ერგოტელისი 0:1; ანაგენისი (ე)-კალითეა 2:1; ანაგენისი (ი)-ლარისა 2:0; ეთნიკოსი-კავალა 0:1; ირაკლისი (ს)-ტრასივულოსი 2:1; კალონი-პანახაიკი 2:0; ოლიმპიაკოსი (ვ)-ფოკიკოსი 0:0; პანაიტოლიკოსი-ვიცასი 3:0; პიერიკოსი-ნიკი ვოლუ 2:0; დოქსა-პანსერაიკოსი დღეს.

## ირლანდია

### II დივიზიონი

XXVII ტური

ლონგფორდი-ლიმერიკი 0:2

## ირლანდიის თასი

### 1/2 ფინალი

დერი-შელბურნი 1:1
დანდალკი-სტ. პატსი 0:3

## ჩრ. ირლანდია

X ტური

კრუზეიდერსი-გლენტორანი 2:0
დონეგალი-დუნგანონი 1:1
გლენავონი-კოლრეინი 1:1
ლინფილდი-ბალინამალარდი 1:3
ლისბურნი-კლიფტონვილი 1:2
პორტდაუნი-ბალიმენა 2:2

## ნორვეგია

XXV ტური

ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი 1:1
ვიკინგი-ოლესუნდი 1:1
ჰაუგესუნდი-ფრედრიკსტადი 1:0
მიოლდე-სანდნესი 3:2
სოგნდალი-ლილესტრიომი 1:0
სტაბეკი-ტრომსიო 0:1
ოდ გრენლანდი-რუსენბორგი 0:1
ბრანი-ჰიონეფოსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 25 | 16 | 3 | 6 | 44-29 | 51 |
| 2. რუსენბორგი | 25 | 13 | 10 | 2 | 46-20 | 49 |
| 3. სტრიომსგოდ | 25 | 14 | 6 | 5 | 52-33 | 48 |
| 4. ტრომსიო | 24 | 12 | 6 | 6 | 39-24 | 42 |
| 5. ვოლერენგა | 25 | 11 | 5 | 9 | 38-36 | 38 |
| 6. ჰაუგესუნდი | 25 | 10 | 7 | 8 | 41-33 | 37 |
| 7. ვიკინგი | 25 | 10 | 7 | 8 | 34-32 | 37 |
| 8. ბრანი | 24 | 11 | 3 | 10 | 47-36 | 36 |
| 9. ჰიონეფოსი | 24 | 7 | 10 | 7 | 26-29 | 31 |
| 10. ოლესუნდი | 25 | 7 | 9 | 9 | 31-33 | 30 |
| 11. ოდ გრენლანდ | 25 | 8 | 6 | 11 | 29-38 | 29 |
| 12. ლილესტრიომ | 25 | 6 | 10 | 9 | 34-43 | 28 |
| 13. სოგნდალი | 25 | 6 | 9 | 10 | 23-32 | 27 |
| 14. ფრედრიკსტ | 25 | 7 | 3 | 15 | 33-46 | 24 |
| 15. სანდნესი | 24 | 5 | 7 | 12 | 30-47 | 22 |
| 16. სტაბეკი | 25 | 4 | 1 | 20 | 22-58 | 13 |

### II დივიზიონი

XXV ტური

სტარტი-მიონდალენი 3:1; ტრიომსდალენი-ბრინი 5:1; ბორუმი-ალტა 1:1; რანჰაიმი-ნოტოდენი 3:2; სტრიომენი-ულკისა 2:1; ჰამ კამი-ჰიოდი 2:0; კონგსვინგერი-ბოდო გლიმტი 1:2; სარპსბორგი-სანდეფიორდი 0:3.

## შვედეთი

XXVI ტური

მალმიო-ნორჩოპინგი 2:0
ჰაკენი-სირიანსკა 5:1
ატვიდაბერგი-გიოტებორგი 1:2
აიკ-გეფლე 0:1
კალმარი-იურგორდენი 2:2
მიალბიუ-ჰელსინგბორგი 0:2
გაის-ელფსბორგი 1:2
ერებრო-სუნდსვალი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელფსბორგი | 26 | 16 | 4 | 6 | 41-24 | 52 |
| 2. ჰაკენი | 26 | 15 | 5 | 6 | 61-31 | 50 |
| 3. მალმიო | 26 | 14 | 7 | 5 | 43-28 | 49 |
| 4. აიკ | 26 | 13 | 8 | 5 | 36-25 | 47 |
| 5. ჰელსინგბორგ | 26 | 11 | 9 | 6 | 44-29 | 42 |
| 6. ნორჩოპინგი | 26 | 11 | 7 | 8 | 40-41 | 40 |
| 7. გიოტებორგი | 26 | 8 | 12 | 6 | 35-37 | 36 |
| 8. კალმარი | 26 | 9 | 7 | 10 | 33-37 | 34 |
| 9. იურგორდენ | 26 | 7 | 12 | 7 | 32-35 | 33 |
| 10. მიალბიუ | 26 | 8 | 9 | 9 | 29-32 | 33 |
| 11. გეფლე | 26 | 8 | 8 | 10 | 20-29 | 32 |
| 12. ატვიდაბერგი | 26 | 8 | 7 | 11 | 43-44 | 31 |
| 13. სირიანსკა | 26 | 8 | 4 | 14 | 29-42 | 28 |
| 14. სუნდსვალი | 26 | 6 | 9 | 11 | 31-37 | 27 |
| 15. ერებრუ | 26 | 3 | 7 | 16 | 25-44 | 16 |
| 16. გაის | 26 | 1 | 9 | 16 | 21-48 | 12 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

ასირისკა-ოსტერსი 1:0; ფალკენბერგი-ლიუნგსკილე 1:1; ანგელჰოლმი-ბრომაპოიკარნა 0:2; დანარჩენი მატჩები დღეს გაიმართება.

## შვეიცარია

XII ტური

სტ. გალენი-ლოზანა 2:1
თუნი-გრასჰოპერსი 2:3
სიონი-ლუცერნი 3:2
ციურიხი-იანგ ბოიზი 1:1
ბაზელი-სერვეტი 3:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გრასჰოპერსი | 12 | 9 | 2 | 1 | 17-7 | 29 |
| 2. სტ. გალენი | 12 | 8 | 3 | 1 | 19-7 | 27 |
| 3. სიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 18-14 | 23 |
| 4. ბაზელი | 12 | 5 | 6 | 1 | 21-13 | 21 |
| 5. იანგ ბოიზი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-12 | 17 |
| 6. თუნი | 12 | 4 | 1 | 7 | 14-17 | 13 |
| 7. ლოზანა | 12 | 3 | 3 | 6 | 9-15 | 12 |
| 8. ციურიხი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-17 | 11 |
| 9. ლუცერნი | 12 | 2 | 3 | 7 | 12-20 | 9 |
| 10. სერვეტი | 12 | 0 | 2 | 10 | 7-27 | 2 |

### ჩელენჯლიგა

XII ტური

არაუ-ვილი 4:2; ბილი-ვოლენი 2:0; ლოკარნო-კიასო 1:3; ვადუცი-ვინტერტური 1:0; ლუგანო-ბელინცონა დღეს.

## უელსი

IX ტური

ებერისტვიტი-აფან ლიდო 4:2
ბანგორი-ბალა 5:0
პორტ ტელბოტი-კარმარტენი 2:1
ქონეასი-ტნს 1:3
ნიუთაუნი-პრესტატინი 1:4
ეირბასი-ლანელი 1:1

## ბელარუსი

XXVII ტური

ტორპედო-მინსკი 1:0
ბელშინა-ბატე 0:1
დინამო (მნ)-ნაფტანი 1:1
გომელი-სლავია 4:1
ნემანი-დინამო (ბრ) 3:0

## ბოსნია

IX ტური

ლეოტარი-გაბელა 4:2
შიროკი ბრიეგი-ველეჟი 2:1
ტრავნიკი-სარაევო 1:0
ბორაცი-ოლიმპიკი 2:1
ჟელეზნიჩარი-რუდარი 1:0 
ჟვიეზდა-გრადინა 5:1
სლავია-სლეპჩა 2:1
ჭელიკი-რადნიკი 2:1

## ბულგარეთი

VII ტური

ჩერნომორეცი-ბოტევი (ვ) 2:1
ლუდოგორეცი-მინიორი 3:0
ეტერი-ლოკომოტივი (პ) 1:1
სლავია-ცსკა 0:2
ლევსკი-ლიტექსი 2:1
ბოტევი (პ)-ლოკომოტივი (ს) 2:0
მონტანა-პირინი 3:0
ჩერნო მორე-ბეროე 2:1

## ხორვატია

XI ტური

ლოკომოტივა-ზადარი 2:1
ზაგრები-ინტერი 1:1
ჰაიდუკი-სიბალია 4:0
ოსიეკი-სპლიტი 2:2
რიეკა-ისტრა 2:1
სლავენი-დინამო 1:4

## მოლდოვა

XII ტური

აკადემია-მილსამი 3:1
სპერანცა-ზიმბრუ 1:2
კოსტულენი-შერიფი 0:3
დაჩია-ისკრა 4:1
ტირასპოლი-რაპიდი 2:2
ნისტრუ-ოლიმპია 0:3

## ჩეხეთი

X ტური

დუკლა-პრადეცი 1:0
სლოვაცკო-სლავია 3:0
ბოლესლავი-სიგმა 0:1
იაბლონეცი-ბუდეიოვიცე 2:1
ბრნო-ლიბერეცი 2:1
ტეპლიცე-იჰლავა 3:1
პრშიბრამი-პლზენი 1:0
სპარტა-ბანიკი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იაბლონეცი | 10 | 6 | 3 | 1 | 21-10 | 21 |
| 2. სიგმა | 10 | 5 | 4 | 1 | 14-7 | 19 |
| 3. პლზენი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-9 | 18 |
| 4. ბრნო | 10 | 5 | 2 | 3 | 17-18 | 17 |
| 5. სპარტა | 9 | 5 | 1 | 3 | 14-9 | 16 |
| 6. სლავია | 10 | 3 | 5 | 2 | 14-10 | 14 |
| 7. სლოვაცკო | 10 | 4 | 2 | 4 | 13-13 | 14 |
| 8. იჰლავა | 10 | 3 | 5 | 2 | 17-19 | 14 |
| 9. ლიბერეცი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-13 | 13 |
| 10. დუკლა | 10 | 2 | 6 | 2 | 15-14 | 12 |
| 11. ბოლესლავი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 12. ტეპლიცე | 10 | 2 | 3 | 5 | 9-18 | 9 |
| 13. პრადეცი | 10 | 1 | 5 | 4 | 9-13 | 8 |
| 14. პრშიბრამი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-14 | 8 |
| 15. ბუდეიოვიცე | 10 | 2 | 2 | 6 | 12-19 | 8 |
| 16. ბანიკი | 9 | 1 | 4 | 4 | 13-18 | 7 |

### II დივიზიონი

X ტური

პარდუბიცე-მოსტი 1:1; სოკოლოვი-უსტი 3:0; ოლომოუცი-ბოჰემიანსი 1:0; ოპავა-ვარნსდორფი 3:0; ზნოიმო-ტაბორსკო 1:0; კარვინა-ვიქტორია 2:1; ბოჰემიანსი 1905-ვლაშიმი 2:3; ჟლინი-ჩასლავი 3:0.

## ესტონეთი

XXXIII ტური

ტრანს ნარვა-კალიუ 0:2
სილამაე-პაიდე 1:2
ლევადია-ვიილანდი 2:1
ტამეკა-კურესაარე 2:2
ფლორა-ტალინა 3:1

## უნგრეთი

X ტური

პონვედი-პეჩი 0:1
დიოშდიორი-მტკ 2:1
უიპეშტი-ლომბარდ პაპა 1:1
ეგერი-კეჩკემეტი 0:2
პაკში-დიორი 0:0
პალადაში-კაპოშვარი 0:0
ვიდეოტონი-ფერენცვაროში 1:2
შიოფოკი-დებრეცენი 0:2

## ისრაელი

VII ტური

მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (რ-გ) 2:0
ბნეი შახნინი-ბნეი იეჰუდა 2:2
ირონი (რ-ჰ)-ჰაპოელი (ჰ) 2:0
მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ა) 1:3
მაკაბი (თ-ა)-აშდოდი 2:1

## ლატვია

XXXII ტური

დაუგავა-იეგლავა 0:0
სკონტო-მეტალურგსი 3:1
დაუგავა რიგა-ვენტსპილსი 0:4
გულბენე-სპარტაკსი 0:1
მეტა-იურმალა 0:3

## ლიტვა

XXXII ტური

ვილნიუსი-ატლანტასი 0:3
კრუოია-ბანგა 2:1
დაინავა-სუდუვა 0:3
ჭალგირისი-ეკრანასი 2:1
შიაულიაი-ტაურასი 7:2

## ჩერნოგორია

IX ტური

სელიკი-მორნარი 3:0
გრბალი-ზეტა 2:0
მლადოსტი-სუტიესკა 1:2
მოგრენი-ლოვჩენი 3:1
პეტროვაცი-იედინსტვო 0:3
ბუდუჩნოსტი-რუდარი 1:4

## რუმინეთი

XI ტური

უნივერსიტატეა-ჩახლაული 1:0
ასტრა-ვასლუი 1:1
კონსტანცა-პეტროლული 1:2
ტურნუ-რაპიდი 0:1
გაზ მეთანი-დინამო 2:2
გლორია-პანდური 1:3
სტიაუა-კლუჟი 1:0
ბრაშოვი-ლაში დღეს
კონკორდია-ოცელული დღეს

## სლოვაკეთი

XII ტური

მიავა-ჟილინა 1:1
კოშიცე-ტრნავა 1:0
პრეშოვი-სლოვანი 0:0
ბისტრიცა-შენიცა 1:2
ნიტრა-ტრენჩინი 1:2
მორავცე-რუჟემბეროკი 0:0

## სლოვენია

XIII ტური

კოპერი-დომჟალე 1:2
პუბლიკუმი-გორიცა 0:0
ოლიმპია-მურა 3:1
ალუმინი-რუდარი 3:0
ტრიგლავი-მარიბორი 1:0

ევროპული ბიბლიოთეკა

## პოლონეთი

VII ტური

რუხი-ბელხატოვი 2:1
ლეგია-ვისლა 2:1
კორონა-ზაგლებე 1:0
პოდბესკიდე-გურნიკი 1:3
ლეხი-პიასტი 4:0
ვიძევი-პოგონი 1:3
შლიონსკი-პოლონია 2:1
იაგელონია-ლეჩია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 7 | 4 | 3 | 0 | 16-7 | 15 |
| 2. ლეხი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-4 | 14 |
| 3. გურნიკი | 7 | 3 | 4 | 0 | 13-7 | 13 |
| 4. შლიონსკი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-9 | 13 |
| 5. ვიძევი | 7 | 4 | 1 | 2 | 9-8 | 13 |
| 6. პიასტი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-9 | 12 |
| 7. პოგონი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-6 | 11 |
| 8. პოლონია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| 9. რუხი | 7 | 3 | 1 | 3 | 7-11 | 10 |
| 10. ლეჩია | 6 | 3 | 0 | 3 | 7-6 | 9 |
| 11. კორონა | 7 | 2 | 2 | 3 | 5-10 | 8 |
| 12. იაგელონია | 6 | 1 | 4 | 1 | 5-6 | 7 |
| 13. ვისლა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-11 | 7 |
| 14. ზაგლებე | 7 | 1 | 2 | 4 | 5-11 | 2 |
| 15. პოდბესკიდე | 7 | 0 | 2 | 5 | 7-14 | 2 |
| 16. ბელხატოვი | 7 | 0 | 1 | 6 | 4-11 | 1 |

## რუსეთი

XI ტური

ტერეკი-როსტოვი 2:1
ლოკომოტივი-კუბანი 0:1
ვოლგა-მორდოვია 0:2
ალანია-კრ. სოვეტოვი 2:2
დინამო-ანჟი 0:2
რუბინი-ამკარი 0:1
სპარტაკი-ცსკა 0:2
კრასნოდარი-ზენიტი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანჟი | 11 | 8 | 2 | 1 | 22-11 | 26 |
| 2. ცსკა | 11 | 8 | 0 | 3 | 18-10 | 24 |
| 3. ტერეკი | 11 | 7 | 1 | 3 | 15-15 | 22 |
| 4. ზენიტი | 11 | 6 | 3 | 2 | 22-9 | 21 |
| 5. ლოკომოტივ | 11 | 6 | 2 | 3 | 19-13 | 20 |
| 6. კუბანი | 11 | 6 | 1 | 4 | 19-14 | 19 |
| 7. სპარტაკი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-18 | 19 |
| 8. რუბინი | 11 | 6 | 0 | 5 | 17-11 | 18 |
| 9. ამკარი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10. კრილია | 11 | 3 | 4 | 4 | 15-20 | 13 |
| 11. კრასნოდარი | 11 | 3 | 3 | 5 | 18-18 | 12 |
| 12. ალანია | 11 | 2 | 4 | 5 | 16-18 | 10 |
| 13. დინამო | 11 | 3 | 0 | 8 | 10-20 | 9 |
| 14. როსტოვი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-19 | 9 |
| 15. მორდოვია | 11 | 2 | 2 | 7 | 13-24 | 8 |
| 16. ვოლგა | 11 | 1 | 1 | 9 | 11-25 | 4 |

## სერბეთი

VIII ტური

სპარტაკი-ცრვენა ზვეზდა 3:0
ბორჩა-რადნიჩკი 1923 2:0
დონი შრემი-რადნიჩკი 1:1
სლობოდა-ვოივოდინა 1:1
ჰაიდუკი-სმედერევო 2:1
იაგოდინა-ნოვი პაზარი 2:1
ოფკ-რადი 1:0
პარტიზანი-იავორი 2:1

## უკრაინა

XI ტური

მეტალურგი (დ)-კრივბასი 6:2
ზორია-კარპატი 2:1
ილიჩივეცი-ჩერნომორეცი 2:1
არსენალი-გოვერლა 2:0
მეტალურგი (ზ)-ვოლინი 0:3
ტავრია-ვორსკლა 0:0
დნიპრო-დინამო 2:1
მეტალისტი-შახტარი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 11 | 11 | 0 | 0 | 36-5 | 33 |
| 2. დინამო | 11 | 8 | 0 | 3 | 18-9 | 24 |
| 3. დნიპრო | 11 | 7 | 3 | 1 | 22-9 | 24 |
| 4. მეტალისტი | 11 | 5 | 3 | 3 | 18-10 | 18 |
| 5. არსენალი | 11 | 5 | 3 | 3 | 14-17 | 18 |
| 6. მეტალურ (დ) | 11 | 5 | 2 | 4 | 20-13 | 17 |
| 7. ილიჩივეცი | 11 | 5 | 1 | 5 | 15-10 | 16 |
| 8. ტავრია | 11 | 4 | 3 | 4 | 9-10 | 15 |
| 9. ვოლინი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-15 | 15 |
| 10. ზორია | 11 | 4 | 2 | 5 | 12-15 | 14 |
| 11. კრივბასი | 11 | 4 | 1 | 6 | 12-15 | 13 |
| 12. ვორსკლა | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 13. ჩერნომორეცი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-18 | 11 |
| 14. კარპატი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-21 | 9 |
| 15. გოვერლა | 11 | 2 | 1 | 8 | 10-24 | 7 |
| 16. მეტალურ (ზ) | 11 | 0 | 2 | 9 | 4-27 | 2 |

## არგენტინა

X ტური

ლანუსი-სანტა ფე 2:0
არგ. ხუნიორსი-ტიგრე 0:0
სან მარტინი-ოლ ბოისი 2:1
სან ლორენსო-არსენალი 0:0
ესტუდიანტესი-კილმესი 2:1
კოლონი-რასინგი 0:1
ბელგრანო-ბოკა ხუნიორსი 3:1
ინდეპენდიენტე-ატ. რაფაელა 2:0
ნიუელსი-ველესი 1:0
რივერ პლეიტი-გოდოი გვ. დასრულდა

## ბრაზილია

XXVIII ტური

ფლუმინენსე-ბოტაფოგო 1:0
სანტოსი-ინტერნასიონალი 1:1
სან პაულუ-პალმეირასი 3:0
გრემიო-კრუზეირო 2:1
ატ. მინეირო-ფიგეირენსე 6:0
ნაუტიკო-კორინთიანსი 2:1
ატ. გოიანენზე-ვასკო 0:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# რაპირითა და დაშნით მოხვეჭილი ჯილდოები

**სამი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი — ასეთი ნადავლით ბრუნდებიან შინ ქართველი ახალგაზრდა მოფარიკავეები, რომლებიც გასულ უქმეებზე სომხეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ.**

ხუთი ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, კუვეიტი, ირანი, რუსეთი) მუშკეტერები რაპირითა და დაშნით ეცილებოდნენ ერთმანეთს მედლებს. რაპირაში გოგონათა შორის საუკეთესო იყო საქართველოს ჩემპიონი **თეონა გოგლიძე**, რომელმაც ნახევარფინალში მასპინძელი ასმატიკ არალეკიანი დაამარცხა (15:11), ფინალში კი მის თანამემამულე ასმიკ აგიგიანს დააყრევინა ფარ-ხმალი — 15:6. ბრინჯაოს მედალი რუსთაველ **მარიამ ცუხიშვილს** ერგო.

ბიჭებში ახლოს იყო მიზანთან **ლუკა ღლანიძე**, რომელიც მასპინძელ არტიომ დანელიანთან ფინალურ პაექრობაში თავიდან დაწინაურდა, თუმცა საბოლოოდ ერთი ჩხვლეტით დამარცხდა — 14:15 და მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე ადგილები კუვეიტელ ჯამბულ აზიზ ჯაფარის და სომეხ არმენ ოჰანესიანს ხვდათ.

დაშნაში საქართველოს წარმომადგენლები შეუდარებელნი აღმოჩნდნენ. გოგონათა გადამწყვეტ პაექრობაში ერთმანეთს ამასწინანდელი საქართველოს ჩემპიონატის ქუთაისელი ფინალისტები — **ქრისტინე მიქაძე** და **მარიამ ზაკირჩენკო** დაუპირისპირდნენ. ზაკირჩენკომ ამჯერად რევანში აიღო — 15:12 გაიმარჯვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე იყო მიქაძე.

დაშნაში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი 15 წლის **მიქაელ მიქაელიანმა** მოიგო. ფარიკაობის ანბანას იგი ერევანში ეზიარა, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა. წლეულს გაზაფხულზე მიქაელიანების ოჯახი თბილისს დაუბრუნდა. მიქაელმაც ეროვნული ჩემპიონატის მოგებით ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. ერევნის ტურნირზე იმათთან მოუწია პაექრობამ, რომლებთანაც კარგა ხანი ერთ საფარიკაო ბილიკზე ვარჯიშობდა. მიქაელმა ნახევარფინალში არტურ ქოჩარიანი დაჯაბნა — 15:12, ფინალში კი უფრო ოილად აჯობა (15:9) არტურ ოვაკიანს (ორივე — სომხეთი) და საქართველოს სპორტულ დელეგაციას მე-3 ოქრო მოუტანა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



მარიამ ზაკირჩენკო (მარცხნივ) და ქრისტინე მიქაძე

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ნაბიჯი ძირითად ბადემდე

**უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ეტაპში ორი ქართველი ჩაება.**

მე-4 ნომრად განთესილმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა სტარტზე მასპინძელ ბატირ საპაევს აჯობა — 6:1, 6:3, შემდეგ მისი თანამემამულე სარდორ პულატოვი ჩამოიშორა გზიდან — 6:1, 6:3. ძირითად ბადეში მოსახვედრად დღეს ინდური ბარიერი უნდა გადალახოს — **ალექსანდრე მეტრეველის** (ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ წრეში ყირგიზ დანიიარ დულდაევს აჯობა სამ სეტში — 7:5, 3:6, 6:3) მძლეველ (6:2, 6:4) სანამ სინგჰის შეხვედრა. წარმატების შემთხვევაში ჩვენებური 5 სარეიტინგო ქულას დაიმსახურებს და გამორიცხული არ არის, ATP-ის კლასიფიკაციის მესამე ასეულში შევიდეს — ამჯერად 143 ქულით 305-ე ადგილი უკავია.

■ ■ ■

**ესპანეთში** ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრადაა განთესილი **მაკა ჩახნაშვილი**. პირველი შეხვედრა ჩვენებურმა მასპინძელ მარინა გუნარტ ესპანას მოუგო — 6:4, 6:2 და ძირითად ბადეში გასასვლელად მე-13 ნომერ დარია სალნიკოვას (რუსეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ღია წერილი

# ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ იმ უდიდეს წარმატებას, რომელსაც ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და მომავლისთვის მიაღწიეთ. ჩვენს სიხარულს და აღფრთოვანებას ენით ვერ აღვწერთ, ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ და შეგაძლებინოთ ჩვენი ხალხის ოცნებების ასრულება.

ჩვენ გვესმის და ვაცნობიერებთ თუ როგორი დაძაბულია ამ ეტაპზე თქვენი დღის რეჟიმი, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ რამდენიმე წუთს დაუთმობთ ჩვენს წერილში მოყვანილი პრობლემების გაცნობას.

საქმე ეხება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიას, ჩვენს ქვეყანაში ერთადერთ უმაღლეს სპორტულ სასწავლებელს, რომელიც 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს მთავრობის N140 დადგენილების საფუძველზე ძალადობრივი გზით იქნა მიერთებული ილიას უნივერსიტეტს.

"სპორტის აკადემიის ილიას უნივერსტეტთან შეერთება ყველა შემთხვევაში მოხდება, იქნება ეს სასწავლებლის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის თანხმობით თუ მათი თანხმობის გარეშე" - ეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ყოფილი მინისტრის გიორგი გაბაშვილის სიტყვებია, რომელიც მან "ინტერპრესნიუსს" განუცხადა 2006 წლის 18 ივნისს და იგი სისრულეში მოიყვანა 2007 წლის 14 ივლისს.

ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა ყველა საერთაშორისო დოკუმენტს და მათ შორის საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინტეგრაციო კომისიის დოკუმენტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის მიზანშეწონილობის ძირითად კრიტერიუმებს, რომლის პირველივე პუნქტში ეწერა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ნებაყოფლობითი ხასიათი.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აკადემიის სტატუსის შეცვლის და საკუთარი უწყების დაქვემდებარებიდან სხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემის ინიციატორად გამოვიდა ადამიანი, რომელიც იყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, რომელსაც სპორტის სფეროს საკუთარი მძლავრი უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო კერა გააჩნდა. ვფიქრობთ, ასეთი სასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, მინისტრს ყველა ღონე უნდა ეხმარა მისი შექმნისთვის. მაგრამ მთავრობის ზოგიერთი წევრის არაკეთილსინდისიერი და დაუბალანსებელი გადაწყვეტილების გამო 2007 წლის 14 ივლისიდან შეწყვიტა ფუნქციონირება სპორტის აკადემიამ.

ძალიან გვეეჭვება, რომ ასეთი გადაწყვეტილება სპორტის აკადემიის უკეთესი მომავლისა და მასზე ზრუნვის გამო იქნა მიღებული. აქ მიზეზი სპორტის აკადემიის შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიის ხელში ჩაგდება იყო. არაფრად იქნა ჩაგდებული აკადემიის კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში 81 პროფესორი, 45 სპორტის დამსახურებული მოღვაწე და დამსახურებული მწვრთნელი, 2500 სტუდენტი, მათ შორის 120 უცხოელი სწავლობდა.

სპორტის აკადემიის გაუქმების სულისჩამდგმელები ყველა საინფორმაციო საშუალებებიდან გვმოძღვრავდნენ, რომ ილიას უნივერსიტეტთან შეერთება უდიდეს სიკეთეს მოუტანდა არა მხოლოდ აკადემიას, არამედ მთლიანად ქართულ სპორტს, რომ აკადემია მიიღებდა ევროდონეზე მოწყობილ აუდიტორიებს, სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიებს და რაც მთავარია, საერთაშორისო დონეზე გარემონტებულ ორ ბრწყინვალე სპორტულ კომპლექსს ე.წ. სკას და "ბურევესტნიკის" ბაზებს. როგორც მოველოდით, მოვლენები სწორედ ისე განვითარდა. სკა-ს კომპლექსს საერთოდ არავინ მიგვაკარა, ხოლო "ბურევესტნიკის" ბაზა არათუ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ ახლოსაც ვერ მივა ჩვენს აკადემიაში არსებულ სპორტულ ბაზებთან, რომელიც დღეისათვის ფაქტობრივად გაჩანაგებულია. რომ აკადემიის პროფესორ - მასწავლებლების ანაზღაურება საგრძნობლად მომატებული იქნებოდა, თუმცა საბოლოოდ მივიღეთ ყველა მათგანის განთავისუფლება სამსახურიდან.

საქართველოს სპორტის აკადემია, როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში ითვლებოდა და ითვლება (ჯერჯერობით ყველგან არ არის მისული ცნობა მისი გაუქმების შესახებ) საკმაოდ მაღალი სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო . დაწესებულებად, რადგან მის დიპლომს აღიარებდნენ ყველა ქვეყანაში. დღეს აკადემიის კურსდამთავრებულები მსოფლიოს 100 -ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ, ხოლო უცხოელი სტუდენტების სწავლა ჩვენს აკადემიაში უცილობლად ნიშნავდა ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების და დიპლომის აღიარებას.

აკადემიის თანამშრომლების მიერ სპორტის აკადემიის აქტუალურ საკითხებზე გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი, სახელმძღვანელო და მონოგრაფია. ჩვენი პროფესურა სისტემატურად მონაწილეობდა მაღალი დონის საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ყრილობებში.

სპორტის აკადემია სპორტული მიღწევებითაც ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულება იყო მსოფლიოში. მის 18 კურსდამთავრებულს ოლიმპიური ჩემპიონის 21 ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, ხოლო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონთა რიცხვი 300-ს აჭარბებს.

ასეთია ტრადიცია, ასეთია სპორტის აკადემიის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე და, ვფიქრობთ, დიდი უმადურობაა მისი საფუძვლების მორყევა.

ჩვენ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სპორტის აკადემიის გაუქმება იყო ჩვენი ქვეყნის სპორტის სისტემის ნგრევა და მან თავისი შედეგები უკვე გამოიღო.

აქვე თავს მოვალედ ვთვლით, მოგახსენოთ, რომ მსოფლიოში არ არის ქვეყანა, რომ არ იყოს სპეციალური სპორტული უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტის, აკადემიის ან ინსტიტუტის სახელით). თუმცა, რექტორი, რომლის უმაღლეს სასწავლებელსაც შეუერთეს ჩვენი აკადემია, აცხადებდა, რომ "ცალკე უმაღლესი სასპორტო აკადემიური სასწავლებლის არსებობა, ჩემი აზრით, ნონსენსია. სპორტსმენებს უნდა ჰქონდეს მთელი რიგი შეღავათები ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებელში". ეს სიტყვები ილიას უნივერსიტეტის რექტორს, თევზაძეს ეკუთვნის, რომელიც მან გაზეთ "ყველა სიახლის" კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა (2009 წლის 5-11 თებერვალი). ეს ადამიანი საერთოდ აზრზე არ არის სპორტის უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციის შესახებ, რაც ბოლოს იმაშიც აისახა, რომ ფაკულტეტი, რომელიც სპორტის აკადემიის მიერთების შემდეგ შეიქმნა, დღეს უკვე გაუქმებულია. გაუქმებულია სასპორტო კოლეჯიც და დღეს თამამად შეგვიძლია "ვიტრაბახოთ", რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც არ არსებობს არანაირი სპორტული პროფილის სასწავლებელი, რომელსაც შეეძლება სპორტის სფეროს სპეციალისტების მომზადება.

მეექვსე წელი მიდის სპორტის აკადემიის გაუქმებიდან. ამ დროის მანძილზე ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა მისი აღდგენისათვის, გარდა იმისა, რომ პერმანენტულად ვატარებდით აქციებს, მანიფესტაციებს, შიმშილობას. ვიბრძოდით სასამართლოს გზითაც, მაგრამ დღემდე უშედეგოდ, არანაირი ნათელი წერტილი არ ჩანს. გავიარეთ ყველა დონის სასამართლო, სადაც, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელი უარი მივიღეთ. ჩვენი აკადემიის ბოლო საჩივარი ამჟამადაც სასამართლოშია და ამაოდ ველოდებით პასუხს.

ვფიქრობთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს უკვე დადგა ოცნებების ასრულების ჟამი. იმედი გვაქვს, სამართალი თავისას იტყვის და საქართველო კვლავ ჩადგება იმ მოწინავე ქვეყნების რიგში, სადაც სპორტის მეცნიერება უმაღლეს დონეზე დგას. თქვენი დიდი იმედი გვაქვს.

*ულრმესი პატივისცემით, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საკოორდინაციო საბჭოს სახელით.*

**ჯემალ ძაგანია** (ტელ: 599 58 26 62)
სპორტის აკადემიის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი.

**ირაკლი დოლაბერიძე** (577722176)
სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

®

წყალბურთი.
ჩემპიონთა ლიგა

# სტარტი შუურმანთან

წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ევროპის 21 საუკეთესო კლუბი მონაწილეობს, რომლებიც წილისყრამ ოთხ ჯგუფში გადაანაწილა.

საქართველოს ხამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი" A ჯგუფში საბერძნეთის „ვულიაგმენს", ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკს", ჰოლანდიის „შუურმანს", ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-89"-სა და უნგრეთის „ეგერს" გაუწევს მეტოქეობას მერვედფინალის ოთხი საგზურისთვის. სახელოვანი წყალბურთელის **რევაზ ჩომახიძის** შეგირდებს პირველი პაექრობა სტუმრად, სწორედ, „ეგერთან" უნდა გაემართათ, მაგრამ, როგორც გაუწყეთ, ვიზების პრობლემების გამო უნგრეთს ვერ გაემგზავრნენ და ეს შეხვედრაც მომავალი წლისთვის გადაიდო.

ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირის მე-2 ტურის მატჩი „ლიგამუსმა" შაბათს ჰოლანდიაში იქაურ ჩემპიონ „შუურმანთან" გამართა. პირველი პერიოდი სტუმრებმა 3:2 მოიგეს, დანარჩენი სამი რაუნდიდან მასპინძლებმა, რომლებმაც სტარტზე გერმანულ —„ვასპო-98"-ს სძლიეს (6:5), მეორე რვაწუთიან მონაკვეთში გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვება შეძლეს — 13:10 (2:3, 6:2, 2:2, 3:3).

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჰანოვერი" — „ვულიაგმენი" 4:18 (0:5, 1:6, 2:5, 1:2), „სპარტაკი" — „ეგერი" 10:7 (3:2, 3:2, 1:2, 3:1).

ორი ტურის შემდეგ: „ვულიაგმენი" — 6 (29:10), „შუურმანი" — 6 (19:15), „სპარტაკი" — 3 (16:18), „ლიგამუსი" — 0 (10:13), „ეგერი" — 0 (7:10), „ჰანოვერი" — 0 (9:24).

20 ოქტომბერს „ლიგამუსი" ვოლგოგრადის „სპარტაკს" უმასპინძლებს, „ეგერი" — „ვასპო-98"-ს, ხოლო „ვულიაგმენი" შინ „შუურმანს" შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

ბატუტზე ხტომა

# სოფიის თასი ქართველებმაც მოიპოვეს



ქრისტინე სორდია (მარცხნივ) და ნატალია ჩადუნელი

ბულგარეთის დედაქალაქში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს თასის ეტაპთან ერთად ახალგაზრდებისთვის „სოფიის თასი" გათამაშდა.

22 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. მათ შორის საქართველოს (მწვრთნელები — **რევაზ გამხოშვილი** და **ირმა სოლოლაშვილი**) ოთხი სპორტსმენი იყო. 15-წლიანებში შესანიშნავად იასპარეზეს სინქრონული ხტომებში **ქრისტინე სორდიამ** და **ნატალია ჩადუნელმა**. ორი-სამი წლით უფროსებთან პაექრობაში მათ საკვალიფიკაციო ეტაპი მოიგეს და ფინალშიც პირველობა არავის დაუთმეს. ინდივიდუალურ ხტომებში ნატალია ჩადუნელმა მე-5 ადგილი დაიკავა.

18-წლიანებში ცდიდნენ ძალებს ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს პირველობის მე-2 პრიზიორი **ნანა გოგაშვილი** და თინათინ ჩადუნელი, რომლებიც მე-3 ადგილზე გასულ მასპინძლებს მცირედით ჩამორჩნენ და მე-4 ადგილით დაკმაყოფილდნენ. ინდივიდუალურში გოგაშვილს 0,1 ქულა არ ეყო ფინალში შესასვლელად და საბოლოოდ მე-9 ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი

# დეჟავუ: ვიქტორი და სან ანტონიო

## გრეგ პოპოვიჩის ინტერესი სანიკიძისადმი

**ვიქტორ სანიკიძე** სან ანტონიოში დაბრუნდა. იგი 2004 წლის დრაფტზე "ატლანტა ჰოქსმა" აირჩია და "სან ანტონიოს" დაუთმო. ვიქტორმა კარიერა ევროპაში გააგრძელა, თუმცა 2007 წელს მუხლებზე ოპერაცია დასჭირდა და სანანტონიოელებმა მისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინეს. სწორედ გუნდის ინიციატივით ოპერაცია ამერიკაში ჩატარდა და რამდენიმეთვიანი რეაბილიტაციის პროცესი სანიკიძემ სწორედ სან ანტონიოში გაიარა. მოგეხსენებათ, "სპურსში" მას შემდეგ ძირითადი ბირთვი არ შეცვლილა, გუნდს ისევ წვრთნის **გრეგ პოპოვიჩი** და თამაშობენ **ტიმ დანკანი, ტონი პარკერი** და **მანუ ჯინობილი**.

გამოჯანმრთელებული სანიკიძე კვლავ ევროპაში ჩამოვიდა და ბებერ კონტინენტზე განაგრძო მზადება ამერიკაში დაბრუნებისთვის. დაბრუნდა კიდეც, თან ქალაქ სან ანტონიოში, ოღონდ ევროპულ კლუბთან ერთად - იტალიურმა "მონტეპასკიმ" ახალი სეზონის წინ ორი საკონტროლო მატჩი ამერიკაში დაგეგმა, "სან ანტონიო სპურსსა" და "კლივლენდ კავალიერსთან". "სპურსთან" შეხვედრა 7 ოქტომბერს, თბილისის დროით გამთენიისას გაიმართა.



იტალიელთა მხრიდან ყურადღების ცენტრში იყო ვიქტორ სანიკიძე, რომელიც გრეგ პოპოვიჩსაც შეხვდა და უშუალოდ მატჩის წინ ტიმ დანკანმაც თბილად მოიკითხა. ვიქტორი "მონტეპასკის" მწვრთნელმა **ლუკა ბანკიმ** სასტარტო ხუთეულში დააყენა და ძირითადად მსუბუქ ფორვარდად ათამაშა. პირველ მეოთხედში 26 წლის ქართველმა თავდამსხმელმა მეტოქის კალათს ერთხელ შეუტია და შორეული ტყორცნა სამქულიანად აქცია.

საწყის 20 წუთში იგი მოხსნებში ვერ გამოირჩა, თუმცა მეორეში ფარიდან ასხლეტილ ბურთს 9-ჯერ დაეუფლა და საბოლოოდ მატჩი 5 ქულით, 11 მოხსნით, 1 ჩაჭრითა და 1 დაფარებით დაასრულა. სანიკიძემ თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი, 31 წუთი ითამაშა. რაც შეეხება 11 მოხსნას, ეს მატჩის მონაწილეთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობას სანანტონიოელები ფლობდნენ, პირველივე მეოთხედში 11-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს და იტალიელებისთვის თამაშის შემობრუნების შანსი არ მიუციათ. საბოლოოდ 106:77 ამერიკელთა სასარგებლოდ.

სიენელთა გუნდში 10 ქულას ორი კალათბურთელი ასცდა, **ბრაუნი** და **ეზე**. პირველმა 20 ქულა ჩააგდო, ხოლო მეორემ - 15.

"სან ანტონიოს" მაისურით 18-მა კალათბურთელმა ითამაშა. დანკანმა და პარკერმა 9-9 ქულა მიითვალეს, ხოლო ჯინობილიმ - 11.

### როდის ვიხილავთ სანიკიძეს სპურსში?

ამერიკულ საიტ "ეარ ალამოზე", გამოქვეყნდა ვრცელი სტატია ვიქტორ სანიკიძის შესახებ. აი, რას წერს **ქიქსემ მარტინესი**:

"2004 წელს, როცა დრაფტის შემდეგ ვიქტორ სანიკიძე "სან ანტონიოს" დარჩა, ეს ამერიკული კლუბი ყურადღებით აკვირდება ვიქტორის გამოსვლას ევროპაში. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა - ამერიელებს კვლავ აინტერესებთ სანიკიძე.

2011-12 წლების სეზონი მის კარიერაში საუკეთესო იყო, იტალიის ჩემპიონატში საშუალოდ ორმაგ დუბლს ასრულებდა. ვიქტორის კარგი გარჯა ევროლიგის წარმომადგენელ "მონტეპასკის" მხედველობიდან არ გამორჩენია და ტრანსფერიც შედგა.

ამ გუნდთან ერთად სანიკიძე ამერიკაში ჩამოვიდა და "სან ანტონიოსთან" ამხანაგურადაც ითამაშა. მან ყველაზე მეტი მოხსნა მოაგროვა და მატჩი 5 ქულით დაასრულა.

სანიკიძე უყურადღებოდ არც ამერიკელ ჟურნალისტებს დაუტოვებიათ, დაუსვეს ყველასთვის საინტერესო შეკითხვა "სპურსთან" დაკავშირებით. ვიქტორმა უპასუხა, რომ მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს მასზე თვალი ახლაც უჭირავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დრაფტით მიღებულ უფლებებზე "სან ანტონიოს" ხელი ჯერ არ აუღია.

ქართველი თავდამსხმელი პროგრესირებს, იყო ჰქონდა შეფერხებებიც. საფრანგეთისა და ესპანეთის ჩემპიონატებში სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა, თუმცა სათამაშო დრო შეზღუდული ჰქონდა. ვიქტორმა საკუთარი თამაში იტალიურ "ვირტუსში" იპოვნა, რომელშიც 2009 წლიდან თამაშობს. როგორც უკვე ითქვა; იგი გასულ სეზონში მრავალმხრივად გამოირჩა - მოხსნებში და ქულებში. სამქულიან ტყორცნებისასაც შედეგიანი გახლდათ...

დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკაში სანიკიძე კარგ მომხსნელად და პერიმეტრიდან მტყორცნელად წარმოჩნდება. თუმცა იგი 26 წლისაა და ამერიკამდე კიდევ შეუძლია წინსვლა - სიენელებთან ორწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ სანიკიძე ასი პროცენტით მზად იქნება ამერიკისთვის. თუმცა "მონტეპასკისთან" კონტრაქტში არის ერთი პუნქტი, რომლის მიხედვით ამერიკული კლუბის ინტერესის შემთხვევაში მას "მონტეპასკის" დატოვება შეუძლია. ასე რომ, გამორიცხული არ არის ვიქტორ სანიკიძე მომავალ ზაფხულს "სან ანტონიოს" საწვრთნელ პროცესში ვიხილოთ."

ქართველი ესპანეთში



### ბურჯანაძის სარეკორდო წუთი-ქულა-მოხსნა

ესპანეთის პირველობაზე მეორე შეხვედრა წააგო **ბექა ბურჯანაძის** "კახასოლმა". ამჯერად სევილიელთა მეტოქე ბასკური გრანდი "კახა ლაბორალი" იყო და ამიტომ მატჩის საფინალო ანგარიშში დაფიქსირებული სხვაობა არ უნდა გაგვიკვირდეს - 90:70.

ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ 18 წლის ბექას თამაშიდან თამაშამდე მეტად ენდობა მწვრთნელი და ისიც სტატისტიკას იუმჯობესებს.

თუ წინა შეხვედრაში ბურჯანაძემ მხოლოდ 4 წუთი ითამაშა და 3 ქულა ჩააგდო, გუშინ "კახა ლაბორალთან" მწვრთნელმა 15 წუთი უბოძა და ქართველმაც თავი არ შეირცხვინა: 2-2 ორქულიანი და სამიანი ისროლა, საიდანაც თითო გამოიყენა. ამას დაურთო 2 საჯარიმო (4-დან) და საბოლოოდ 7 ქულა და 4 მოხსნა მოუგროვდა. წუთობრივი, ქულათა და მოხსნების მაჩვენებელი მისთვის ესპანურ კარიერაში სარეკორდოა. თუმცა მათ კიდევ უფრო გაუმჯობესებას უახლოეს მატჩებში უნდა ველოდეთ.

შეხვედრის ბომბარდირი არგენტინელი **ანდრეს ნოჩიონი** გახდა - 20 ქულა.

ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო ტური 14 ოქტომბერს გაიმართება. "კახასოლი" კვლავ სტუმრად ითამაშებს - მადრიდში **ვიქტორ სანიკიძის** ყოფილ კლუბ "ესტუდიანტესს" დაუპირისპირდება.

ქართველი ისრაელში

# გამარჯვებულთა გამარჯვებული

## მაქაბის მძლეველი მაქაბი

**გიორგი შერმადინის** კოლექციას კიდევ ერთი ჯილდო შეემატა - მისმა "მაქაბიმ" "ვინერის თასი" მოიგო (სიტყვა "ვინერი" ქართულ თარგმანში გამარჯვებულს ნიშნავს). შეჯიბრება ისრაელის ჩემპიონატის წინ გაიმართა და მასში 8 გუნდი მონაწილეობდა. შაბათს გაიმართა ფინალი, რომელშიც "მაქაბიმ" აშდოდური სეხნია 75:65 დაამარცხა.

მეოთხე პერიოდამდე თამაში აიწონა-დაიწონას პრინციპით მერყეობდა, თუმცა როგორც სჩვევიათ, შედარებით გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა თელავიველებმა მეოთხე რაუნდში აშდოდის "მაქაბის" შანსი არ დაუტოვეს.

გამარჯვებულთაგან ერთადერთმა მოთამაშემ ჩაიწერა ქულათა გრაფაში ორნიშნა რიცხვი - 24. ეს გახლდათ "მაქაბის" ამერიკელი პლეიმეიქერი **დევიდ ლოგანი**. ნაყოფიერად იმუშავა გიორგი შერმადინმა, რომლის გასწვრივ ოქმში +16 ეწერა, რაც იმას ნიშნავს, რომ გიორგის მოედანზე ყოფნის დროს მაქაბელებმა მეტოქეს 16 ქულით გაასწრეს. მეტი თვალსაჩინოებისთვის: შეხვედრის დასაწყისში აშდოდელებმა 13:2 სპურტი მოაწყვეს, მოედანზე გიორგი შერმადინისა და დევიდ ლოგანის გამოჩენამ სასწორის პინა დედაქალაქელთა მხარეს გადაწონა - "მაქაბი" 11:4 გაიქცა (13:17) და სწორედ ამის შემდეგ გაჩაღდა თანაბარი თამაში.

შერმადინმა 18 წუთში 6 ქულა (5-დან 3 ორქულიანი), 7 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა.



ქართველი იტალიაში

### ასე რომ, კანტუმ რომს...

3-4 წლის წინათ რომაელებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ, არათუ "კანტუს", "მონტეპასკისაც" დიდ თავსატეხს უჩენდნენ. სადღეისოდ დედაქალაქელებს ნამდვილად არ ჰყავთ ისეთი შემადგენლობა, რომ "კანტუს" აჯობონ, თუნდაც შინ. გუშინ ღამით **მანუჩარ მარკოიშვილის** გუნდმა "რომი" მისსავე მოედანზე 84:70 დაამარცხა.

ქართველმა უკანახაზელმა 19 ქუთში 5 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა. ტიუსმა და არადორიმ 18-18 ქულა ჩაიწერეს.

ქართველი უკრაინაში



# ცინცაძის 11 ქულა ქიმიის გაკვეთილში

უკრაინის პირველობაზე წაუგებლად ასპარეზობს "ბუდიველნიკი", რომელმაც მესამე მატჩი სტუმრად ჩაატარა და იუჟნის "ხიმიკი" 77:71 დაამარცხა.

"ბუდიველნიკის" მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** სასტარტო ხუთეულში დააყენა და მოიმკო ის, რასაც ელოდა: "ბუმ" (ცინცაძის მეტსახელია) "ქიმიის გაკვეთილი 11-იანზე ჩააბარა" - უკრაინის პირველობაზე საუკეთესო თამაში ჩაატარა. 25 წუთში მან 11 ქულა, 4 პასი და ამდენივე ჩაჭრა მოაგროვა. ცინცაძის ანგარიშზე 4-4 ორქულიანი და საჯარიმოა (7-7 ტყორცნიდან).

სტუმართა მთავარი მექულე **მალკოლმ დილეინი** გახდა, რომელმაც 25 ქულას მოუყარა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ დაუმარცხებლად ასპარეზობს, "ბუდიველნიკი" ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ერთპიროვნული ლიდერი მაინც არ არის. ასევე წაუგებელია "ფერო". მომდევნო ტურში, 12 ოქტომბერს ცინცაძის თანაგუნდელები "ჰოვერლას" მიიღებენ.

ტრანსფერი

### ფეისონი არმიაში

ევროჩელენჯზე მოასპარეზე "არმიამ" ამერიკელი **მარკუს ფეისონი** დაიმატა, რომელიც ბელგიის მოქალაქეა და ამ ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავს. მარკუსი 1978 წელსაა დაბადებული და ფლანგის მოთამაშეა. სამიოდე წლის წინათ ფეისონი **მანუჩარ მარკოიშვილის** გვერდით უკრაინულ "კიევში" გამოდიოდა.

ასევე შეგახსენებთ, რომ "არმიაში" კიდევ სამი ლეგიონერია: შვედი **იოაკიმ შელბომი**, ამერიკელები **კურტის მილეიჯი** და **დემეინ უილსონი**.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

საქართველოს ჩემპიონატი

# ლელომ ლიდერობა შეინარჩუნა

**ლოკომოტივი-ლელო 15:21**

ლოკომოტივი (15-9) ნიკლაური, ჟამუტაშვილი, ჭურლულია (კობერიძე 68), ხუციშვილი, ქავთარაძე, კავთიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი, გენებაშვილი, ელოშვილი, გეგია (კორკოტაძე 57), ცუხიშვილი, ბერიშვილი (ნიშნიანიძე 55, ახვლედიანი 75), ჩიტიძე, მაისურაძე.
5ს: კავთიძე.
ლელო (15-9) ყიასაშვილი, ნიჟარაძე, ანდღულაძე (კოპაძე 57), ცერცვაძე, გუგავა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (გოგეშვილი 55), ხიდეშელი (ბელქანია 46), სუჯაშვილი, ნიკოლაიშვილი, ქოიავა, დარასელია, მძინარიშვილი, ჭყოიძე.
2ლ: ჭყოიძე, ცერცვაძე. 3ს,გ: ყიასაშვილი.
მსაჯი: თენგიზ ჩერგოლეიშვილი


ბურთით სანდრო ქოიავა
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

თბილისური გუნდების, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის "ლოკომოტივისა" და ბოლო წლების ყველა გათამაშების ფავორიტის "ლელოს" დაპირისპირება მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. ქართულ რაგბიში "არმიას" გამოჩენამდე, პირველობისთვის ბრძოლა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ გუნდებს შორის დავაში წყდებოდა.

ამჯერად ვითარება, მართალია, განსხვავებულია, თუმცა დაძაბულობა და შემართება "ლელოსა" და "ლოკომოტივის" დაპირისპირებას ოდნავაც არ მოჰკლებია. თავად ის ფაქტი, რომ მატჩის ბედი შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გადაწყდა, ბევრ რამეზე მეტყველებს. "ლელოელებმა" ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და საკმაოდ ძლიერი მეტოქე 21:15 დაამარცხეს.

რკინიგზელებმა წლევანდელი სეზონი უჩვეულოდ უფერულად დაიწყეს, მე-6 ტურამდე "ლოკომოტივს" აქტივში მხოლოდ ორი მოგება და ერთიც ფრე ჰქონდა. სრულიად განსხვავებულ ვითარებაში იმყოფება მისი მეტოქე. "ლელომ" მხოლოდ ერთი თამაში წააგო და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერია.

განსხვავებულია ამ გუნდების თამაშის ხელწერაც. "ლოკომოტივის" ძლიერი მხარე მუდამ მძლავრი და მობილური შერკინება იყო. უნდა ითქვას, რომ მიმდინარე სეზონში მორკინალებს მხარი უკანახაზელებმაც აუბეს. ხელდახელ, მწყობრი თამაშიც ისწავლეს, თუმცა აშკარაა, რომ გუნდს მაინც რაღაც აკლია. ის, რაც მას ჩემპიონატის ფავორიტთა შორის თამამად დაგვასახელებინებდა. სავარაუდოდ, ეს გამოკვეთილი ლიდერის არყოლაა, რომელიც გუნდს საჭირო მომენტში სწორი მიმართულებით წაიყვანს.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ "ლოკომოტივს" პრობლემები ბევრი აქვს, ის ნებისმიერი ძალის მეტოქესთან ბოლომდე იბრძვის და მიზნად მხოლოდ მოგება აქვს დასახული. ეს ზოგჯერ გამოდის, ზოგჯერ არა. რკინიგზელების მეტოქე — "ლელო" კარგად დაბალანსებული გუნდია და თუ შანსი მიეცი, აუცილებლად გამოიყენებს. ასე მოხდა, მატჩის მიწურულს. საკუთარ 22-მეტრიან ზონაში რკინიგზელებმა საკუთარი შერკინება წააგეს, რის გამოც ლელოთი დაისაჯნენ და მატჩიც დათმეს.

თამაში ორმხრივი შეტევებით დაიწყო. ანგარიშის გახსნა "ლელოს" უკვე მე-2 წუთზე შეეძლო, თუმცა ფულბეკ **ირაკლი ყიასაშვილს** საჯარიმო გაუცუდდა. მომდევნო 10 წუთის განმავლობაში "ლოკომოტივმა" სამი გააზრებული, საკმაოდ მწყობრი იერიში განახორციელა. აქედან ორ შემთხვევაში საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვა, ერთხელ კი რაკში ბურთის შეყოვნებისთვის თავად დაჯარიმდა. რკინიგზელთა მგეზავმა **ვახტანგ კავთიძემ** მე-4 და მე-8 წუთებზე ორი საჯარიმო უზადოდ დაარტყა და "ლოკომოტივი" 6:0 დააწინაურა.

ეს ანგარიში 29-ე წუთამდე არ შეცვლილა. დროის ამ მონაკვეთში "ლელომ" ორჯერ შეძლო მეტოქის ჩათვლის მოედანთან მიახლოება, მაგრამ ორივეჯერ რაკში თამაშისას წესი დაარღვია. მდგომარეობა მოედანზე ტაიმის დასკვნით ათ წუთში დაიძაბა. ჯერ კავთიძემ ისევ საჯარიმოთი გაზარდა ანგარიშში სხვაობა - 9:0. მერე კი "ლელო" ამოქმედდა მთელი სიმძლავრით და ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლო.

35-ე წუთზე ლელოელებმა დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 18 მეტრში მოიგეს, მოლი შეკრეს და რაც უნდა საკვირველი იყოს, რკინიგზელთა შერკინებამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. "ლელომ" მოლით 15 მეტრი გაიარა. მერე რაკი წარმოიქმნა, სიადანაც ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** ბურთი მარცხნივ, მოკლე ფრთაზე გაიტანა. მგეზავმა **ლაშა ხმალაძემ** შეტევა კიდევ უფრო მარცხნივ კიდესკენ განაგრძო, სადაც ბურთს მესამეხაზელი **გიორგი ჭყოიძე** დაეუფლა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ყიასაშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:9.

ტაიმის ბოლო წუთზე "ლელომ" მორიგი იერიში წამოიწყო, რომელიც რკინიგზელებმა საკუთარი ლელოდან თხუთმეტ მეტრში წესების დარღვევით შეაჩერეს. ყიასაშვილმა ამჯერად ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 8:9 ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო საინტერესო გახდა. გუნდები მეტი მონდომებით ირჯებიოდნენ, თუმცა შეცდომებსაც საკმარისად უშვებდნენ. დერეფანს მორიგეობით აგებდნენ და ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურებასაც ვერც ერთი ახერხებდა. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ორჯერ მოედანზე ჩხუბიც ატყდა, თუმცა მატჩის არბიტრმა ვინმეს გაძევება მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

"ლელო" შეხვედრაში პირველად 56-ე წუთზე დაწინაურდა, როცა ყიასაშვილმა საჯარიმო ზუსტად დაარტყა - 11:9. რკინიგზელებმა ამაზე მალევე, სამ წუთში კავთიძის საჯარიმოთი უპასუხეს - 12:11. ლელოელებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშში ისევ დაწინაურება, მაგრამ ყიასაშვილის ორი მცდელობა, არეკნით დაელაშქრა მეტოქის კარი, უშედეგო გამოდგა.

კავთიძემ 65-ე წუთზე კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად საჯარიმო და ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა - 15:11. "ლელომ" პირველივე შესაძლებლობა, მინიმუმამდე შეემცირებინა სხვაობა, სამ წუთში გამოიყენა. საჯარიმო ისევ ყიასაშვილმა დაარტყა - 14:15.

დასკვნით ათ წუთში ორივე გუნდი ყველანაირად ცდილობდა მატჩის ბედის სათავისოდ შემოებრუნებინა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, რკინიგზელებმა წარმოუდგენელი შეცდომა დაუშვეს. თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე საკუთარი შერკინებიდან, რომელიც მათი ჩათვლის მოედნიდან 15 მეტრში იყო დანიშნული, ბურთი გამოუვარდათ. ის "ლელოს" მესამეხაზელის გიორგი ჭყოიძის ნადავლი შეიქნა, რომელმაც შესანიშნავად შეუტია. მისი შეჩერება ლოკომოტიველებმა ზედ ლელოს ხაზის მისადგომებთან შეძლეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი კაჭარავამ მარცხენა მოკლე ფრთაზე სწრაფად გაუტანა ლაშა ხმალაძეს, რომელმაც კიდევ უფრო მარცხნივ შუამარბ **თორნიკე ცერცვაძეს** გადააწოდა, რომელიც რკინიგზელთა ჩათვლის მოედანში შეხტა. ყიასაშვილმა საკმაოდ რთული პოზიციიდან გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 21:15.

დარჩენილ სამ წუთში "ლოკომოტივს" გამარჯვებას მხოლოდ გარდასახული ლელო მოუტანდა. რკინიგზელებმა მცდელობა არ დააკლეს. მათთვის ჩვეული, კარგად ნაცადი შერკინების მოთამაშეების მიძალებით მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეაღწიეს, მაგრამ იქ ერთ-ერთ ეპიზოდში, შებოჭილმა მოთამაშემ რაკში ბურთი შეაყოვნა და დაჯარიმდნენ. მატჩის დრო ამოწურული იყო. "ლელომ" მორიგი გამარჯვება მიითვალა და ლიდერობა შეინარჩუნა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# აიამ მოგება გაიხსენა

**აია-რმაზი 28:20**

აია (15-9): ხამაშურიძე, აბრამიძე, კვერნაძე, კუხიანიძე, გოშაძე (ფრუიძე 50), სინაურიძე (ზიბზიბაძე 71), გოგია (როხვაძე 50); (1-8) რატიაშვილი, მატკავა (ხელაძე 48), ულუმბელაშვილი (ნაქაძე 48), რევიშვილი,შალამბერიძე, ყურაშვილი, შაშიაშვილი (დგებუაძე 67) თხელიძე
3ლ: შალამბერიძე, თხელიძე, აბრამიძე. 3ს: სინაურიძე. 2გ: ხამაშურიძე
სინბინი: როხვაძე
არმაზი (15-9): ჩხაიძე (მაისურაძე 54), ხუციშვილი, მაჩხანელი, კაიფაჯიანი, პინაიშვილი (ბროძელი 55), კიკნაძე, მისრიაშვილი; (1-8): ესართია (ჯიბლაძე 50), სოსელია, ბუკია, ჯიშკარიანი, ჭელიძე, კანდელაკი, მინაშვილი, თიგიშვილი
3ლ: სოსელია (2), მინაშვილი. ს.გ: კიკნაძე
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი



მეორე ტურში, სტუმრად "არმიის" დამარცხების შემდეგ ქუთაისურ გუნდს მოულოდნელი ჩავარდნა დაეწყო. მომდევნო სამი მატჩიდან მოქმედმა ვიცე-ჩემპიონმა ორი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა. "აიას" უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა, ამ დაპირისპირებაში მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ეზრუნა.

შეხვედრა საინტერესო და დინამიური გამოდგა. თავიდან უკეთ სტუმრები გამოიყურებოდნენ "არმაზის" მგეზავმა **დავით კიკნაძემ** დაახლოებით 40 მეტრიდან საჯარიმო ზუსტად დაარტყა და სტუმრები დააწინაურა - 3:0.

**დავით ვართანიანის** გუნდმა რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელა, მაგრამ ქუთაისელებმა თავი კარგად დაიცვეს, მალე კი თავადაც გააქტიურდნენ და **გაგა სინაურიძემ** თავისიანები ზედიზედ ორი საჯარიმოთი წინ გაიყვანა - 6:3.

შეხვედრა ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა, თუმცა, ტაიმის ბოლო ათ წუთში მასპინძლებმა იძალეს და "არმაზს" ორი ლელო გაუტანეს — ქუთაისელთა მარჯვენაფლანგელის **გიორგი აბრამიძის** გარღვევის შემდეგ **გელა შალამბერიძემ** შეძლო სტუმართა ჩათვლის მოედანში ბურთის დამიწება. **ბესიკ ხამაშურიძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და "აია" წინ გაიჭრა 13:3. შესვენებამდე ქუთათურები კიდევ უფრო დაწინაურდნენ, ხამაშურიძისა და გიორგაძის შეგირდები შერკინების შემდეგ მოლით მიაწვნენ, წარმოქმნილი ზედახორიდან მეტოქეს **ლევან თხელიძე** დაუსხლტა და ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში, გვერდით ხაზთან ახლოს დაამიწა. ხამაშურიძემ გარდასახვა კვლავ ზუსტად დაარტყა და ქუთაისელები შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით წავიდნენ - 20:3

მასპინძლებისთვის მეორე ტაიმიც კარგად დაიწყო, სინაურიძემ ჯარიმა გაიტანა და თავისიანები 20 ქულით დააწინაურა - 23:3. თითქოს ამას "არმაზი" საბოლოოდ უნდა გაეტეხა, მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მარცხს არ შეეგუენ და მასპინძლებს, რომლებიც უკვე პრემიალურ ქულებზე ფიქრობდნენ, საქმე ძალიან გაურთულეს.

ქუთაისელებმა "არმაზის" ორი მწვავე შეტევა ზედ ჩათვლის ხაზთან შეაჩერეს, თუმცა მესამე ჯერზე მათ იერიშს ველარ გაუძლეს. შერკინების შემდეგ სტუმრები მოლით მიაწვნენ და სტუმართა კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** ურთულეს ვითარებაში მოახერხა ლელოს გატანა. კიკნაძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა, ბურთი ხარიხას მოხვდა.

რამდენიმე წუთში სოსელიამ იმავე სტილში კიდევ ერთი ლელო მიითვალა, თუმცა კიკნაძეს გარდასახვა ამჯერადაც გაუცუდდა - 23:13. დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ორივე გუნდი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მსაჯობით უკმაყოფილო იყო, თემიდას მიმართ პრეტენზიები მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, თუმცა ეს ყოველივე რაიმე ინციდენტში არ გადაზრდილა. ამ დაძაბულ ფონზე გადამწყვეტი **გიორგი აბრამიძის** ლელო გამოდგა, რომელიც ფლანგზე მეურვეებს სწრაფად დაუსხლტა და მისი შეჩერება ველარ მოახერხეს - 28:13

მიუხედავად იმისა, რომ "არმაზი" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სტუმართა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, უკანასკნელ წუთზე მინაშვილმა მასპინძლებს მესამე ლელო გაუტანა, რასაც კიკნაძემ ზუსტი გარდასახვა მიაყოლა და **ნოდარ რობიტაშვილის** სასტვენის ხმაც იქვე გაისმა 28:20. დაძაბულ ბრძოლაში "აიამ" ნანატრი გამარჯვება მოიპოვა.

**VI ტური**

| | |
|---|---|
| ილიაუნი ჯიქი-ყოჩები | 17:6 |
| ბათუმი-აკადემია | 25:12 |
| არმია-ხარები | 24:12 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 6 | 5 | 0 | 1 | +91 | 24 |
| 2. არმია | 6 | 5 | 0 | 1 | +44 | 22 |
| 3. ჯიქები | 6 | 4 | 0 | 2 | +31 | 19 |
| 4. არმაზი | 6 | 4 | 0 | 2 | +26 | 17 |
| 5. აია | 6 | 3 | 1 | 2 | -2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | +8 | 14 |
| 7. ხარები | 5 | 2 | 0 | 4 | -21 | 9 |
| 8. ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | -26 | 5 |
| 9. აკადემია | 6 | 1 | 0 | 5 | -89 | 5 |
| 10. ყოჩები | 6 | 0 | 0 | 6 | 62 | 3 |

**VII ტური**

ლელო-ილიაუნი ჯიქი, ლოკომოტივი-არმაზი, ხარები-აია, აკადემია-არმია, ყოჩები-ბათუმი.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA Europe Live 2012


ფენერბაჰჩე-ბოსტონი

# ბოსტონმა თურქეთში წააგო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის კლუბებმა ახალი სეზონისთვის საკონტროლო მატჩებში მონაწილეობა დაიწყეს. რამდენიმე გუნდი ევროპაში იმყოფებოდა და იქაურ კლუბებთან გადის სპარინგებს. მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა სტამბოლში, სადაც აღმოსავლეთი კონფერენციის გრანდი "ბოსტონი" "ფენერბაჰჩესთან" დამარცხდა. ამ წაგებას კომენტარი გაუკეთა "სელტიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა**.

*"წავაგეთ იმის გამო, რომ ბურთს არ ვუფრთხილდებოდით და ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. მატჩის წინ კალათბურთელებს ვუთხარი, რომ 14 შეცდომაზე მეტი არ უნდა ჰქონოდათ. ზუსტად ამდენჯერ დავკარგეთ ბურთი პირველ ტაიმში. მომიწია მათთვის იმის ახსნა, რომ მთელს მატჩს ვგულისხმობდი და არა ორ მეოთხედს.*

*რა თქმა უნდა, გამარჯვებას ვგეგმავდით, მაგრამ ეს წაგება კატასტროფა არ ყოფილა. ეს იყო ახალი სეზონის წინ "ბოსტონის" პირველი შეხვედრა და კალათბურთელები მხოლოდ ახლა შედიან სატურნირო რითმში. ბუნებრივია, თუ ასე გავაგრძელებთ თამაშს, 2013 წლის აპრილში პლეი ოფში ვერ მოვხვდებით, მაგრამ წინ ბევრი დროა საკუთარ თავზე სამუშაოდ"*, - განაცხადა რივერსმა.

■ ■ ■

**დირკ ნოვიცკის** "დალასი" გერმანიაში ჩავიდა და იქ ბერლინის "ალბას" გაჭირვებით მოუგო ხუთი ქულით. გერმანელმა სუპერვარსკვლავმა მატჩის წინ მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა.

*"დღეს რთულია კონკრეტულად ლაპარაკი ჩემს მომავალ კარიერაზე. ახალ სეზონზე ვარ კონცენტრირებული და იმედია, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმით ვითამაშებ მომდევნო ორ სეზონში, რაც კონტრაქტით მაქვს დარჩენილი. მაგრამ ამ კონკრეტული მომენტისთვის რომ მჭირდებოდეს გადაწყვეტილების მიღება, ვიტყოდი, რომ ორი წლის შემდეგაც გავაგრძელებდი თამაშს NBA-ში"*, - ამბობს 34 წლის ნოვიცკი, რომლის მოქმედ კონტრაქტს 2014 წლის ზაფხულში ეწურება ვადა.

**ფენერბაჰჩე-ბოსტონი 97:91**

**26:27, 29:18, 24:27, 18:19**

**ფ:** სატო (24+7 მოხსნა), მაკალები (21+5 პასი), ბოგდანოვიჩი (11), სავაში (10).

**ბ:** სალინჯერი (16+8 მოხსნა), გრინი (16), რონდო (13+9 პასი), ტერი (12).

**რეალი-მემფისი 93:105**

**25:33, 22:29, 24:25,22:18**

**რ:** ფერნანდესი (16+4 მოხსნა+4 ჩაჭრა), მიროტიჩი (14+7 მოხსნა), კეროლი (11), როდრიგესი (8+ 11 მოხსნა).

**მ:** გეი (27), კონლი (18+5 მოხსნა+8 პასი), მ. გასოლი (16+16 მოხსნა+6 პასი), რენდოლფი (12+6 მოხსნა+6 პასი).

**მონტეპასკი-სან ანტონიო 77:106**

**18:29, 17:30, 22:20, 20:27**

**მ:** ბრაუნი (20), ეზე (15+6 მოხსნა).

**ს-ა:** ჯინობილი (11), ნილი (11), ბლეირი (10), ჯოზეფი (10).

**ალბა-დალასი 84:89**

**23:21, 16:24, 22:20, 23:24**

**ა:** ტომპსონი (20+5 მოხსნა), დედოვიჩი (15), ავლადოვიჩი (13), იდბიჰი (12).

**დ:** კარტერი (14), კოლისონი (14), კამანი (14), მერიონი (12+11).

## პოლს კლიპერსი მოსწონს, მაგრამ მაინც ფიქრობს

"ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘᲡ" გამთამაშებელმა **კრის პოლმა** განაცხადა, რომ კმაყოფილია კლუბში თავისი ამჟამინდელი მდგომარეობით, თუმცა სამომავლო კარიერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

*"ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ მაქვს, სად გავაგრძელებ კარიერას. ამჟამად ჩემი მთავარი საზრუნავი დამდეგი სეზონი გახლავთ. მომავალ ზაფხულს ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი. "კლიპერსში" თავს კომფორტულად ვგრძნობ და კმაყოფილი ვარ გუნდში საკუთარი როლით"*, - ამბობს პოლი.

შეგახსენებთ, რომ 2012-13 წლების სეზონის შემდეგ, კრის პოლი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

## პოპოვიჩი და პოლიტიკა

"ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲡᲞᲣᲠᲡᲘᲡ" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** თავისი გუნდის თითოეულ წევრს დაურიგა აშშ-ის პრეზიდენტის **ბარაკ ობამასა** და პრეზიდენტობის კანდიდატის **მიტ რომნის** სატელევიზიო დებატების DVD-ასლი.

*"ჩვენს გუნდში ბევრი უცხოელია, რომლებმაც მაშინვე განაცხადეს, რომ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, ამიტომაც არაფერში სჭირდებათ დებატების ყურება. მაგრამ გრეგს მიაჩნია, რომ ისინი აშშ-ში ცხოვრობენ და ამიტომაც, სასარგებლო იქნება იმის ცოდნა, თუ რა ხდება ქვეყანაში. მე მას ვეთანხმები"*, - განაცხადა "სან ანტონიოს" ფორვარდმა **მეტ ბონერმა**.

## მაკედონია უმწვრთნელოდაა

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **მარიან ლაზოვსკი**.

ამ სპეციალისტმა მაკედონიის ნაკრები 2012 წელს ჩაიბარა. მან **მარინ დოკუზოვსკი** შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც, ეროვნულმა გუნდმა 2011 წლის ევრობასკეტზე ისტორიულ შედეგს მიაღწია - მეოთხე ადგილი დაიკავა. ლაზოვსკიმ წარმატების განვრცობა ვერ შეძლო - ჩააგდო ლონდონის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი, როცა მეოთხედფინალში წააგო დომინიკის რესპუბლიკასთან (75:86).

მაკედონიის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს 18 ნოემბრამდე დაასახელებენ - სწორედ ამ დღეს გაიმართება 2013 წლის ევრობასკეტის წილისყრა.

ფორმულა 1. იაპონიის გრანპრი

# მეფური საჩუქარი რაიკონენისგან

## ფეტელმა კარგად ისარგებლა ალონსოს ავარიით და ლიდერთან სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ჩემპიონატის მე-15 ეტაპმა - იაპონიის გრანპრიმ **სებასტიან ფეტელის** დომინირებით ჩაიარა და მისი ჩამორჩენა გენერალურ კლასიფიკაციაში თითქმის მინიმუმამდე დავიდა.

ლეგენდარულ "სუზუკაზე" საინტერესო რბოლის მოლოდინში იყვნენ. სასტარტო ბილიკის პირველი ორი ადგილი "რედ ბულის" პილოტებს ეკავათ, მესამე-მეოთხე პოზიციებზე კი მოულოდნელი დუეტი ვიხილეთ **კამუი კობაიაშისა** და **რომენ გროსჟანის** სახით. ეს უკანასკნელი ის პილოტია, რომელმაც წელს ბევრს გაუფუჭა რბოლა და ერთხელ დისკვალიფიცირებული იყო სახიფათო მანევრების გამო.

ფრანგმა ამჯერადაც "გამოიჩინა" თავი - პირველივე მოსახვევში უკნიდან დაეჯახა **მარკ უებერს** და "რედ ბულს" დუბლის შესრულების შანსი მოუსპო. ამჯერად, გროსჟანს არ მისცემენ დისკვალიფიკაციას - ის ბოქსებში შესვლით დასაჯეს, თუმცა რბოლის შემდეგ, უებერმა განაცხადა, რომ რომენს კიდევ ერთი იძულებითი დასვენება არ აწყენდა.

ამ პილოტების უკან კი ისეთი ამბები მოხდა, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაზე - საერთო ჩათვლის ლიდერი **ფერნანდო ალონსო** პირველ მოსახვევში გამოეთიშა რბოლას. როგორც "ფერარის" პრეს-სამსახურმა გამოაცხადა, მიზეზი გახდა საბურავის მწყობრიდან გამოსვლა **კიმი რაიკონენთან** მცირე კონტაქტის გამო. თუ ეს ასეა, ფინელმა მართლაც მეფური საჩუქარი გაუკეთა ფეტელს.

სტარტზე მესამე ავარიაც მოხდა - პელოტონის შუაში ერთმანეთს შეეჯახნენ **ბრუნო სენა** და **ნიკო როსბერგი**. შედეგად, ბრაზილიელი ჩამორჩა, გერმანელი კი საერთოდ ჩამოშორდა რბოლას. დამნაშავედ სენა მიიჩნიეს და ისიც ბოქსებში შესვლით დაისაჯა.

კამუი კობაიაში სერიოზულად იყო განწყობილი საშინაო ტრასაზე პოდიუმზე ასასვლელად, მისი თანაგუნდელი **სერხიო პერესი** კი ყველანაირად ცდილობდა წინსვლას. მან რაიკონენზე შეტევა სცადა, მაგრამ ფინელი კარგად იცავდა თავს. სერხიომ ჰემილტონი გაატარა წინ, მაგრამ რამდენიმე წუთში დაეწია ბრიტანელს და გაუსწრო მას.

ამ დროს კი ფეტელი სტაბილურად ზრდიდა კონკურენტებზე თავის უპირატესობას და უპრობლემოდ მიიწევდა სეზონში მესამე გამარჯვებისკენ. პოდიუმისთვის კი საინტერესო ბრძოლა მიდიოდა. **ფელიპე მასამ** გაწელა პირველ პიტსტოპზე შესვლის დრო და ამის ხარჯზე მეორე ადგილზე გადავიდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირველი პიტსტოპის შემდეგ, **ჯენსონ ბატონი** და კობაიაში **დანიელ რიკარდოს** უკან აღმოჩნდნენ და მის გასასწრებად ბევრი დრო დაკარგეს.

პერესი საუკეთესო წრეებს აფიქსირებდა და უტევდა, მაგრამ საბოლოოდ, საკუთარ ტემპს ვერ გაუმკლავდა - მოსახვევში სწრაფად შევიდა და ტრასიდან გადავარდა.

რბოლის შუაში გადაცემათა კოლოფთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა ბატონს, მაგრამ ბრიტანელმა შეძლო ფინიშამდე მიღწევა.

ამის შემდეგ, რბოლა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. საინტერესო ბრძოლა გამართეს მეორე პიტსტოპის შემდეგ ჰემილტონმა და რაიკონენმა. ლუისი ბოქსებიდან გამოდიოდა, კიმი კი მაქსიმალური სიჩქარით სტარტი/ფინიშის სწორ მონაკვეთზე მოძრაობდა. პირველ მოსახვევში ფინელი გარე რადიუსით შევიდა და რაღაც მომენტში წინ იყო, მაგრამ ლუისმა ძალიან აგრესიული მანევრით უკან ჩამოიტოვა ფინელი. პირველ წრეზე ალონსოს ბოლიდთან კონტაქტის შემდეგ, კიმის "ლოტუსის" წინა ანტიფრთა დაზიანებული იყო და სკანდინაველის ბოლიდს სიჩქარე აკლდა.

ბრწყინვალე რბოლა ჩაატარა მასამ - პირველი პიტსტოპის შემდეგ მეორე ადგილზე გადასულმა ბრაზილიელმა ეს პოზიცია ბოლომდე შეინარჩუნა და 2010 წელს, კორეის გრანპრის შემდეგ, პირველი პოდიუმი მოიპოვა. ამით "ფერარიმ" გაზარდა უპირატესობა "ლოტუსზე" და შესაძლოა, ამ რბოლის შემდეგ "სკუდერიამ" გადაიფიქროს ბრაზილიელთან გამოთხოვება.

ბოლო წრეებზე გართულდა ბრძოლა მესამე ადგილისთვის ბატონსა და კობაიაშის შორის. ბრიტანელი მუდმივად უახლოვდებოდა იაპონელს, მაგრამ "მაკლარენის" პილოტმა მაინც ვერ შეძლო იაპონური პუბლიკისთვის ზეიმის გაფუჭება. მეორედ ისტორიაში, იაპონელი პილოტი ადგილობრივი გრანპრის პოდიუმზე ვიხილეთ. 22 წლის წინ, პირველად ეს **აგური სუზუკიმ** გააკეთა.

"მაკლარენი" გროსჟანს უნდა უმადლოდეს იმას, რომ "რედ ბულმა" დუბლი ვერ შეასრულა და ბრიტანულ საჯინიბოს ისევ რჩება კონსტრუქტორთა თასის მოგების შანსი. თუმცა ამ გუნდის წევრები "სუზუკაზე" არც ისე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ.

**მიხაელ შუმახერმა**, რომელმაც გასულ კვირას კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, ქულათა ზონაში შესვლა სცადა, მაგრამ ახალგაზრდა **დანიელ რიკარდოს** ვერაფერი მოუხერხა. ფინიშზე მათ შორის სხვაობა წამზე ნაკლები იყო. თუმცა გერმანელის სასტარტო პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ მიხაელს საკმაოდ კარგი უქმეები ჰქონდა.

ტიტულისთვის ბრძოლაში ფერნანდო ალონსო აღარ მიიჩნევა ფავორიტად. მართალია, ესპანელი ოთხი ქულით უსწრებს ფეტელს, მაგრამ ბევრი დარწმუნებულია იმაში, რომ სებასტიანს ჩემპიონატის ზედიზედ მესამედ მოგებაში მხოლოდ საკუთარი შეცდომები ან ბოლიდის გაუმართაობა თუ შეუშლის ხელს.

**იაპონიის გრან-პრი. XV ეტაპი**

**სუზუკა (53 წრე, 307.471 კმ)**

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:28.56,242 (2 წრე) |
| 2(11). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +20,639 (2) |
| 3(4). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +24,538 (2) |
| 4(3). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +25,098 (2) |
| 5(9). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +46,490 (2) |
| 6(8). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +50,424 (2) |
| 7(10). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდიან, გერმანია) | +51,159 (2) |
| 8(14). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +52,364 (2) |
| 9(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +54,675 (2) |
| 10(16). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +1.06,919 (2) |
| 11(13). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.07,769 (2) |
| 12(12). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.23,4[illegible] (2) |
| 13(17). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | +1.28,645 (2) |
| 14(18). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | +1.28,709 (4) |
| 15(19). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | 1 წრე (2) |
| 16(20). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | 1 წრე (2) |
| 17(23). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | 1 წრე (3) |
| 18(21). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 1 წრე (2) |
| 19(5). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 1 წრე (4) |
| 20(22). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | 14 წრე |
| 21(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 19 წრე |
| 22(6). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 34 წრე |
| 23(7). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 53 წრე |
| 24(15). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 53 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 194 (3 მოგება); 2. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 190 (3); 3. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 157; 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 152 (3); 5. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 134 (2); 6. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 131 (2); 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 93 (1); 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 82; 9. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 69; 10. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 66; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 50; 12. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 44; 13. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 43; 14. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 37; 15. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 33 (1); 16. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 25; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 8; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 7.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 324; 2. **მაკლარენი** - 283; 3. **ფერარი** - 263; 4. **ლოტუსი** - 239; 5. **მერსედესი** - 136; 6. **ზაუბერი** - 116; 7. **ფორს ინდია** - 81; 8. **უილიამსი** - 58; 9. **ტორო როსო** - 15.


ალონსო რბოლას გამოეთიშა

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონს მამაკაცებთან უნდა

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲘᲡ საუკეთესო ქალმა მოთხილამურემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლინდსი ვონმა** მსოფლიოს თასის ორგანიზატორებსა და სათხილამურო სპორტის ფედერაციას უცნაური თხოვნით მიმართა. როგორც ირკვევა, ვონს მსოფლიოს თასის ლეიკ-პლესიდის ეტაპზე, სწრაფდაშვების დისციპლინაში მამაკაცების წინააღმდეგ გამოსვლა სურს.

ლინდსი ვონს დიდი ხანია სურს ძალების მოსინჯვა მამაკაცების ტურნირში, რადგან მიაჩნია, რომ მომავალში ქალებს შეუძლიათ მათთან ტოლსწორად ბრძოლა. ლინდსი სეზონის წინ მზადების დიდ ნაწილს მამაკაცებთან ერთად გადის და აცხადებს, რომ ხშირად ამარცხებს მათ ვარჯიშებზე.

ამერიკელის თხოვნას სათხილამურო სპორტის ფედერაცია უახლოესი ორი კვირის განმავლობაში განიხილავს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# პეკინი აზარენკამ დაიპყრო


ვიქტორია აზარენკა

პეკინის "პრემიერ" კატეგორიის ტურნირზე **ვიქტორია აზარენკამ** ორ სეტში მოუგო **მარია შარაპოვას** და გაზარდა მასთან უპირატესობა WTA-ის კლასიფიკაციაში.

თუ **სერენა უილიამსს** არ ჩავთვლით (ამერიკელს ამ სეზონში ექვსიდან ექვსჯერ ჰყავს დამარცხებული რუსი და ბელარუსი), ფინალში ერთმანეთს ტურის საუკეთესო ჩოგბურთელები ხვდებოდნენ. მათ შემთხვევით არ უკავიათ რეიტინგში პირველი ორი ადგილი. გუშინდელ მატჩამდე ისინი 10-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და აზარენკა წინ იყო - 6:4.

ვიქტორიას ძალიან აქტიური სტარტი ჰქონდა, რაც მარიას თამაშიდან გამომდინარეობდა. პირველ გეიმებში შარაპოვა ყველა კომპონენტში მოიკოჭლებდა - მოწოდება, უკანა ხაზიდან დარტყმები და ა. შ. დიდი რაოდენობით შეცდომებმა ის გამოიწვია, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანმა წააგო ოთხი პირველი გეიმი. მეშვიდე გეიმში აზარენკამ პირველი სეტბოლი მიილო, მაგრამ ვერ გამოიყენა. რუსი გამოცოცხლდა, რამაც მას პირველ პარტიაში კიდევ ორი გეიმის მოგების საშუალება მისცა. როცა მარიას ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების შანსი მიილო, მის თამაშში შეცდომები დაბრუნდა და პირველი პარტია მეტოქეს ჩააბარა. სულ შარაპოვამ 20 უნებლიე შეცდომა დაუშვა, აზარენკამ - მხოლოდ შვიდი.

მეორე სეტში მარიამ სცადა რაღაცის შეცვლა, ყველა გეიმში იბრძოდა, მაგრამ ყოველთვის ბოლოსკენ უფრო ძლიერად აზარენკა გამოიყურებოდა. მეორე სეტის ყველა გეიმში, რომელიც ვიქტორიამ აიღო, ანგარიში 30:30 ან "თანაბარი" იყო. ისევე როგორც პირველ სეტში, რუსმა თამაშის შემობრუნების შანსი მიილო, მაგრამ წააგო ბელარუსის მოწოდებაზე ხანგრძლივი გეიმი - 3:6, 1:6.

აზარენკამ მე-13 ტიტული მოიპოვა კარიერაში, მაგრამ ამასთან, ეს მისი პირველი მოგება იყო მარტიდან. გარდა ამისა, ის გახდა პირველი ჩოგბურთელი, ვინც სეზონში ერთზე მეტი "პრემიერ" კატეგორიის ტურნირი მოიგო. რაც შეეხება რეიტინგში პირველი ადგილისთვის ბრძოლას, აზარენკას უპირატესობა შარაპოვაზე 800 ქულამდე გაიზარდა. ასე რომ, წლის პირველი ჩოგნის რანგში დასრულება ბოლომდე შარაპოვაზე არ არის დამოკიდებული. მას არა მხოლოდ მოგება სჭირდება სტამბოლში წლის შემაჯამებელ ტურნირზე, არამედ აზარენკა უნდა გამოეთიშოს ნაადრევ ეტაპზე ჩემპიონატს.

**China Open**

პეკინი. ჩინეთი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-მარია შარაპოვა (რუს, 2) 6:3, 6:1.

# ფედერერი იცოცხლებს

## ჩინელმა ანონიმმა უშნოდ გაიხუმრა

**როჯერ ფედერერის** სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ჩინელმა ინტერნეტ-მომხმარებელმა, ფსევდონიმით - Blue Cat Polytheistic Religion Founder 07 განაცხადა, რომ სისულელე ჩაიდინა და არც უფიქრია მსოფლიოს პირველ ჩოგანზე თავდასხმა. შეგახსენებთ, რომ უცნობმა ჩინელმა რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა ჩოგბურთელის ფოტო, რომელზეც ის თავმოკვეთილია გამოსახული. სურათს მინაწერიც ჰქონდა: *"6 ოქტომბერს ვაპირებ მოვკლა ფედერერი, რათა გავანადგურო ჩოგბურთი"*.

*"ფედერერის გულშემატკივარს ინტერნეტში წავეჩხუბე და ეს სისულელე ამის გამო მომივიდა. ბოდიშს ვუხდი როჯერსა და მის ოჯახს წარმოქმნილი უსიამოვნებებისთვის. შანხაიში მას არაფერი ემუქრება"*, - დაწერა ანონიმურმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

თუმცა შანხაის მასტერსის ორგანიზატორები და პოლიცია მაინც ფხიზლად იქნებიან მთელი ტურნირის მსვლელობისას, რადგან დარწმუნებული არ არიან, რომ ბოდიშის ავტორი თავად Blue Cat Polytheistic Religion Founder 07 გახლავთ.

შვეიცარიელი ჩოგბურთელი მშვიდად შეხვდა შექმნილ სიტუაციას: *"რა თქმა უნდა, ეს ამბავი ოდნავ მიკარგავს კონცენტრაციას, მაგრამ მოდით ვიყოთ რეალისტები - მუქარა რომელიღაც გაუგებარ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. გაკვირვებული ვარ, რომ პრესამ ამ ისტორიას ამხელა მნიშვნელობა მიანიჭა"*.



როჯერ ფედერერი

ამბები

**ველოსპორტი**

### სამგზის ჩემპიონი წავიდა

სახელგანთქმულმა ესპანელმა ველომრბოლმა **ოსკარ ფრეირემ** კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. 36 წლის სპორტსმენის ბოლო ტურნირი პოლანდიაში ცოტა ხნის წინ დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატი აღმოჩნდა, სადაც ესპანელმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. წელს, ტურ დე ფრანსზე ფრეირემ ტრავმა მიიღო, რის გამოც ლონდონის ოლიმპიადის გამოტოვებამ მოუწია.

ფრეირეს მოგებული აქვს ტურ დე ფრანსისა და ვუელტას 11 ეტაპი. ის ასევე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია (1999, 2001, 2004). ესპანელის ბოლო გუნდი რუსული "კატიუშა" იყო, მანამდე კი ის "რაბობანკის" ღირსებას იცავდა.

**კრივი**

### პაკიაოს პრომოუტერმა გაზაფხული დაგეგმა

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივის **მენი პაკიაოს** პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ ფილიპინელი მომავალი წლის აპრილში გავა რინგზე.

*"მე ველაპარაკე მენის და მოვილაპარაკეთ ბრძოლის 20 აპრილს ჩატარებაზე"*, - განაცხადა პრომოუტერმა. მისი თქმით, ეს თარილი იდეალურია ბრძოლის ჩასატარებლად - აშშ-ის სტუდენტური კალათბურთის "მარტის საგიჟეთსა" და მაისში ფილიპინების პარლამენტის არჩევნებს შორის პერიოდში.

შეგახსენებთ, რომ 8 დეკემბერს პაკიაო კარიერაში მეოთხედ შეხვდება მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** და არუმს მიაჩნია, რომ მათ შორის მეხუთე შეხვედრა გამორიცხულია. *"მეხუთე ბრძოლა არავის უნდა"*, - თქვა პრომოუტერმა.

**ფორმულა 1**

### დი რესტა ფერარის ახალი ფავორიტია

ახალი ინფორმაცია გავრცელდა "ფერარის" სავარაუდო მეორე პილოტის შესახებ. იტალიური გამოცემა La Stampa-ს ცნობით, **ფელიპე მასას** მთავარ შემცვლელად "ფორს ინდიას" შოტლანდიელი პილოტი **პოლ დი რესტა** განიხილება. თავად დი რესტამ იმედგაცრუება გამოხატა **სერხიო პერესის** "ზაუბერიდან" "მაკლარენში" გადასვლასთან დაკავშირებით.

*"გადაწყვეტილება სავსებით გასაგები კომერციული მიზეზებით მიიღეს. ყოველთვის ვამბობდი, რომ რბოლების მოგება მინდა. როცა ასეთი შანსი მომეცემა, მას ორივე ხელით ჩავებღაუჭები"*, - ამბობს დი რესტა.

**ჩოგბურთი**

### კოპენჰაგენიდან კატოვიცეში

ქალთა პროფესიული ტურის ტურნირმა - WTA e-Boks Open-მა, რომელიც დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში იმართება, შესაძლოა, ადგილმდებარეობა შეიცვალოს.

როგორც დანიური პრესა წერს, ტურნირის ერთ-ერთი თანამფლობელი გახლავთ **კაროლინ ვოზნიაცკის** მამა, რომელიც უკმაყოფილოა შეჯიბრის პოპულარობისა და მასში მონაწილე ჩოგბურთელთა დონით.

ამიტომაც, **პეტერ ვოზნიაცკის** გადაწყვეტილი აქვს ტურნირის გადატანა პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში.

ვვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩილე**

| | |
|---|---|
| უნ. ესპანიოლა-უონდერერსი | 2:2 |
| პალესტინო-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| უაიჩიპატო-უნ. კონსეპსიონი | 2:0 |
| ლა სერენა-უნ. კატოლიკა | 1:3 |
| ანტოფაგასტა-უნ. ჩილე | 2:4 |
| კობრელოა-კობრესალი | 3:0 |
| ლა კალერა-დეპ. იკიკე | 1:1 |
| კოლო კოლო-რეინჯერსი | 2:2 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| ტოლიმა-ატ. ხუნიორი | 2:2 |
| მილიონარიოსი-კუკუტა | 1:0 |
| რეალ კარტახენა-ენვიგადო | 2:3 |
| დეპ. კალი-დეპ. პასტო | 0:1 |
| იტაგუი-დეპ. კინდიო | 4:0 |
| ატ. ნასიონალი-სანტა ფე | 2:2 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ინდეპენდიენტე | 5:1 |
| გუარანი-რუბიო ნუ | 2:0 |
| სერო პორტენ.-სოლ დე ამერიკა | 0:1 |
| სპორტივო-ლიბერტადი | 0:2 |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| რასინგი-სერო | 1:2 |
| პენიაროლი-სენტრალი | 3:0 |
| ელ ტანკე-დეფენსორი | 1:1 |
| ფენიქსი-პროგრესო | 2:0 |
| ხუვენტუდი-ბელა ვისტა | 2:0 |
| ლივერპული-სერო ლარგო | 1:0 |
| ნასიონალი-დანუბიო | 2:1 |
| რივერ პლეიტი-უონდერერსი | 1:3 |

**მექსიკა**

| | |
|---|---|
| ამერიკა-გვადალახარა | 1:3 |
| პაჩუკა-ლეონი | 1:1 |
| კერეტარო-ს. ლაგუნა | 1:1 |
| ტიგრესი-პუებლა | 1:2 |
| ატლასი-კრუს ასული | 1:1 |
| პუმასი-მონტერეი | 3:2 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| ტორონტო-დი სი იუნაიტედი | 0:1 |
| ნიუ იორკი-ჩიკაგო | 0:2 |
| ფილადელფია-ნიუ ინგლენდი | 1:0 |
| ჰიუსტონი-მონრეალი | 1:1 |
| კოლორადო-სან ხოსე | 1:4 |
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 1:2 |
| კოლამბუსი-კანზას სიტი | 1:1 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ვეგალტა-გამბა | 2:1 |
| კაშიმა-ტოკიო | 5:1 |
| ურავა-საპორო | 1:2 |
| კაშივა-კავასაკი | 1:0 |
| იოკოჰამა-ჰიროშიმა | 0:0 |
| ნიიგატა-კობე | 0:0 |
| ივატა-შიმიცუ | 0:1 |
| ნაგოია-ომიია | 0:0 |
| სერეზო-ტოსუ | 3:2 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ველინგტონი-სიდნეი | 2:0 |
| სიდნეი-სენტრალ კოუსტი | 0:0 |
| ნიუკასლი-ადელაიდა | 0:2 |
| პერტი-ბრისბენი | 1:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბრემერჰავენი-ვიურცბურგი | 50:75 |
| ოლდენბურგი-ბამბერგი | 68:75 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-კანტუ | 70:84 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| უნიკახა-ხუვენტუდი | 73:71 |
| ფუენლაბრადა-ობრადოირო | 71:79 |
| კახა ლაბორალი-კახასოლი | 90:70 |
| მანრესა-გრან კანარია | 64:80 |
| მურსია-ვალენსია | 77:78 |
| ბილბაო-ბარსელონა | 78:77 |
| ლაგუნ არო-ესტუდიანტესი | 71:83 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მონპელიე-ლეონი | 27:29 |
| პარტიზანი-ფლენსბურგი | 31:37 |
| კილი-სავეჰოფი | 43:34 |
| სილკებორგი-შამბერი | 25:23 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ს. იულაევი | 3:4 (ბ) |
| სპარტაკი-დინამო (მნ) | 4:1 |
| დონბასი-ვიტიაზი | 1:2 |
| დინამო (რ)-სევერსტალი | 0:1 |
| სლოვანი-დინამო (მ) | 2:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ლინცი | 4:1 |
| ვილახი-დორნბირნი | 4:3 |
| ვენა-ზაგრები | 2:0 |
| ზალცბურგი-ალბა | 5:6 |
| ზნოიმო-ოლიმპია | 3:5 |
| გრაცი-ინსბრუკი | 2:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 3:0 |
| აისბარენი-ჰამბურგი | 4:3 (ბ) |
| მანჰაიმი-დიუსელდორფი | 2:1 (ო) |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 4:3 (ო) |
| კრეფელდი-იზერლონი | 4:3 (ო) |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 4:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტორჰამარი-ტონსბერგი | 8:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-ტრენჩინი | 0:3 |
| ბისტრიცა-პიესტანი | 2:5 |
| ნიტრა-პოპრადი | 5:1 |
| მარტინი-ზვოლენი | 1:3 |
| სკალიცა-კოშიცე | 3:6 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ლუკო | 3:2 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 6:2 |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 1:4 |
| ტრშინეცი-ზლინი | 2:3 |
| ხომუტოვი-კარლოვი ვარი | 5:4 (ო) |
| სპარტა-ლიტვინოვი | 4:5 |
| ბრნო-ვიტკოვიცე | 2:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| როგლე-შელეფტეო | 1:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. პეკინი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ცონგა | 7:6, 6:2 |

**ATP. ტოკიო**

| | |
|---|---|
| რაონიჩი-ნიშიკორი | 6:7, 6:3, 0:6 |

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| ბეიკერი-ჟემლია | 6:1, 7:5 |
| კოპილი-პეტცშნერი | 0:6, 6:7 |
| გარსია ლოპესი-ბოგომოლოვი | 6:7, 4:6 |
| იტო-ბერერი | 6:7, 1:6 |
| მატოშევიჩი-სტახოვსკი | 6:3, 4:6, 6:1 |
| ვერდასკო-სოედა | 6:2, 6:4 |
| კოლშრაიბერი-ჰარისონი | 6:4, 6:4 |
| ბელუჩი-კლიჟანი | 3:6, 4:6 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-შარაპოვა | 6:3, 6:1 |

TV პროგრამა

**8 ოქტომბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ნიუელსი-ველესი.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური. აიაქსი-უტრეხტი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. შალკე-ვოლფსბურგი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური. მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. VII ტური. ვესტ ჰემი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ვერდერი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ნიუ იორკი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ბოტაფოგო.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტაკი-სელტიკი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**00:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპარტა-ბილბაო.
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ტურნირი უსენსაციოდ



ბურთით ქართლი ბეილი

ოთხი ერის გათამაშება დასრულდა. ასეთი ფორმატით ტურნირი პირველად ჩატარდა და წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ მოლოდინი მთლიანად გამართლდა. სამ ბობოლა სამხრეთულ სარაგბო ერს მეოთხე არგენტინის ნაკრები დაემატა. "პუმებმა" დებიუტანტის კვალობაზე შესანიშნავად იასპარეზეს. მართალია, ვერცერთი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ოთხი ქულის მოპოვება მაინც მოახერხეს. აქედან ორი ქულა არგენტინელებმა შინ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან მიღწეული ფრის შედეგად მიიღეს.

გათამაშება კი ერთი ტურით ადრე მსოფლიოს თასის მფლობელმა ახალი ზელანდიის ნაკრებმა მოიგო. "ოლ ბლექსმა" ექვსი შეხვედრიდან ექვსივეში იმარჯვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ პლანეტაზე უძლიერესი გუნდია.

ბოლო, მე-6 ტურში ახალი ზელანდიის ნაკრები სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს იოჰანესბურგის გარეუბანში დაუპირისპირდა და წაუგებელი სერიის მსოფლიო რეკორდი მოხსნა. "ოლ ბლექსს" 16 თამაშია მოედანი თავჩაღუნულს არ დაუტოვებია. ამასთან ერთად, გუნდის კაპიტანი და ლიდერი **რიჩი მაქოა** ნაკრებთან ერთად მეასედ გამოვიდა გამარჯვებული.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა, სანამ მგეზავი **იოჰან გუსენი** მოედანზე იყო, პირველ ტაიმში შესანიშნავად იასპარეზა და 16:12 მოიგო. გუსენი 37-ე წუთზე შეცვალეს და "ბოკეს" შესვენების შემდეგ პრობლემები დაეწყო. მასპინძლებმა მონაგარს ველარაფერი შესძინეს, მაშინ, როცა ახალზელანდიელებმა, რომლებსაც თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათ, ორი ლელოს გატანა მოახერხეს - 32:16.

არგენტინის ნაკრებს გამარჯვების მოპოვების უკანასკნელი შანსი ბოლო ტურში ჰქონდა. "პუმებმა" როსარიოში საკმაოდ დაუძლურებულ ავსტრალიის ნაკრებს უმასპინძლეს, რომელსაც ტრავმირებული მოთამაშეების მთელი ჯარი აკლდა. როგორც ჩანს, არგენტინელებმა უმაღლესი დონის გუნდებთან ექვსტურიან ბრძოლას ბოლომდე ვერ გაუძლეს. საგრძნობლად მოიღალნენ, "ვოლაბებთან" სენსაციურ გამარჯვებას ხელი ვერ გამოჰკრეს და 19:25 წააგეს.

ავსტრალიელები მოლოდინის საწინააღმდეგოდ სათამაშო უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და პირველი ტაიმი 15:9 მოიგეს. მგეზავისა და დამრტყმელის **ქუადე კუპერის** არყოფნაში შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი ნიჭი ახალზელანდიური წარმოშობის ავსტრალიელმა ფულბეკმა **მაიკლ ჰარისმა**, რომელმაც ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა მიითვალა (20 ქულა).

"ვოლაბებს" უპირატესობა არც მეორე ტაიმში დაუთმიათ და საბოლოოდ ანგარიშში ექვსქულიანი სხვაობის შენარჩუნება შეძლეს.

### სამხ. აფრიკა–ახ. ზელანდია 6:32

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირხნერი (ლამბიე 67), ჰაბანა, ტაუტე (დე იონგი 76), დე ფილიერსი, უგარი, გუსენი (იანტისი 34), პინარი. (1-8) მთავარირა, სტრაუსი (ლიბენბერხი 74), დუ პლესი (ოსტჰოიზენი 54), ესტებესი, ბეკერი, ლოუ, ალბერტსი (კუცია 59), ვერმულენი.

ლ: ჰაბანა. პს: გუსენი, იანტისი (2). გ: გუსენი

ახალი ზელანდია (15-9) დაგი, ჯეინი, კ. სმიტი, ნონუ (ელოსმი 62), გეარი, კარტერი (კრადენი 76), ა. სმითი (ვიპუ 65). (1-8) ვუდკოქი, ჰორი (მეალამუ 51), ო. ფრენქსი (ბ. ფრენქსი 62), რეტალიკი (რომანო 58), ვაითლოქი, მესამი (ტომსონი 65), მაქოა, რიდი.

4ლ: ა. სმითი, კ. სმითი, ვაითლოქი, ნონუ. პგ,ს,ა: კარტერი.

მსაჯი: რომან პუატი (საფრანგეთი).

### არგენტინა–ავსტრალია 19:25

არგენტინა (15-9) ამოროსინო, კამაჩო, ბოსხი, ფერნანდესი, აგულა (იმჰოფი 62), ერნანდესი (სანჩესი 59), ლანდხო. (1-8) რონსერო, გუინასუ (კრევი 67), ფიგალო (ორლანდი 69), კარისა, ალბასეტე, კაბელო (სენატორე 73), ლეგუსამონი (ლეონარდი 47), ფერნანდეს ლობე.

ლ: იმჰოფი. 4ს: ერნანდესი, ბოსხი. გ: ბოსხი.

ავსტრალია (15-9) ჰარისი, კამინსი, ტაპუაი, მაკკები, იოანი, ბეილი, ფიპსი (შინანი 73). (1-8) სლიპერი (რობინსონი 40), პოლოტა-ნაუ, ალექსანდერი, დუგლასი (ჰიგინბოთამი 8), შარფი, ტიმანი (გილი 68), ჰუპერი, სამო (დენისი 62).

ლ: იოანი. 6ს,გ: ჰარისი.

მსაჯი: კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა)

### სატურნირო მდგომარეობა

1. ახალი ზელანდია - 26 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა -12, 3. ავსტრალია - 12, 4. არგენტინა - 4.

ბესიკ ჯანგავაძე

ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენ ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!

გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge



შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო
პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!

დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!

fortunacard.ge
fortuna.emoney.ge
255 55 00

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608